პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 თებერვალი **ორშაბათი** 2013

№039 (13 955) ფასი 80 თეთრი

რა ხდება დინამოში?

ხმალაძე, რეხვიაშვილი, ძარია... რა შუაშია ზარია?!

2

ლევან ხმალაძე დინამო 2-ში გადაიყვანეს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეს დაუჯერებელია!

ისიანის 127

საკალათბურთო სუპერლიგაში რუსთავმა 126 ქულა ჩააგდო და კომპლიმენტი დაიმსახურა, ბათუმელმა ლაშა კეშელავამ 41 ქულას მოუყარა თავი და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ, ვილი ისიანმა კი ყოველგვარი რეკორდი გადაფარა - 127 ქულა ჩააგდო! დავაზუსტებთ: ერთმა მოთამაშემ 40-წუთიან მატჩში 127 ქულა მოაგროვა. შეფასება თქვენთვის მოგვინდია. რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს, ეს რეალურად მოხდა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ „შსს აკადემიას“ ფორვარდმა ეს საოცარი შედეგი 16-წლამდელთა ჩემპიონატში, „მართვესთან“ მატჩში უჩვენა. მისმა გუნდმა 165:39 გაიმარჯვა.

ასევე დაუჯერებელია ისიანის თანაგუნდელის, ლევან გოგალაძის მიღწევა, რომელმაც ზემოთ ნახსენებ მატჩში 40 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეო მესის 300+

რატომ არჩია კრილიას ლეგია

2

ინტერვიუ ლადო დვალიშვილთან

8-9

ქართული ფეხბურთი

ტრანსფერის შემდეგ. ინტერვიუ ლადო დვალიშვილთან

რატომ ლეგია და არა კრილია?

ლადო დვალიშვილი ვარშავის "ლეგიაში" 13-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. "ლეგიას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა პოლონეთის ექსტრაკლასას ლიდერთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

26 წლის დვალიშვილმა პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის ყურადღება ვარშავის "პოლონიაში" კარგი თამაშით დაიმსახურა. სეზონი მეორე ვარშავულ კლუბში დაიწყო და 15 მატჩში 7 გოლი გაიტანა. თუმცა, იანვარში კლუბი ფინანსური პრობლემების გამო დატოვა. პოლონური მედია ამტკიცებს, რომ "ლეგიას" მეპატრონეს ეს ტრანსფერი ნახევარი მილიონი ევრო დაუჯდა.

პარასკევ საღამოს დვალიშვილმა ახალ გუნდში პირველად ივარჯიშა, ჩვენ კი გუშინ ვარშავაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- უპირველესად, პოპულარულ პოლონურ კლუბში გადასვლას გილოცავ.

- გმადლობთ. მართლაც კარგი კლუბია და მოხარული ვარ, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა და "ლეგიაში" ვითამაშებ.

- ქართველმა გულშემატკივარმა კარგად იცის ის ისტორია, რაც "პოლონიაში" გადაგხდა. "ლეგია" მაინც თუ არის ფინანსურად სტაბილური კლუბი?

- "ლეგიას" მსგავსი პრობლემა არ აწუხებს და საერთოდ, ყველანაირად მონესრიგებული და ორგანიზებული კლუბია.

– გუნდში როგორ მიგიღეს?

- ახალ გუნდში სასიამოვნო გარემო დამხვდა - ძალიან თბილად და მეგობრულად მიმიღეს.

- საინტერესო იქნება შენი თვალით დანახული "ლეგია".

- ეს არის პოლონეთში ცნობილი კლუბი, რომელიც ამბიციებით გამოირჩევა.

- თუმცა, ბოლო წლებში, "ლეგია" ევროპაში წარმატებებს ვერ აღწევს.

- ამბიცია სულ აქვს, რომ აუცილებლად უნდა გახდეს პოლონეთის ჩემპიონი და ითამაშოს ჩემპიონთა ლიგაზე. ეს არის ჩემი დიდი სურვილიც, ლიგაზე კიდევ რომ ვითამაშო.

- "ლეგია" შენი ტრანსფერით ჯერ კიდევ შარშან დაინტერესდა. მაგრამ ასეთი მოლოდინის შემდეგ, შენს მიმართ დიდი მოთხოვნებიც ექნებათ. ზოგს ეს პასუხისმგებლობა თრგუნავს.

- რა თქმა უნდა, ეს კარგად მესმის და ამისათვის მზად ვარ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელს პასუხისმგებლობის არ უნდა ეშინოდეს. ლეგიონერს კი ყოველთვის გამორჩეულად მეტს სთხოვენ. ასე იყო "პოლონიაშიც". "ლეგიაში" უფრო ძლიერი კონკურენტები მყავს, ჯერ მთავარი ამოცანაა, რომ ძირითადში დავმკვიდრდე. მაგრამ იმედია, თავის გამოჩენას ახალ კლუბშიც მოვახერხებ.

- როგორც ვიცით, "ლეგიასთან" ერთად, რუსეთის პრემიერლიგის "კრილია სოვეტოვიც" გიწვევდა. დღეს რუსეთში დიდი ხელფასის იმედად ვარსკვლავები მიდიან და შენ უარი რატომ თქვი?

- ამ ეტაპზე "ლეგია" ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იყო. იმანაც იმოქმედა, რომ პოლონეთს კარგად შევეწყვე, აქ ყველაფერი მომწონს და ამავე დროს, ვარშავის "ლეგია" არაფრით არის "კრილიაზე" ნაკლები კლუბი და საკუთარ ჩემპიონატს ლიდერობს. ასე რომ, აქ დარჩენა უფრო სასურველად მივიჩნიე.

- ეტყობა, "ლეგიამ" კარგი პირობებიც შემოგთავაზა.

- ჩვეულებრივი.

- პოლონური მედია დარწმუნებული იყო, რომ პოზნანის "ლეხში" გადახვიდოდი.

- პოლონეთში "ლეგია" საუკეთესო კლუბია და ჩემი არჩევანი ბუნებრივია – საუკეთესო ვარიანტი ვამჯობინე.

- "პოლონიას" თურქული შეკრება ნაადრევად დატოვე, პოლონეთში კი სეზონი მალე იწყება და ფორმაში თუ ხარ?

- თურქეთში გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ვემზადებოდი. ინდივიდუალურად მხოლოდ ბოლო კვირა ვვარჯიშობდი, თანაც, ერთი დღეც არ ჩამიგდია.

- გვითხრეს, რომ "პოლონიაში" ბოლო ოთხი თვე ხელფასს ვერ იღებდი. ასე უცხოეთში როგორ ცხოვრობდი?!

- "პოლონიაში" დავალიანება გამიჭეტუმრეს, კონფლიქტი ამოიწურა და გუნდს და მის პრეზიდენტს კარგად დავემშვიდობე.

- რატომ შეარჩიე მაინცდამაინც 13-ნომრიანი მაისურა?

- უბრალოდ, თავისუფალი იყო და ავიღე. თანაც, ცრუმორწმუნე არ ვარ.

- შენთან დაკავშირებით სულ ეს კითხვა მაქვს – აბსოლუტურად ყველა კლუბში კარგად თამაშობ, მაგრამ მეჩვენება, რომ ნაკრებში შებოჭილი, დაძაბული ხარ და შესაძლებლობებს ვერ ავლენ - იმედია, მალე ნაკრებშიც გაიხსნები.

- ეს ფაქტი ყველაზე მეტად გულს მე მწყვეტს, მაგრამ საკუთარი თავის მჯერა და იმედია, მალე ყველაფერს გამოვასწორებ.

მერაბ მამულაშვილი

● დინამო

რა მოხდა დინამოში ანთალიური შეკრების დასრულების შემდეგ?

ხმალაძე დინამო-2-ში, ძარია და რეხვიაშვილი ტრანსფერზე

ანთალიური შეკრებიდან დაბრუნებული თბილისის "დინამო" სეზონისთვის მზადებას დიღმის ბაზაზე ასრულებს. პარასკევს ფეხბურთელებმა დაისვენეს, ხოლო შაბათს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ისინი კვლავ ორჯერ დატვირთა.

სულ 22-მა ფეხბურთელმა ივარჯიშა. "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, **ოთარ ხიზანეიშვილი,** რომელიც ტრავმის გამო გუნდს თურქულ შეკრებაზე არ ახლდა, ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. "დინამოს" გუშინ შეუერთდა სლოვაკი ნახევარმცველი **პეტერ გრაიციარი,** დღეს კი ბასკ **უსტარიცს** ელიან.

გიორგი რეხვიაშვილი

ირაკლი ძარია

სხვათა შორის, უსტარიცი ბოლო ერთი წელი უთამაშებელი იყო, თურქეთშიც ბევრი არ უთამაშია, მაგრამ ამის მიუხედავად გვითხრეს, რომ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო – ეტყობა, უთამაშებელი პრიმერადივიზიონელიც სხვა "პლანეტაა".

ჩვენ კი სწორედ "დინამოს" ვებგვერდზე მოხმობილმა რიცხვმა დაგვაინტერესა: თურქულ შეკრებაზე გუნდი 24-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა, ადგილზე კი შეუერთდნენ **ჩისკო,** გრაიციარი, **მენდი** და უსტარიცი. დავადგინეთ, თბილისში დაბრუნებულ ძირითად "დინამოსთან" ერთად აღარ ვარჯიშობენ **ირაკლი ძარია, ლევან ხმალაძე** და **გიორგი რეხვიაშვილი**.

ამტკიცებენ, რომ თურქული შეკრების შემდეგ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ეს სამეული და პლუს თარჯიმანი **გიორგი მეტრეველი** დაითხოვა. რა მოხდა თურქეთში და რატომ მიიღო ჩეხმა სპეციალისტმა ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება? რატომ აღარ ვარჯიშობს მთავარ ჯგუფში ეროვნული ნაკრების სამი კანდიდატი, ჩვენთვის უცნობია.

გუნდში მწვრთნელისა და მოთამაშეთა კონფლიქტი კატეგორიულად უარყვეს. ამტკიცებენ, რომ შესაძლოა, **დუშან უჰრინს** სამივეს გაშვების სურვილი არც ჰქონდეს, მაგრამ მათი გამოფხიზლება გადაწყვიტა. რასთან დაკავშირებით, ესეც უცნობია. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ეს გადაწყვეტილება თურქულ შეკრებაზე ჩაგდებულ ბოლო შეხვედრას უკავშირდება: "დინამო" ლუგანსკის "ზარიასთან" 0:4 დამარცხდა და თბილისელთა თამაშით გუნდის მეპატრონე **რომან ფიფია** აღშფოთებული დარჩა. ეგაა, რეხვიაშვილი მოედანზე 84-ე წუთზე **ემანუელ მენდის** შემცვლელად გამოჩნდა, ძარია და ხმალაძე ძირითადში იყვნენ და ორივე მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალეს.

უახლოეს დღეებში "დინამო" ახალწვეულების პრეზენტაციას გეგმავს და ალბათ, მანამდე ყველა სხვა სიახლე გაცხადდება. ახლა კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ხმალაძე "დინამო 2"-ში ვარჯიშობს, ძარია და რეხვიაშვილი კი ტრანსფერზე დააყენეს.

მერაბ მამულაშვილი

● ზესტაფონი

კაჭარავას თავი პეტკოვმაც მოაწონა

ქართული სეზონი 22 თებერვალს, საქართველოს სუპერთასისთვის მატჩით განახლდება, სადაც ტიტულისთვის ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი "ზესტაფონი" და თასის მფლობელი "დილა" დაუპირისპირდებიან.

თურქული შეკრებიდან დაბრუნებული "ზესტაფონი" ამ და მომდევნო მატჩებისთვის მზადებას საკუთარ ბაზაზე განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ ფეროელთა ლაზარეთი ნელ-ნელა ცარიელდება. საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიში განაახლეს გუნდის კაპიტანმა **თორნიკე აფციაურმა** და კოტდივუარელმა ფორვარდმა **ბოტი გოა დემელმა,** საწვრთნელ პროცესს კი ჯერ არ დაბრუნებიან **თედორე გრიგალაშვილი** და **რატი წინამძღვრიშვილი**.

უკვე იცით, რომ "ზესტაფონში" გაგრძელებენ კარიერას ალჟირელი შემტევი **მოჰამედ რეკრუკი** და ესპანელი მცველი **ორიოლ ლოსანო ფარანი.** სიახლე კი ის არის, რომ იმერელთა სამწვრთნელო შტაბს თავი ბულგარელმა ნახევარმცველმა **დიმიტარ პეტკოვმაც** მოაწონა. ეს უკანასკნელი ფეროელებს თურქული შეკრების მიწურულს შეუერთდა. ყველა ამ ფეხბურთელს "ზესტაფონი" კონტრაქტს უახლოეს დღეებში გაუფორმებს.

ლევან ჯანეზაშვილი

● სამზადისი

სიონი შეკრებიდან დაუმარცხებლად ბრუნდება

სიონი — დინამო (მინსკი) 0:0

სიონი: ბობღლიაშვილი – უგრეხელიძე, ორბელაძე, სვანიძე, ფოფხაძე – ჰაიდუჩეკი, ნემსაძე – ბიბილეიშვილი, მანნკავა, ლექვთაძე – ახალაია.

შეცვლაზე: ლობჟანიძე, ქემოკლიძე, ჯოჯუა, საპირი, ფალავანდიშვილი, ხურციძე, ისიანი.

გუშინ თურქულ შეკრებაზე ბოლნისის "სიონმა" ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. **არმაზ ჯელაძის** გუნდის მეტოქე **ოლეგ პროტასოვის** გაწვრთნილი მინსკის "დინამო" გახლდათ. შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა და 0:0 დასრულდა.

ტერიტორიულ უპირატესობას ბელარუსები ფლობდნენ, თუმცა საგოლე მომენტები ბოლნისელებმაც შექმნეს. მაგალითად, 35-ე წუთზე **ლადო ახალაიამ** ანგარიშის გახსნის შესაძლებლობით ვერ ისარგებლა.

შეხვედრას ბრესტის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **ვლადირ კურნევი** დაესწრო, რომელიც, თურმე, "სიონს" ბელგრადის "რადთანაც" აკვირდებოდა. მან ქართველების მებრძოლი ხასიათი აღნიშნა და თურმე, რამდენიმე მოთამაშე მოეწონა. ჩვენი ცნობით, გამორიცხული არ არის, რამდენიმე სიონელი მალე ბრესტის გუნდში გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ კურნევთან ამჟამად ორი ქართველი ირიცხება და ორივე თავდამსხმელია – **უჩა გოგოლაძე** და **ზვიად ქანთარია**.

მოკლედ, ბოლნისელებმა თურქული შეკრება ნაუგებლად დაასრულეს: 5 შეხვედრიდან 4 ფრედ დაასრულეს – ყაზახურ "ირტიშთან" (0:0), მოსკოვის "ტორპედოსთან" (0:0), მონტენეგროს "ედინსტვოსთან" (2:2) და მინსკის "დინამოსთან" (0:0), ხოლო ბელგრადის "რადს" 2:1 სძლიეს.

გუნდი საქართველოში გამობრუნდება და სეზონისთვის მომზადებას 21 თებერვალს "ბენდელას" სტადიონზე განაახლებს.

მერაბ მამულაშვილი

● მეტალურგი

გიორგი ყიფიანი: რა ტემპიც შემოგვთავაზეს, იმას ავყევით

რუსთავის „მეტალურგი“ ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა, თუმცა სეზონის მეორე ეტაპისთვის აქტიურად ემზადება, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდა და თურქული შეკრებაც მოილია. ერთი სიტყვით, „მეტალურგი“ ურიგო გუნდი არ უნდა იყოს სეზონის მეორე ნახევარში. რუსთაველებს უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრებათ, თასზეც სათამაშო აქვთ და ვინ იცის, იქნებ ევროსაგზურისთვისაც გაიბრძოლონ.
„მეტალურგმა“ თურქეთში ოთხი ამხანაგური შეხვედრა ითამაშა, ორი წააგო და ორშიც გაიმარჯვა. ცხადია, შეკრებაზე გამართულ მატჩებში შედეგი არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ, თუ რა სიძლიერის გუნდი იქნება „მეტალურგი“.
რუსთაველები უკვე დაბრუნდნენ საქართველოში და გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი ყიფიანს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.



- საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით თურქულ შეკრებას?

- არასასიამოვნო იყო ფეხბურთელების ტრავმები, ლევან კორღალიძე და გიორგი მიქაბერიძე დაშავდნენ. საქართველოში რომ დავბრუნდით, ამ ფეხბურთელებს გამოკვლევა ჩავუტარეთ და აღმოჩნდა, რომ საგანგაშო არაფერია. სხვა მხრივ, თურქული შეკრება ერთობ ნაყოფიერი გამოდგა, შეთამაშების მხრივაც ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ.

- „მეტალურგის“ ახალწვეულებზე რას გვეტყოდით, რამდენად დაგაკმაყოფილათ მათმა მზადყოფნამ?

- მათი პოტენციალი ამ შეკრებამდეც ვიცოდით, თურქეთშიც კარგად წარმოაჩინეს თავი. დუბლშემადგენლობიდან დაწინაურებულმა ფეხბურთელებმაც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ, ამაზე გაჩერება არ შეიძლება. ჩვენი გუნდი კიდევ უნდა დაიხვეწოს.

- რა ტაქტიკური სქემები დაამუშავეთ თურქულ შეკრებაზე? უფრო რომელ განლაგებას ეყრდნობოდით?

- პირველ ორ შეხვედრაში 4-5-1 განლაგება ავირჩიეთ, 4-3-3 სქემაზეც მოგვინია გადაწყობა. მერე ორი თავდამსხმელით ვითამაშეთ - ერთი გამოკვეთილი ფორვარდი და მეორე უდნავ უკან. სეზონის განახლებამდე კიდევ ვაპირებთ ამხანაგური მატჩის გამართვას, ალბათ 20 თებერვალს ვითამაშებთ, მეტოქე ჯერ უცნობია.

- უკანდახეული შემტევი ალბათ „მეტალურგის“ ახალწვეული გოგი ფიფია იყო...

- კი, ის მეორე თავდამსხმელად ვათამაშეთ, კორეულ „ჰოპანგთან“ გამარჯვების გოლიც გაიტანა. არაერთი ფეხბურთელი გამოვცადეთ სხვადასხვა პოზიციაზე.

- კიდევ რა დაგანახათ თურქეთში გამართულმა საკონტროლო მატჩებმა?

- ამ შეხვედრებმა დაგვანახა ის, რომ ძალიან სასარგებლოა უცხოურ გუნდებთან თამაში, ფეხბურთელები ახალ გამოცდილებას იძენენ. საქართველოს ჩემპიონატში ტემპი მაღალი არ არის, უცხოური გუნდები ჩვენზე უფრო სწრაფად თამაშობენ. ამ შეკრებაზე მეტოქეებმა რა ტემპიც შემოგვთავაზეს, იმას კარგად ავყევით. ჩვენი ჩემპიონატი უფრო მაღალი დონის რომ იყოს და უფრო სწრაფად რომ ვითამაშოთ, ამის პოტენციალი ქართულ გუნდებს ნამდვილად გააჩნიათ. ისე არ არის, თითქოს ქართულ გუნდებს არ შეუძლიათ უფრო სწრაფად თამაში. აგერ ქუთაისის „ტორპედო“ შეკრებაზე საკმაოდ ძლიერ გუნდებს ეთამაშა და ტოლი არავისთვის დაუდია, შეკრებაზე ძლიერ გუნდებთან თამაში ძალიან სასარგებლოა.

- საქართველოს ჩემპიონატში სწრაფ თამაშს მოედნების ხარისხიც არ უწყობს ხელს...

- რა თქმა უნდა, ცუდი საფარი ხელისშემშელი ფაქტორია, მაგრამ მხოლოდ ამას ნუ დავაბრალებთ იმას, რომ ტემპი მაღალი არ არის. აქ ბევრი სხვა ნიუანსიცაა, თუნდაც ფსიქოლოგიური, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა მიმართულებას ირჩევს მწვრთნელი და როგორ უდგებიან საქმეს ფეხბურთელები.

- გიორგი განუგრავაზე ცალკე გკითხავთ. იყო დრო, ის ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, ასაკობრივ ნაკრებებშიც თამაშობდა და ეროვნულშიც, მერე კი მისი კარიერა დაღმა წავიდა...

- „მეტალურგში“ რომ მივედი, განუგრავა უკვე იქ დამხვდა. ხანგრძლივი უთამაშებლობა, ტრავმები - ყველაფერმა ამან მას ხელი შეუშალა. განუგრავას ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ყველანაირად შევუწყობ ხელს. მას გარკვეული დრო დასჭირდება, კონდიციები რომ აღიდგინოს. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა უკეთესობისკენაა წასული, განუგრავას ეტყობა, რომ მოედანზე აზროვნება შეუძლია, ვნახოთ, ახლა ყველაფერი მასზე იქნება დამოკიდებული...

დავით თავართქილაძე

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

● სამზადისი

ტორპედო-სტრომსგოდსეტი ფოტო: www.fctorpedo.ge

ტორპედომ შეკრება დაასრულა

ფრე ნორვეგიელებთან

ესპანურ შეკრებაზე ქუთაისის "ტორპედომ" 16 თებერვალს ბოლო საკონტროლო მატჩი კვლავ "სოტოგრანდეს" მოედანზე გამართა. **გია გეგუჩაძის** განწვრთნილებს დრამენის "სტრომსგოდსეტი" დაუპირისპირდა.

"სტრომსგოდსეტი" ნორვეგიის საფეხბურთო ელიტის წარმომადგენელია - 2012 წელს 37 წლის **რონი დეილას** დარიგებულები ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ და ეროვნულ თასსაც დაეუფლნენ.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელებმა მოსამზადებელ ეტაპზე 6 ამხანაგური მატჩი ჩაატარეს: დამარცხდნენ ფინურ ჰიკ-თან (0:1), "ლილესტრიომთან" (1:3), შვედურ "გიოტერბორგთან"(0:3) და სლოვენიის "ოლიმპიასთან" (1:3), ფრედ ითამაშეს შვეიცარიულ "ლოზანასთან" (2:2), მაგრამ დაამარცხეს მოსკოვის ცსკა-სთან (2:1).

ტორპედო -სტრომსგოდსეტი 1:1

1:1 ბერიაშვილი (40), 1:1 კვაკვა (50).

ტორპედო: მიგინეიშვილი – რიგვავა (80. ტაბატაძე), ონიანი, ჭელიძე, გურული – დოლიძე (67. ბოლქვაძე), გრიგალაშვილი (46. ფირცხალავა), დათუნაიშვილი (67. გიგაური), ტულუში (67. მარკოზაშვილი) – საბანაძე (67. ფანცულაია), ბერიაშვილი.

ქუთაისელთა პრესსამსახურის ცნობით, ნორვეგიელებმა მატჩის დაწყებისთანავე პრესინგით სცადეს ჩვენების ნახევარზე თამაში, თუმცა "ტორპედომ" ამის საშუალება არ მისცა და მალე ქუთაისელები უპირატესობას ფლობდნენ.

"ტორპედომ" რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნა: მე-8 წუთზე კარისკენ პენალტის ნიშნულიდან **ნიკა საბანაძემ** დაარტყა, მაგრამ მეკარემ დამაჯერებლად ითამაშა.

28-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ ისევ საბანაძე რჩებოდა და ნორვეგიელმა მცველმა წააქცია, რაც "ბოლო იმედის ჯარიმა" იყო, თუმცა მსაჯმა წესების დარღვევაზე თვალები დახუჭა.

მე-40 წუთზე მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილმა **ბექა ტულუშმა გიორგი ბერიაშვილი** მოძებნა, რომელმაც "ტორპედო" დააწინაურა - 1:0.

ბერიაშვილს მალე სხვაობის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

სახიფათო მომენტი შექმნეს ნორვეგიელებმაც და სიზუსტე მათაც არ ჰყოფნიდათ. თუმცა, მეორე ნახევარში ანგარიში მაინც გაათანაბრეს: 50-ე წუთზე მოედნის ცენტრში ტულუში მეტოქესთან ორთაბრძოლისას დაშავდა, "სტრომსოგდსეტის" ფეხბურთელებმა ბურთი არ გააჩერეს, მსაჯსაც არ ჩაუსტვენია და მარცხენა ფლანგიდან განვითარებული კონტრშეტევა **ენოკ კვაკვას** ზუსტი დარტყმით დასრულდა - 1:1.

მეტოქე ამის შემდეგაც აქტიურობდა –საჯარიმოს გარედან ისევ კვაკვამ შეუტია და ბურთი კარის ძელს მოხვდა. საგოლე მომენტი ქუთაისელებმაც შექმნეს, მაგრამ ტულუშმა და **მერაბ გიგაურმა** შესაძლებლობით ვერ ისარგებლეს. 89-ე წუთზე მატჩის ბედის გადაწყვეტა **გიორგი ფანცულაიას** შეეძლო და მასაც არ გაუმართლა, ეს დაპირისპირება კი ზავით დასრულდა - 1:1.

ესპანეთში "ტორპედომ" სულ 5 მატჩი გამართა: "მარბელას თასზე" ბუქარესტის "რაპიდი"პენალტების სერიაში დაამარცხა (5:3, ძირითადი დრო 1:1), ნახევარფინალში ბუქარესტის "დინამოსთან" დამარცხდა (1:2), მე-3 ადგილისთვის - კიევის "დინამოსთან" - (2:4). შემდეგ საკონტროლო მატჩები გეგუჩაძის შეგირდებმა ერთნაირი ანგარიშით (1:1) დაამთავრეს – რუმინულ "ოცელულთან" და "სტრომსგოდსეტთან".

ნორვეგიელებთან სპარინგით "ტორპედომ" ზამთრის შეკრება დაასრულა, გუშინ გუნდი ესპანეთიდან გამოემგზავრა და მალაგა-სტამბული-თბილისის რეისით სამშობლოში დაბრუნდა.

მერაბ მამულაშვილი

● ბენდელას თასი

ნახევარფინალის წყვილები გაირკვა

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით მიმდინარე "ბენდელას თასზე" ბოლო მეოთხედფინალური შეხვედრაც გაიმართა. 16 თებერვალს საღორიას სანვრთნელ ბაზაზე ქუთაისის "ტორპედო 2"-მა ცხინვალის „სპარტაკი 2“-ს უმასპინძლა და 1:0 სძლია.

ამდენად, ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია: „ქართლი“ თბილისის „დინამო 2“-ს დაუპირისპირდება, „ვიტ ჯორჯია“ კი „ტორპედო 2“-ს. ორივე მატჩი 21 თებერვალს გაიმართება, მაგრამ შეხვედრებს რომელი სტადიონები უმასპინძლებენ, დღეს გადაწყდება.

ფინალი კი 25 თებერვალს 14:00 საათზე "ბენდელას" სტადიონზე დაიგეგმა.

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთი

● ლეგიონის უქმეები

კაშიამ ნავსი გაგეხა, ყენიამ სერბული დაცვა

„ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშია გრონინგენთან მატჩისას

ჰოლანდიის ერედივიზიეში სამმატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა "ვიტესმა". არნემელებმა შინ "გრონინგენს" 2:0 სძლიეს და სატურნირო ცხრილში 42-ე ქულით მეხუთე ადგილზე არიან. **მერაბ ჟორდანიას** კლუბი ინარჩუნებს როგორც ევროპის ლიგაში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსებს.

რა თქმა უნდა, "ვიტესის" წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა გუნდის კაპიტანმა **გურამ კაშიამ**, რომელმაც შეხვედრა შეუცველად ჩაატარა. არნემელთა მეორე ჩვენებურს, **ვაკო ყაზაიშვილს**, ამჯერად თამაშის საშუალება არ მისცემია – სათადარიგო იყო.

ლევან კობიაშვილს ამჯერად მოედანზე გასვლამ არ მოუწია – ბერლინის "ჰერტამ" გასვლით შეხვედრაში მის გარეშე 1:0 სძლია "აალენს" და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებისკენ. ვეტერანი ქართველი, რომელმაც ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი წინა ტურში ჩაატარა, ამჯერად სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დასჯერდა.

თურქეთის სუპერლიგაში "ქაისერისფორმა" გასვლით მატჩში 3:0 გაანადგურა "ესქიშეჰირსფორი". **ზურაბ ხიზანიშვილმა** "ქაისერის" დაცვის ცენტრში სრულად ითამაშა. **შოთა არველაძის** "ქაშიფაშა" დღეს "სივასფორს" უმასპინძლებს.

აზერბაიჯანული პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა ბაქოს "ინტერმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე "გაბალა" 2:1 დაამარცხა. ინტერელმა **ბაჩანა ცხადაძემ** მოედანი ამჯერად უგოლოდ დატოვა. იგი ძირითად შემადგენლობაში იყო და 82-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** მატჩი სრულად ჩაატარეს, ხოლო რევაზ თევდორაძე სათადარიგო იყო. კიდევ ერთი ინტერელი **გიორგი ადამია** ტრავმის გამო თამაშს კვლავ ვერ ახერხებს. **კახა ცხადაძის** გუნდი უახლოეს მდევარ "ნეფთჩის" ორი ქულით უსწრებს.

"ნეფთჩიმ" მეორე საფეხური **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილი "სიმურგის" ძლევით დაიმსახურა – ბაქოელებმა ზაქათალელებს სტუმრად 2:0 მოუგეს. "სიმურგს" 34 ქულა აქვს და ლიდერ "ინტერს" 6 ქულით ჩამორჩება.

"ბაქიმ", რომელსაც ევროასპარეზზე

ჯაბა კანკავა (მარცხნივ)

გასვლის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს, აზალ-ს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. ბაქოელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ფოფხაძემ**. "თურანი", რომლის რიგებშიც **დავით ჯანელიძემ** მეორე ტაიმი ჩაატარა, სტუმრად 2:4 დამარცხდა ლენქორანის "ხაზართან".

იტალიის სერია B-ში "ემპოლი" "ტერნანას" ეწვია და 0:0 დაუზავდა. **ლევან მჭედლიძე** ტრავმირებულია (ალბანეთი-საქართველოს მატჩში დაშავდა), მისი თანაგუნდელი **ირაკლი შეყილაძე** კი "ემპოლის" სათადარიგო გახლდათ.

გადავინაცვლოთ საკონტროლო მატჩებზე, რომლებშიც ჩვენი თანამემამულეები ამ პერიოდში სისტემატურად მონაწილეობენ – ბევრ ევროპულ ქვეყანაში ხომ სეზონი ჯერ არ განახლებულა.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მოსკოვის "სპარტაკისა" და დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ამხანაგური შეხვედრა იყო, რომელიც ესპანურ მარბელიაში გაიმართა – ერთმანეთის წინააღმდეგ ხომ ქართველებმა ითამაშეს. "სპარტაკმა", რომლის შემადგენლობაშიც ახლად გამოჯანმრთელებული **ჯანო ანანიძე** 76-ე წუთიდან გამოჩნდა, უკრაინელებს 2:0 მოუგო. დნიპროელმა **ჯაბა კანკავამ** მოედანზე 90 წუთი გაატარა, მისი სასტარტოში გამწესებული თანაგუნდელი **ალექსანდრე კობახიძე** კი 29-ე წუთზე შეცვალეს.

ლევან ყენია ლვოვის "კარპატისა" და ბელგრადის ოფკ-ის ტესტმატჩში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო – თავის გუნდს პენალტიც მოუპოვა და საგოლე გადაცემის ავტორიც გახდა. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა.

უკრაინული "ილიჩევეცი" უზბეკურ "ნასაფს" დაუზავდა – 0:0. "ილიჩევეცის" სამივე ქართველი ძირითადში იყო. **თორნიკე ოქრიაშვილმა** და მარიუპოლელთა ახალწვეულმა **გიორგი ჯგერენაიამ** სრულად ითამაშეს, **დავით თარგამაძე** კი 39-ე წუთზე შეცვალეს.

აკაკი ხუბუტიამ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ რუსულ "მორდოვიასთან" კონტრაქტი გააფორმა, მაკედონიურ "რაბოტნიჩკისთან" სპარინგში მეორე ტაიმი ჩაატარა. მატჩი "მორდოვიამ" 3:1 მოიგო.

ლევან ჯანელაშვილი

ჯანო ანანიძე ამჯერად შეცვლაზე მევიდა

● ფუტსალი

იბერია შეუჩერებელია

შაბათს, 16 თებერვალს, სპორტკომპლექს "არენაში" საქართველოს ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატის მე–2 წრის თამაშები გაიმართა:

იბერია სტარი — GIEC		**9:2**
თელავის უნივ. — **სტუ თელასი**		**3:9**

საქართველოს ჩემპიონი და უეფას ოთხთა ფინალის მონაწილე "იბერია სტარი" დამაჯერებლად გამოდის და კვლავაც დაუმარცხებელია. ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში **სერაფინ ბენატის** გაწვრთნილებმა ამჯერად საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის (GIEC) გუნდი 9:2 დაამარცხეს. "იბერიას" ფორმით პირველი ბურთი გაიტანა ბრაზილიელმა ახალწვეულმა **ედიგლეუსონმა**.

ტურის ერთი შეხვედრა არ ჩატარდა: თსუ – "სოკარის" მატჩი პირველის მიზეზით გადაიდო. ბოლო ორი ტურია, რაც ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საბაზო გუნდი თსუ ჩემპიონატის თამაშებში აღარ მონაწილეობს. სამწუხაროდ, გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა, მაგრამ გვითხრეს, რომ არ იშლება. ეროვნულ ჩემპიონატში სულ 6 გუნდი მონაწილეობს და ერთის პრობლემა უცებ სხვებზე აისახა. იმედია, თსუ-ში ვითარება მალე მოგვარდება. 19 თებერვალს ხომ „არენაში“ მე-2 წრის მორიგი ტურის ცენტრალური თამაში სწორედ თსუ-ს მონაწილეობით დაიგეგმა – სტუდენტები „იბერია სტარს“ 14:00 საათზე უნდა შეხვდნენ. იმედია, ამჯერად თსუ-ს მოედანზე ვიხილავთ.

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა სიაში პირველ ადგილზე კვლავ **დავით ბობოხიძეა** (თსუ, 12 ბურთი), მეორეს **გიორგი ტიკურიშვილი** ("სოკარი") და **რაფა** ("იბერია სტარი") ინანილებენ – 10-10 ბურთი, ხოლო 8-8 ბურთით მესამეზე არიან **ლევან კობაიძე** (თსუ) და **ფუსტე** ("იბერია სტარი").

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იბერია	6	6	0	0	42-10	18
2. თელასი	7	5	0	2	35-19	15
3. თსუ	5	4	0	1	39-14	12
4. სოკარი	6	3	0	3	40-19	9
5. GIEC	7	1	0	6	17-50	3
6. თელავი	7	0	0	7	13-74	0

მერაბ მამულაშვილი

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXV ტური.

„ლიონმა“ „ბორდო“ მიწასთან გაასწორა

ლიონის გასეირნება ბორდოში

ლილი–რენი	**2:0**
გოლები: 1:0 მავინგა (24-საკ. კარში), 2:0 პაიე (61).	
მარსელი–ვალანსიენი	**1:0**
გოლი: 1:0 ფანი (90).	
ლორიანი–ევიანი	**2:1**
გოლები: 1:0 ალიადიერი (42-პენ), 2:0 მონე-პაკე (78), 2:1 ბეტაო (83).	
მონპელიე–ნანსი	**1:0**
გოლი: 1:0 ერერა (34).	
ბასტია–ნიცა	**0:1**
გოლი: 0:1 მოპეი (61).	
ბრესტი–აიაჩო	**1:1**
გოლები: 1:0 რასპენტინო (12), 1:1 ოლიეჩი (70).	
ტულუზი–ბრეა	**2:2**
გოლები: 0:1 იატარა (78), 0:2 ნივე (83), 1:2 ბენ ბასატი (87), 2:2 ნივე (88-საკ. კარში).	
ბორდო–ლიონი	**0:4**
გოლები: 0:1 გრენიე (15), 0:2 ფოფანა (65), 0:3 გრენიე (73-პენ), 0:4 ლაკაზეტი (75)	
რეიმსი–სტ. ეტიენი	**1:1**
გოლები: 0:1 ობამეიანი (10), 1:1 კურტე (76).	
სოშო–პსჟ	**3:2**
გოლები: 0:1 ალექსი (29), 1:1 რუდე (36), 2:1 სიო (54), 2:2 სახო (76), 3:2 ბაკამბუ (83)	

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პსჟ	25	15	6	4	47-16	51
2. ლიონი	25	14	6	5	43-24	48
3. მარსელი	25	14	4	7	32-29	46
4. ნიცა	25	11	9	5	37-28	42
5. სტ. ეტიენი	25	11	8	6	37-19	41
6. რენი	25	12	4	9	37-32	40
7. ლორიანი	25	10	9	6	41-39	39
8. მონპელიე	25	11	5	9	40-32	38
9. ბორდო	25	9	11	5	26-20	38
10. ლილი	25	9	10	6	32-25	37
11. ვალანსიენი	25	9	6	10	34-36	33
12. ტულუზი	25	8	8	9	32-32	32
13. აიაჩო	25	7	10	8	28-33	29
14. სოშო	25	7	5	13	25-36	26
15. ბასტია	25	7	5	13	29-51	26
16. ბრესტი	25	7	4	14	25-36	25
17. რეიმსი	25	5	9	11	22-29	24
18. ევიანი	25	5	8	12	25-38	23
19. ტროა	25	3	10	12	28-46	19
20. ნანსი	25	3	9	13	22-41	18

შენიშვნა: „აიაჩოს“ – 2 ქულა

ბომბარდირები: 21 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 10 – ალესანდრინი (რენი), ალიადიერი (ლორიანი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი).

ტური „ლილის“ და „რენის“ ძალიან საინტერესო მატჩით დაიწყო, რომელშიც გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ამით „რენის“ 4-მატჩიანი ნაუგებელი სერია შეწყდა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **რომენ ალესანდრინის** ტრავმა გახდა – 23 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ბოლო დროს საოცარ ფორმაში იყო, პირველ ტაიმში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა.

ალესანდრინის გამოკლება **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რენს“ ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება. თავად შეხვედრაზე სათქმელი ბევრი არაფერია. მასპინძლები **კრის მავინგას** ავტოგოლით დანინაურდნენ, მეორე ტაიმში კი გოლი **დიმიტრი პაიემ** გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

რა გასაკვირია, რომ მატჩის შემდეგ ფრედერიკ ანტონეტი ალესანდრინის ტრავმაზე უფრო წუხდა, ვიდრე წაგებაზე: *„დღევანდელი დღის ყველაზე ცუდი ამბავი რომენის ტრავმაა. ერთი შეხვედრის წაგებას გადავიტანთ, მაგრამ თუ მას მყესები გაწყვეტილი აქვს, ეს ჩვენთვის ძალიან სერიოზული პრობლემა იქნება“.*

როგორც მოგახსენეთ, მეორე დღეს ჩატარებულმა გამოკვლევამ, მყესების გაწყვეტის დიაგნოზი დაადასტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ალესანდრინისთვის სეზონი დასრულებულია.

ბოლო წამამდე ინერვიულეს „მარსელის“ ქომაგებმა, რომელთა გუნდიც „ვალანსიენს“ ვერაფერს უხერხებდა და მორიგი ქულების დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა. **ელი ბოპის** გუნდი უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გოლის გატანას ვერაფრით ახერხებდა. პროვანსელებმა უკანასკნელი შეტევით, მატჩის ბოლო წამებზე იხეირეს. 94-ე წუთზე, **მოდუ სუგუს** პასის შემდეგ, შეტევაში ჩართულმა **როდ ფანმ** იხეირა და „ოლიმპიკის“ 3-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა. აღსანიშნავია, რომ „მარსელს“ „ვალანსიენთან“ 2010 წლის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული.

„გამარჯვება გამარჯვებაა და არ აქვს მნიშვნელობა სამ ქულას ბრძოლით მოიპოვებ, თუ ლამაზი და ლაღი თამაშით. ჩემპიონატი ძალიან დაძაბულია, ყველა ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დღეს სამივე ქულა ჩვენ დაგვრჩა. მთელი მატჩის მანძილზე დიდ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ მომენტების შექმნა გვიჭირდა. „ნანსისთან“ წაგების შემდეგ აშკარად მოვუმატეთ და იმედი მაქვს, რომ სეზონის ბოლომდე ჩავარდნა აღარ გვექნება,“ – განაცხადა „მარსელის“ მთავარმა მწვრთნელმა ელი ბოპმა.

საოცარი ფინალი ჰქონდა „ტულუზი“-"ტროას" შეხვედრას. მაყურებელმა, მატჩის ბოლო 12 წუთში 4 გოლი იხილა. 78-ე და 83-ე წუთზე სტუმრებმა ორი ბურთი გაიტანეს. თავისი მორიგი, უკვე მერვე ბურთი გაიტანა ვეტერნმა **ბენჟამინ ნივემ**, რომელმაც 88-ე წუთზე უკვე საკუთარი კარი დალაშქრა. იქამდე თავი **ედენ ბენ ბასატმა** გამოიჩინა – „ბრესტიდან“ ნაყიდმა ფეხბურთელმა, ახალ კლუბში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

დარიო ცვიტანიჩის გარეშე დარჩენილმა „ნიცამ“ „ბასტიას“ მოუგო. სტუმრებს გამარჯვება 16 წლის **ნილ მოპემ** მოუტანა, რომელმაც უკვე თავისი მესამე გოლი გაიტანა. შეხვედრის 61-ე წუთზე, თინეიჯერმა ფეხბურთელმა **ფაბრის აბრიელის** პასი მიიღო და ზღვისპირელებს სამი ქულა მოუტანა. ამ შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა 20 წლის **გრეგორი პუელს**, რომელიც „ნიცას“ მწვრთნელის, **კლოდ პუელის** შვილია. გრეგორიმ ერთ ეპიზოდში გამოიჩინა თავი, როდესაც **ანტონი მოდესტეს** დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა და საკუთარი გუნდი გადაარჩინა.

ტურის ცენტრალური მატჩი ბორდოში გაიმართა. „შაბან დალმაზე“ მხოლოდ ერთმა გუნდმა ითამაშა და დიდი ანგარიშით მოიგო. „ლიონმა“ „ბორდოს“ შანსი არ დაუტოვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დაიბრუნა. აქამდე, „ბორდოს“ შინ ერთი მატჩი, ისიც „პარი სენ ჟერმენთან“ (0:1), ჰქონდა წაგებული. ყველა დაძაბული და თანაბარი მატჩის მოლოდინში იყო, მაგრამ ნეიტრალურ ქომაგს იმედი გაუცრუვდა. **კლემან გრენიემ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **გეიდა ფოფანამ** და **ალექსანდრ ლაკაზეტმა** გაიტანეს.

„ბორდომ“ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, 4 გოლი კი 2012 წლის 12 თებერვლის შემდეგ პირველად გაუშვა. ისიც აღსანიშნავია, რომ მაშინ, „ლილთან“ გამართულ შეხვედრაში, მიუხედავად საკუთარ კარში ოთხი ბურთის მიღებისა, „ბორდომ“ ის მატჩი მოიგო (5:4).

ტატო ბაციკაძე

● იტალია. სერია A. XXV ტური

დაარტყა, მაგრამ რა დაარტყა

ტოტიმ იუვე გააჩერა

შუა კვირაში „მილანს“ ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონასთან“ უწევს პაექრობა და ამიტომ, მასიმილიანო ალეგრის გუნდმა პარასკევს ითამაშა. მოკლედ, ტური მილანური მატჩით გაიხსნა, „სან სიროზე“ „შავ-წითლებმა“ „პარმას“ უმასპინძლეს და თავდაპირველად, სწორედ ამ მატჩზე ვთქვათ...

დაბადების დღეც ასეთი უნდა!

სტეფან ელ შაარავის აყოფნაში **მასიმილიანო ალეგრის** ორი არჩევანი ჰქონდა: „პატარა ფარაონის“ ადგილზე ან **ბოიან კრკიჩი** უნდა გაემწესებინა, ან **კევინ პრინს ბოატენგი**... არჩევანი გაენელზე შეჩერდა, თუმცა ანტრაქტის შემდეგ თამაშში ესპანელიც ჩაერთო. ცენტრფორვარდად **მარიო ბალოტელი** ირჯებოდა, კიდევ ერთი გარემარბი კი **მბაიე ნიანგი** გახლდათ. მოკლედ, ალეგრიმ ტრადიციული 4-3-3 ტაქტიკა დაუპირისპირა ძირძველი მილანელის, **რობერტო დონადონის** „პარმას“.

მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, სტუმრებმა არაფერი დაუთმეს მეტოქეს. მეტიც, დროის დიდი ნაწილი ემილიელებმა შეტევაში გალიეს და ტაიმის მიწურულს მათ კარში გატანილი გოლიც სრულიად ამოვარდნილი გახლდათ თამაშის სცენარიდან, იუბილარმა **გაბრიელ პალეტამ** დაბადების დღე საშინლად აღნიშნა, ჩაჭრა რა საკუთარ კარში ბურთი და „მილანი“ წინ გაიყვანა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა მოუმატეს და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ - განსაკუთრებით ეს ნიანგზე ითქმის, რომელმაც ბევრი არაზუსტი გადაცემა გააკეთა, ვერც დარტყმებისას ივარგა და ნათლად გამოჩნდა, რომ ჯერ დაღვინება სჭირდება. 78-ე წუთზე, ისევ მარიო ბალოტელიმ გაიბრწყინა და ულამაზესი საჯარიმო დარტყმით მატჩის ბედი გადაწყვიტა, 2:0. თამაშის მიწურულს, გრანდთა რისხვად შერაცხულმა **ნიკოლა სასნოლემ** ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ ეს იყო და ეს - „როსონერიმ“ უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში.

იუვე რომაში დაეცა

ტურის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად სატურნირო ცხრილში დიდი დაშორებისა და ქულათა შორის კოლოსალური განსხვავებისა, „იუვენტუსის“ „რომასთან“ ფავორიტად შერაცხვა არ იქნებოდა მართალი. ასეც აღმოჩნდა, დედაქალაქელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს ლიდერთან პაექრობა და გაიმარჯვეს კიდეც. განსაკუთრებით კარგად რომაელები მეორე ნახევარში გაისარჯნენ, როდესაც მკვეთრად მოუმატეს, მომენტებს უხშირეს და გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ერთადერთი გოლი **ფრანჩესკო ტოტის** ანგარიშზეა, რომელმაც შორი მანძილიდან უძლიერესად დაარტყა და შესანიშნავად მოასპარეზე **ჯანლუიჯი ბუფონს** შანსი არ დაუტოვა.

ტოტი მართლაც შეუდარებელი იყო და პარტნიორებმაც კარგად აუბეს მხარი - **ერიკ ლამელას** წუნი ფაქტობრივად არ ჰქონია და მისთვის ბურთის წართმევა ტურინელებს ძალიან უჭირდათ. **პაბლო ოსვალდოც** ნაყოფიერი იყო, გოლზე არ დაიგეშა, პასები არიგა და არაერთხელ გაამწვავა ვითარება მეტოქის კართან. მოკლედ, „რომამ“ მთლიანობაში კარგად ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. ტურინელებს თითქმის არაფერი გამოუვიდათ და „რომას“ კართანაც სულ რამდენჯერმე გამწვავდა ვითარება. ერთი სიტყვით, ეს არ იყო „იუვენტუსის“ დღე.

აურელიო ანდრეაცოლი (რომა): „გულშემატკივართა მხარდაჭერამ ენერგია შეგვმატა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. „იუვენტუსს“ არც ერთ კომპონენტში არ ჩამოვუვარდებოდით. ამან ყველაზე მეტად გამახარა. ჩვენი გუნდი ვითარდება და ეს პროცესი გაგრძელდება. მართალია, ლიდერებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. იყო თუ არა ეს საუკეთესო საღამო ჩემს ცხოვრებაში? - არა, ასე ვერ ვიტყოდი. უამრავი რამ გადამხდენია თავს თუნდაც „რომასთან“ ერთად და სხვა დროსაც ისევე განვიცდიდი აღმასვლასა თუ კრიზისს, როგორც მთავარი მწვრთნელის რანგში. ამასთან, მყავს ოჯახი, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. აქვე, მინდა „იუვენტუსი“ შევაქო, რომლის სტილიც ჩემში აღფრთოვანებას იწვევს“.

ანტონიო კონტე (იუვენტუსი): „შვიდ დღეში სამი მატჩის ჩატარება ძალიან რთულია და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. ერთი დღით მეტი რომ გვქონოდა დასვენებისთვის, შეიძლება სულ სხვანაირად გვეთამაშა. კარგი იქნება, თუ კალენდრის შედგენისას ასეთ ნიუანსებს უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ და შესაბამისად, მეტი პატივისცემით მოეკიდებიან იმ გუნდებს, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე იტალიას წარმოადგენენ. არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე, ჩვენი თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა და ეს სხვებზე უკეთ მე ვიცი. დღეს გუნდი არ ვიყავით, თითოეული ფეხბურთელი ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას, ასე კი ნებისმიერი მეტოქე დაგვამარცხებს. სწრაფად უნდა დავივიწყოთ რომაული მატჩი და მომდევნო შეხვედრაზე გადავერთოთ“.

ნაპოლიმ ვერ ისარგებლა...

ლიდერის წაფორხილებით ვერ ისარგებლა „ნაპოლიმ“ და საკუთარ კედლებში „სამპდორიას“ ქულები გაუყო. არადა, გამარჯვების შემთხვევაში ნეაპოლელები „იუვესთან“ მთელი სამი ქულით შეამციცინარებდნენ სხვაობას და კუდზეც დაავჯდებოდნენ. მართალია, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას **ვალტერ მაცარის** შეგირდები ფლობდნენ, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ფავორიტად შერაცხულმა მასპინძლებმა დაჩაგრეს სტუმრები. ფრე სადღაც ლოგიკური შედეგიც იყო, რადგან სამხრეთელებს შეტევაში ჩვეული სიმწვავე აკლდათ.

მაცარიმ როტაციას მიმართა, რაც ალბათ ფეხბურთელთა გადაღლილობით გახლავთ განპირობებული. **გორან პანდევის** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში **ლორენცო ინსინიე** დააყენა, **კამილო ცუნიგას** კი **პაბლო არმერო** ამჯობინა – ვერც ამან გამოიღო შედეგი და ევროპის ლიგაზე შერცხვენილმა ნეაპოლელებმა სერია A-ში დაკარგეს ქულები.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

კოლაღლია

ერედივიზიე. XXIII ტური.

ნაიმეგენი-ვენლო 1:2
გოლები: 1:0 ვან დერ ველდენი (6), 1:1 ნვოფორი (11), 1:2 ლინსენი (72).

ტვენტე-ვილემ II 1:1
გოლები: 1:0 დუგლასი (43), 1:1 იპელი (90).

გრედა-ჰერაკლესი 1:1
გოლები: 0:1 ევერტონი (11), 1:1 ტენ ვორდე (56).

როდა-ალკმაარი 2:2
გოლები: 1:0 მალკი (1), 1:1 ალტიდორი (34), 1:2 ოვერტოომი (51), 2:2 დემუგე (64).

ჰსვ-უტრეხტი 2:1
გოლები: 0:1 მულენგა (10), 1:1 მერტენსი (29), 2:1 ვაინალდუმი (65).
გაძევება: ჰატჩინსონი (70. ჰსვ ეინდჰოვენი).

ვიტესი-ბრონინგენი 2:0
გოლები: 1:0 ჰაევნაარი (53), 2:0 ბონი (63-პენ).

ზვოლე-ფეიენოორდი 3:2
გოლები: 1:0 პელე (2-საკ. კარში), 2:0 ლახმანი (7), 2:1 პელე (33), 2:2 პელე (34), 3:2 ავდიჩი (75)

დენ ჰაგი-ჰერენვენი 2:1
გოლები: 0:1 კუმსი (13), 1:1 ჰოლა (24), 2:1 კოლკი (37).

ვაალვაიკი-აიაქსი 0:2
გოლები: 0:1 მოისანდერი (22), 0:2 ერიკსენი (40).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰსვ	23	16	2	5	77-25	50
2. აიაქსი	23	13	8	2	53-24	47
3. ტვენტე	23	12	8	3	39-20	44
4. ფეიენოორდი	23	13	5	5	45-31	44
5. ვიტესი	23	12	6	5	43-28	42
6. უტრეხტი	23	11	6	6	34-27	39
7. ნაიმეგენი	23	9	6	8	32-36	33
8. დენ ჰაგი	23	7	10	6	37-41	31
9. ჰერაკლესი	23	6	10	7	45-45	28
10. ბრონინგენი	23	7	5	11	22-35	26
11. ალკმაარი	23	6	7	10	34-40	25
12. გრედა	23	6	6	11	25-40	24
13. ვაალვაიკი	23	5	8	10	25-31	23
14. ჰერენვენი	23	5	8	10	32-44	23
15. ზვოლე	23	5	8	10	25-37	23
16. როდა	23	4	10	9	32-45	22
17. ვენლო	23	4	7	12	27-49	19
18. ვილემ II	23	2	8	13	21-50	14

ბომბარდირები: 19 – ბონი (ვიტესი); 17 – პელე (ფეიენოორდი); 16 – ალტიდორი (ალკმაარი), ფინბოგასონი (ჰერენვენი).

მილანი-პარმა 2:1
გოლები: 1:0 პალეტა (39-საკ. კარში), 2:0 ბალოტელი (78), 2:1 სანსონე (90).

კიევო-პალერმო 1:1
გოლები: 0:1 ფორმიკა (5), 1:1 თერეუ (56-პენ.).
კიევო (4-4-2): პუჯონი – დანიელი, აჩერბი, ანდრეოლი, ფრეი - იოკიჩი, გუანა, კოფიე, ჰეტემაი (46. პელისიერი) – თერეუ (76. სპიროპულოსი), პალოსკი (66. ლუსიანო).
პალერმო (4-4-2): სორენტინო – მორგანელა (8. ნელსონი), მუნიოსი, გარსია, არონიკა - ბარეტო, კურტიჩი, ფაბრინი, რიოსი - ფორმიკა (58. ფონ ბერგენი), ბოზელი (79. მიკოლი).
გაფრთხილება: ანდრეოლი, ჰეტემაი - გარსია.
კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 6-4(1-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
მაყურებელი: 10 000

რომა-იუვენტუსი 1:0
გოლი: 1:0 ტოტი (58).
რომა (3-4-2-1): სტეკელენბურგი – პირისი, ბურდისო, მარკინიოსი – ტოროსიდისი, პიანიჩი (67. ბრედლი), დე როსი, მარკინიო (83. ბალცარეტი) – ლამელა, ტოტი (88. ფლორენცი) - ოსვალდო.
იუვენტუსი (3-5-2): ბუფონი – ბარეალი, ბონუჩი, კასერესი – ლიხტშტაინერი, პირლო, ვიდალი (71. ანელკა), პოგბა, ასამოა (56. ჰადონი) – ვუჩინიჩი (56. ჯოვინკო), მატრი.
გაფრთხილება: დე როსი, ტოტი - ლიხტშტაინერი, პირლო, მატრი.
კუთხური: 4-7; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 4-7; **კარში დარტყმა:** 11-5(5-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
მაყურებელი: 60 000

კატანია-ბოლონია 1:0
გოლი: 1:0 ალმირონი (42).
კატანია (4-3-3): ანდუხარი – ბელუში, ალვარესი, სპოლი, მარკეზე - ისკო, ლოდი, ალმირონი (58. ბიაჯანტი) – კასტრო (84. ლეგრომტალიე), გომესი (90. რიკიუტი), ბერგესინო.
ბოლონია (3-4-2-1): კურჩი – კერუბინი (70. მოსკარდელი), სორენსენი, ანტონსონი – მოტა (78. გარიჩი), პერესი, კრხინი, მორლეო – დიამანტი, კონე (46. გაბიადინი) – ჯილარდინო.
გაფრთხილება: პერესი, მორლეო (ბოლონია).
კუთხური: 6-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-9(7-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
მაყურებელი: 15 000

ჯენოა-უდინეზე 1:0
გოლი: 1:0 კუჩკა (33).
ჯენოა (3-5-1-1): ფრეი – ბოვო, მანფრედინი, პორტანოვა – როსი (84. ფერონეტი), კუჩკა, ვარგასი (59. მორეტი), ტოზეტერი, ანტონელი – ბერტოლაჩი (75. მ. რიგონი) – ბორიელო.
უდინეზე (3-5-1-1): პადელი – ბენეტია, ანჯელა, დომიცი – ბასტა, პერეირა, ალანი, ლაძარი (10. ბადუ), პასკუალე (79. მერკელი) – მაიკოსუელი (52. მურიელი) - დი ნატალე.
გაფრთხილება: ბოვო, ტოზეტერი – ბენეტია, ანჯელა.
კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-12(3-4); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.
მაყურებელი: 22 000

ნაპოლი-სამპდორია 0:0
ნაპოლი (3-4-1-2): დე სანკტისი – კამპანიარო, კანავარო, ბრიტოსი (60. პანდევი) – მესტო, ინლერი (77. ჯემაილი), ბერამი, არმერო (60. ცუნიგა) – ჰამშიკი – ინსინიე, კავანი.
სამპდორია (3-5-2): რომერო – როსინი, გასტალდელო, კოსტა - დე სილვესტრი (90. მუსტაფი), კრსტიჩიჩი, ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია – სანსონე (66. ედერი), იკარდი (81. მაქსი ლოპესი).
გაფრთხილება: კამპანიარო, ინლერი - გასტალდელო.
კუთხური: 6-2; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-9(6-5); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.
მაყურებელი: 45 000

პესკარა-კალიარი 0:2
გოლები: 0:1 საუ (53), 0:2 საუ (61).
პესკარა (4-3-3): პერინი – ძანონი (64. კაპრარი), ბოკეტი, არსე, ძაური – რიცო, დაგოსტინო (49. ბარნასონი), ბლაზი (76. ვუკუსიჩი) – ვეისი, სელიკი, კარალიო.
კალიარი (4-3-1-2): აგაკი – პიზანო, როსეტინი, არიაუდო, აველარი – ეკდალი (88. პერიკო), კაზარინი, ნაინგოლანი – კოსუ (72. კაბრერა) - იბარბო, საუ (82. ნენე).
გაფრთხილება: ძანონი, ძაური, ბლაზი, რიცო – ეკდალი, კაბრერა.
გაძევება: ვეისი (90. პესკარა).
კუთხური: 0-3; **ჯარიმა:** 25-24; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 6-11(2-8); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
მაყურებელი: 15 000

ტორინო-ატალანტა 2:1
გოლები: 1:0 ჩერჩი (42), 1:1 დენისი (75-პენ.), 2:1 ბირსა (87).
ტორინო (4-4-2): ჟილე – დარმიანი, გლიკი, ოგბონა, მაზიელო – ვიეესი, გაცი, სტევანოვიჩი (60. ბირსა), ჩერჩი – ბარეტო (82. ჯონატასი), ბიანკი (82. მეჯორინი).
ატალანტა (4-3-2-1): კონსილი – ბელინი (67. სკალონი), სტენდარდო, კანინი, დელ გროსო – კაცოლა, რადოვანოვიჩი (46. ლივაია), კარმონა – მორალესი (81. ჯორჯი), ბრიენცა – დენისი.
გაფრთხილება: ჟილე – დელ გროსო, კაცოლა, კარმონა.
კუთხური: 7-2; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-2(7-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
მაყურებელი: 16 000

ფიორენტინა-ინტერი 4:1
გოლები: 1:0 ლიაიჩი (13), 2:0 იოვეტიჩი (33), 3:0 იოვეტიჩი (55), 4:0 ლიაიჩი (65), 4:1 კასანო (87).
ფიორენტინა (3-5-2): ვივიანო – ტომოვიჩი, გონსალო, საგჩი – კუადრადო (83. ლიამა), პისარო (69. სისოკო), აკვილანი, ბორხა ვალერო, პასკუალი – იოვეტიჩი (73. ელ ჰამდაუი), ლიაიჩი.
ინტერი (4-3-1-2): ჰანდანოვიჩი – ძანეტი, რანოკია, ჟუან ჟესუსი, ნგატომო – კოვაჩიჩი (46. ალვარესი), კუზმანოვიჩი, კამბიასო – გუარინი (58. პერეირა) – კასანო, ჰალასიო (76. სკელოტო).
გაფრთხილება: საგჩი, პისარო, პასკუალი – რანოკია, ჟუან ჟესუსი, გუარინი, პერეირა.
კუთხური: 6-3; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 18-4(11-1); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
მაყურებელი: 30 000

18 თებერვალი

სიენა-ლაციო 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	25	17	4	4	50-17	55
2. ნაპოლი	25	15	6	4	46-21	51
3. მილანი	25	13	5	7	44-31	44
4. ლაციო	24	13	5	6	34-25	44
5. ინტერი	25	13	4	8	40-33	43
6. ფიორენტინა	25	12	6	7	45-30	42
7. კატანია	25	11	6	8	32-30	39
8. რომა	25	11	4	10	50-45	37
9. უდინეზე	25	9	9	7	35-34	36
10. პარმა	25	8	8	9	31-33	32
11. ტორინო	25	7	11	7	29-28	31
12. სამპდორია	25	8	6	11	31-30	29
13. კიევო	25	8	5	12	26-40	29
14. კალიარი	25	7	7	11	28-41	28
15. ატალანტა	25	7	5	12	22-35	27
16. ბოლონია	25	7	5	13	33-35	26
17. ჯენოა	25	6	7	12	26-36	25
18. პესკარა	25	6	3	16	20-51	21
19. პალერმო	25	3	10	12	22-39	19
20. სიენა	24	6	6	12	24-34	18

შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

ბომბარდირები: 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 10 - კლოზე (ლაციო), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია), საუ (კალიარი); 9 - ჰამშიკი (ნაპოლი), ტოტი (რომა), მილიტო (ინტერი), დენისი (ატალანტა).

სერია B. XXVI ტური

ასკოლი-პრო ვერჩელი 0:0
ბარი-კროტონე 0:0
ტერნანა-ემპოლი 0:0
ბრესია-ვიჩენცა 0:1
გოლი: 0:1 ბრიგენტი (50).
ჩიტადელა-ჩეზენა 1:1
გოლები: 0:1 ჯოკოვიჩი (15), 1:1 კოლი (57).
გროსეტო-ლანჩანო 2:2
გოლები: 1:0 პიოვაკარი (40), 1:1 პლასმატი (50), 1:2 პიკოლო (57), 2:2 პიოვაკარი (90).
რევჯინა-პადოვა 2:1
გოლები: 0:1 რისპოლი (59), 1:1 ჯერარდი (63), 2:1 მიკელე (78).
სასუოლო-სპეცია 3:2
გოლები: 1:0 კატელანი (10), 1:1 სანსოვინი (16), 1:2 პიჩანი (27), 2:2 ტერანოვა (60-პენ.), 3:2 ბიანკი (66).
ვარეზე-იუვე სტაბია 1:1
გოლები: 0:1 ბრუნო (65), 1:1 ებაგუა (73).
ლივორნო-მოდენა 1:2
გოლები: 0:1 ლაზარევიჩი (34), 1:1 დიონისი (49-პენ.), 1:2 არდემანი (85).
ნოვარა-ვერონა 1:0
გოლი: 1:0 პეშე (53).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სასუოლო	26	18	4	4	54-21	58
2. ლივორნო	26	15	6	5	49-33	51
3. ვერონა	26	13	8	5	37-21	47
4. ვარეზე	26	12	8	6	35-28	43
5. ემპოლი	26	10	9	7	41-39	39
6 მოდენა	26	10	8	8	34-30	36
7. იუვე სტაბია	26	9	8	9	39-38	35
8. პადოვა	26	8	11	7	30-30	35
9. ბრესია	26	7	13	6	33-27	34
10. ასკოლი	26	9	7	10	34-35	33
11. ჩიტადელა	26	8	8	10	32-38	32
12. სპეცია	26	8	8	10	36-38	32
13. ნოვარა	26	10	5	11	35-29	31
14. ჩეზენა	26	7	10	9	29-42	31
15. ტერნანა	26	7	9	10	25-28	30
16. ლანჩანო	26	6	12	8	27-36	30
17. კროტონე	26	8	8	10	25-33	30
18. რევჯინა	26	7	10	9	24-30	29
19. ბარი	26	8	9	9	32-29	26
20. ვიჩენცა	26	5	10	11	29-37	25
21. პრო ვერჩელი	26	4	5	17	20-45	17
22. გროსეტო	26	4	10	12	28-41	16

შენიშვნა: **: ბარი – 7 ქულა, გროსეტო – 6, ნოვარა – 4, რევჯინა – 2, მოდენა – 2, კროტონე — 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.**

ბომბარდირები: 18 — სანსოვინი (სპეცია); 15 — არდემანი (მოდენა), კაჩა (ვერონა); 14 - სილიგარდი (ლივორნო), ძაძა (ასკოლი);

სერია C1/A

ალბინოლეფე-კარპი 1:0, კრემონეზე-კუნეო 2:0, ფერალპიზალო-ლუმეცანე 0:0, პავია-ტრიტუმი 0:0, პორტოგრუარო-ტრევიზო 2:0, რეჯანა-ენტელა 2:0, სუდტიროლი-სან მარინო 0:0, ლეჩე-კომო დღეს.

სერია C1/B

აველინო-ფროზინონე 1:0, ბენევენტო-გუბიო 2:1, კარარეზე-პიზა 2:3, კატანძარო-ვიარეჯო 2:0, ლატინა-ბარლეტა 2:0, ბაგანეზე-პრატო 0:0, პერუჯა-ნოჩერინა 2:1, სორენტო-ანდრია 0:0.

მომდევნო ტური

23 თებერვალი: **პალერმო-ჯენოა;**
24 თებერვალი: **სამპდორია-კიევო, პარმა-კატანია, ბოლონია-ფიორენტინა, ატალანტა-რომა, იუვენტუსი-სიენა, კალიარი-ტორინო, ინტერი-მილანი;**
25 თებერვალი: **უდინეზე-ნაპოლი, ლაციო-პესკარა.**

უცხოური ფეხბურთი

● პრემიერლიგა. XXVII ტური

სეზონის დასასრული

ფელიპე კოუტინიომ ენფილდზე სასტარტოში პირველი გამოჩენა გოლით აღნიშნა

„ლივერპულს“ „სუონსისთან“ შეხვედრაში 3 ქულის აღება ძალიან გაუადვილდა. მიზეზი 24 თებერვალს დაგეგმილი ლიგის თასის ფინალია. უელსელების მთელი ყურადღება სწორედ „უემბლისკენ“ არის მიმართული. მართალია, **მიკაელ ლაუდრუპი** თამაშის წინ ამტკიცებდა, ჯერ მხოლოდ ჩემპიონატზე ვფიქრობთო, მაგრამ მას ალბათ თავად არ სჯეროდა თავისი სიტყვების. დანიელმა სპეციალისტმა ძირითად შემადგენლობაში წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი არ დააყენა. „გედების“ სათადარიგოთა სკამი კი თავისი სიგრძით ნამდვილად არ გამოირჩევა. რეზერვისტებმა გამძვინვარებულ „ლივერპულს“ ვერაფერი დაუპირისპირეს. „წითლებს“ 19 იანვრის შემდეგ 2 ფრე და 3 წაგება ჰქონდათ. ერთი თვის წინ **ბრენდან როჯერსმა** „ნორვიჩი“ გაანადგურა 5:0.

ლივერპული–სუონსი 5:0

გოლები: 1:0 ჯერარდი (34-პენ), 2:0 კოუტინიო (46), 3:0 ხ. ენრიკე (50), 4:0 სუარესი (56), 5:0 სტარიჯი (71-პენ)

ლივერპული (4-4-2): რეინა - გ. ჯონსონი, აგერი, კარაგერი, ხ. ენრიკე - ლუკასი (72. ალენი), ჯერარდი, კოუტინიო (60. ჰენდერსონი), დაუნინგი - სუარესი (78. ბორინი), სტარიჯი

სუონსი (4-3-3): ვორმი - ტიენდალი, მონკი, ბარტლი, ბ. დევისი - დე გუზმანი, ბრიტონი, აგუესტინი - ერნანდესი (76. დაიერი), შეხტერი (82. რანხელი), ლამბა (64. რუტლეჯი)

გაფრთხილება: - ერნანდესი

კარში დარტყმა: 25-2 (12-2) **კუთხური**: 10-1 **თამაშგარე**: 1-3 **ჯარიმა**: 7-8 **ბურთის ფლობა**: 61%-39%

მაყურებელი: 44 832

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	26	21	2	3	62-31	65
2. სიტი	26	15	8	3	48-24	53
3. ჩელსი	26	14	7	5	55-28	49
4. ტოტენჰემი	26	14	6	6	44-30	48
5. არსენალი	26	12	8	6	50-29	44
6. ევერტონი	26	10	12	4	40-32	42
7. ლივერპული	27	10	9	8	49-34	39
8. სუონსი	27	9	10	8	38-34	37
9. ვესტ ბრომვიჩი	26	11	4	11	36-35	37
10. სტოკ სიტი	26	7	12	7	26-31	33
11. ვესტ ჰემი	26	8	6	12	29-38	30
12. ფულჰემი	26	7	8	11	36-42	29
13. სანდერლენდი	26	7	8	11	28-34	29
14. ნორვიჩი	26	6	11	9	25-40	29
15. საუთჰემპტონი	26	6	9	11	36-45	27
16. ნიუკასლი	26	7	6	13	34-46	27
17. ასტონ ვილა	26	5	9	12	25-50	24
18. რედინგი	26	5	8	13	33-48	23
19. უიგანი	26	5	6	15	30-51	21
20. ქუინზ პარკი	26	2	11	13	19-41	17

ბომბარდირები: 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 18 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 15 – **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

ჩემპიონშიპი. XXXII ტური

კარლიფი–ბრისტოლ ს. 2:1

გოლები: 1:0 ფ. კემპბელი (45), 2:0 კემპბელი (58), 2:1 ნაჯენტი (90-ს.კ.-ში)

ბირმინგემი–უოტფორდი 0:4

გოლები: 0:1 დინი (38), 0:2 ანია (43), 0:3 დინი (62), 0:4 აბდი (90)

კრისტალ პალ–მიდლსბრო 4:1

გოლები: 1:0 მარი (9), 2:0 რემეიჯი (48), 3:0 მარი (57), 3:1 არუნი (80), 4:1 ფილიპსი (84)

დერბი–ვულვზი 0:0

ჰალ სიტი–ჩარლტონი 1:0

გოლი: 1:0 გადო (33)

იპსვიჩი–ბლეიკული 1:0

გოლი: 1:0 ჩოპრა (50)

ნოტინგემი–ბოლტონი 1:1

გოლები: 1:0 რიდი (59), 1:1 კ. დევისი (77)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კარდიფი	31	21	4	6	53-31	67
2. ჰალ სიტი	32	18	5	9	43-33	59
3. უოტფორდი	32	17	5	10	64-42	56
4. კრისტალ პალ	32	15	10	7	58-40	55
5. ლესტერი	30	16	5	9	52-26	53
6. მიდლსბრო	32	16	2	14	51-50	50
7. ბრაიტონი	31	11	13	7	43-34	46
8. ბლეიკბერნი	31	11	11	9	42-38	44
9. დერბი	32	11	10	11	48-45	43
10. ბარნლი	31	12	7	12	47-46	43
11. ნოტინგემი	32	10	12	10	41-45	42
12. ლიდსი	31	12	6	13	41-48	42
13. მილუოლი	31	11	8	12	41-43	41
14. ბლეიკული	32	10	10	12	50-47	40
15. ჩარლტონი	32	10	10	12	41-44	40
16. ბოლტონი	31	9	11	11	44-45	38
17. ბირმინგემი	32	9	11	12	41-52	38
18. იპსვიჩი	32	10	8	14	34-52	38
19. ჰადერსფილდი	31	9	10	12	33-51	37
20. შეფილდ უენს.	31	10	6	15	38-47	36
21. ვულვზი	32	9	8	15	37-45	35
22. ბარნსლი	31	9	7	15	36-47	34
23. ბრისტოლ ს.	32	9	4	19	45-60	31
24. პიტერბორო	30	9	3	18	43-55	30

ბომბარდირები: 26 – **გლენ მარი** (კრისტალ პალასი), 20 – **ჩარლი ოსტინი** (ბარნლი), **ჯორდან როუდსი** (ბლეიკბერნი), 19 - **მატეი ვიდრა** (უოტფორდი)

ლიგა ერთი. XXXIII ტური

ტრანმერი-შრიუსბერი 0:2, ბერი-ქოვენთრი 0:2, ჰარტლპული-ლეიტონი 2:1, პორტსმუთი-კარლაილი 1:1, პერსტონი-ბორნმუთი 2:0, შეფილდ იუნ-კოლჩესტერი 3:0, უოლსოლი-ნოთს ქაუნთი 1:1, იოვილი-სკანტორპი 3:0

ლიგა ორი. XXXIII ტური

ექსეტერი-აკრინგტონი 2:0, უიმბლდონი-ბრედფორდი 2:1, ბრისტოლ რ-უიკომბი 1:0, ჩელტენჰემი-ალდერშოტი 1:1, ფლიტვუდი—ბარტონი 0:4, ჯილინგემი-დაგენჰემი 2:1, პლიმუთი-ოქსფორდი 0:1, პორტ ვეილი-მოურკემბი 0:1, როჩდეილი-ტორკი 1:0, როტერჰემი-ჩესტერფილდი 1:0, საუთენდი-ნორთჰემპტონი 1:2, იორკი-ბარნეტი 1:2

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური

სელტიკი–დანდი იუნ 6:2

ჰარტსი–კილმარნოკი 0:3

მოზერველი–ინვერნესი 3:0

როს ძაუნთი–სტ. ჯონსტონი 1:0

სტ. მირენი–ჰიბერნიანი 0:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სელტიკი	26	18	4	4	61-20	58
2. მოზერველი	25	11	7	7	43-34	40
3. ინვერნესი	26	9	11	6	50-44	38
4. ჰიბერნიანი	27	10	7	10	34-34	37
5. კილმარნოკი	27	9	9	9	41-35	36
6. სტ. ჯონსტონი	26	9	9	8	32-32	36
7. აბერდინი	27	9	9	9	32-34	36
8. როს ძაუნთი	26	8	11	7	32-34	35
9. დანდი იუნ.	26	8	9	9	42-48	33
10. ჰარტსი	26	7	9	10	25-34	30
11. სტ. მირენი	26	7	8	11	33-44	29
12. დანდი	26	3	5	18	14-46	14

● ამბები

ლაუდრუპი სიტიში

მიკაელ ლაუდრუპს „სუონსიში“ წარმატებულმა მუშაობამ კვალიფიციური სპეციალისტის სახელი განუმტკიცა. 48 წლის დანიელმა უელსური კლუბი არსებობის ისტორიაში პირველად ლიგის თასის ფინალში გაიყვანა, სადაც გამარჯვების შესანიშნავი შანსი აქვს. სულაც არ გვიკვირს, რომ მისით ინგლისური გრანდები არიან დაინტერესებულები. კლუბი მას ხელშეკრულების გაგრძელებას სთავაზობს. იქამდე, ვიდრე საკითხი არ გადაწყვეტილა, ცხადია, მის სახელთან დაკავშირებული სპეკულაციები არ შეწყდება. ასე მაგალითად, goal.com-ის ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტი" მზადაა, სეზონის დასრულების შემდეგ მას სარფიანი ხელშეკრულება შესთავაზოს. საინტერესოა, რომ "ქალაქელების" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** მიკაელის მეგობარია. ისინი 1989/94 წლებში "ბარსელონაში" მხარდამხარ თამაშობდნენ.

არის თუ არა სუარესი ხელშეუხებელი?

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის **ბრენდან როჯერსის** განცხადებით, სეზონის დასრულების შემდეგ კლუბი მზად იქნება, განიხილოს **ლუის სუარესის** შეძენით დაინტერესებული კლუბების წინადადებები. *"რეალისტი ვარ და ვიცი, რომ არასდროს არის გამორიცხული კონკრეტულ მოთამაშეებთან დაკავშირებით სპეკულაციების ტალღის აგორება. მით უფრო ისეთ ფეხბურთელებზე, რომლებითაც მდიდარი ევროპული კლუბები არიან დაინტერესებულნი. "ლივერპულს" კი შემადგენლობაში არა ერთი და ორი ასეთი მოთამაშე ჰყავს," –* აცხადებს როჯერსი. ასე გამოეხმაურა 40 წლის ჩრდილოირლანდიელი სუარესის მომავალთან დაკავშირებულ ხმებს. 25 წლის ურუგვაელ ვარსკვლავს ამჟამინდელი კლუბიდან წასვლას უწინასწარმეტყველებენ.

● ასოციაციის თასი

პრემიერლიგელთა კვირა დღე

ასოციაციის თასის მე-5 ეტაპს სენსაციებისა და სკანდალების გარეშე არ ჩაუვლია. პირველზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ "ლუტონი"-"მილუოლის" შეხვედრის დასრულების შემდეგ პოლიციას მასობრივი არეულობის აღსაკვეთად სპეციალური დანაყოფის გამოძახება დასჭირდა. სამართალდამცავებზე იერიში გამარჯვებული გუნდის ფანებმა მიიტანეს. თუმცა გასაკვირი არაფერია, "მილუოლის" გულშემატკივრები მსოფლიოში სწორედ ამით არიან ცნობილნი. ბედფორდშირის პოლიციის ცნობით, დაკავებულია 7 ადამიანი.

მეორე მარცხი ქვედალიგელთან

"არსენალმა" "ბლექბერნთან" ასოციაციის თასზე შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა, დამარცხდა და უკვე თამამად შეიძლება თქმა, რომ ზედიზედ მერვედ დაასრულებს სეზონს ტიტულის გარეშე. "მეთოფეები" თამაშს 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდნენ. შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ **ჯეიკ კინი** ერთხელაც ვერ ჩააყენეს გამოუვალ მდგომარეობაში. ის იყო, **არსენ ვენგერმა** თამაშის გასაძლიერებლად სამმაგი ცვლილება გააკეთა, რომ "ემირიტსი" შოკში ჩავარდა. **ვოიცეხ შჩესნის** მიერ ცუდად მოგერიების შემდეგ **კოლინ კაზიმ-რიჩარდსმა** ტექნიკური დარტყმით ბურთი "არსენალის" კარის მარცხენა ზედა კუთხეში გაახვია. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ "არსენალი" ლიგის თასიდანაც ქვედალიგელმა გუნდმა "ბრენტფორდმა" გამოაგდო. აი, რა თქვა მატჩის შემდგომ ვენგერმა: *"ბურთს მთელი თამაშის განმავლობაში ვაკონტროლებდით, კარის მიმართულებით 16-ჯერ დავარტყით, მეტოქემ სულ რაღაც ერთხელ, მაგრამ ის თავს ორგანიზებულად იცავდა. ეს იყო კლასიკური სათასო შეხვედრა, სადაც მთავარი იყო, გოლი არ გაგეშვა. ჩვენ კი გადამწყვეტ ეპიზოდში უხეშად შევცდით. ახლა არ მინდა დეტალებზე მსჯელობა, მაგრამ რაც მოხდა, ამაში დამნაშავეები თავად ვართ. შეტევის უკანასკნელ ფაზაში კონცენტრაცია გვაკლდა, ასე რომ, იმ მომენტებიდან, რაც შევქმენით, სარგებელი ვერ მივიღეთ".*

მოსალოდნელი გამარჯვებები

"არსენალისგან" განსხვავებით "ჩელსიმ" ასოციაციის თასზე მე-4 ეტაპის მატჩი ჩაატარა. "ბრენტფორდი" "სტემფორდ ბრიჯს" განმეორებითი შეხვედრისთვის ეწვია. შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა 27 იანვარს ფრედ 2:2 დასრულდა. მასპინძლებს პირველ ტაიმშივე შეეძლოთ დაპირისპირების ბედი გადაეწყვიტათ, თუმცა რამდენიმე კარგი მომენტი გაანიავეს. აი, მეორე ნახევარში კი ყველაფერი "ნესის მიხედვით" ნარიმართა. 34 წლის **ფრენკ ლამპარდმა** კარიერაში 199 გოლი გაიტანა ლურჯი მაისურით (15 მიმდინარე სეზონში) და კიდევ უფრო მიუახლოვდა "ჩელსის" ყველა დროის ბომბარდირის ტიტულს. რეკორდამდე მას 4 გოლის გატანაღა მართებს.

არანაკლებ დამაჯერებელი იყო "მანჩესტერ სიტიც". მოქმედმა ჩემპიონმა მოწინააღმდეგეს პირველ თხუთმეტ წუთში მიუჩინა მისი ადგილი და დარჩენილი დრო ბურთის გორებაში გაატარა, თუმცა მაინც მოახერხა ამდენივეს გატანა.

ლუტონი–მილუოლი 0:3

გოლები: 0:1 ჰენრი (12), 0:2 ჰაესი (36), 0:3 გუზანი (85)

არსენალი–ბლეიბერნი 0:1

გოლი: 0:1 კაზიმ-რიჩარდსი (72)

არსენალი: შჩესნი, კოკლენი, ვერმაელენი, კოშელნი, მონრეალი, დიაბი, როსიცკი (71. უილშირი), არტეტა, ჟერვინიო (71. უოლკოტი), ჟირუ, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (71. კასორლა)

მილბონი–ბარნსლი 1:3

გოლები: 0:1 დაგნალი (3), 0:2 ჰეირვუდი (19), 1:2 ბოვდიტჩი (61), 1:3 დაგნალი (90)

ოლდჰემი–ევერტონი 2:2

გოლები: 1:0 ობიტა (13), 1:1 ანიჩებე (25), 1:2 იაგიელკა (48), 2:2 სმიტი (90)

ევერტონი: ჰოვარდი, ნვილი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი, ოსმანი, გიბსონი, ფელაინი, პიენაარი (79. ოვიედო), ანიჩებე (46. მირალიაში), იელავიჩი (90+1. დაფი)

ჩელსი–ბრენტფორდი 4:0

გოლები: 1:0 ბატა (55), 2:0 ოსკარი (68), 3:0 ლამპარდი (71), 4:0 ტერი (81)

ჩელსი: ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, კეჰილი, კოული, ლუისი, ლამპარდი (81. ბერტრანი), ოსკარი, მატა (76. ბენაიუნი), ბა, მოზესი (65. აზარი)

სიტი–ლიდსი 4:0

გოლები: 1:0 ი. ტურე (5), 2:0 აგუერო (15-პენ), 3:0 ტევესი (52), 4:0 აგუერო (72)

სიტი: პანტილიმონი, საბალეტა, ნასტასიჩი, კ. ტურე, კოლაროვი, ი. ტურე, ხ. გარსია (60. როდუელი), მილნერი, დ. სილვა, ტევესი (64. მაიკონი), აგუერო (81. ჯეკ)

პადერსფილდი–უიგანი 1:4

გოლები: 0:1 მაკმანამანი (31), 0:2 კონე (40), 0:3 მაკარტური (56), 1:3 ნოვაკი (62), 1:4 კონე (89)

უიგანი: ბლასკესი, სტამი, გოლობარტი, შარნერი, ფიგეროა, მაკარტური (90. მაკარტი), გომესი (74. ბოსეფური), ესპინოსა (57. მელონი), მაკმანამანი, ფივი, კონე

18 თებერვალი

იუნაიტედი–რედინგი 00:00

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა



ჯეკ უილშირის ემოციას კომენტარი არ სჭირდება

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური

მარკოს გალაკონცერტი

გაიერნის სამოთხეს რობენი აფუჭებს

მარკო როისმა კვინ ტრაპს სამი გოლი გაუტანა

პარასკევს „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგში“ უპრობლემოდ მოიგო (2:0) და რეკორდულ მეგასერიას (57 ქულა 22 მატჩში) აგრძელებს. „მგლებმა“ ისე იბრძოლეს, როგორც შეეძლოთ, მაგრამ „არსენალთან“ მოახლოებული მატჩის გამო ოდნავ მოდუნებულ ბავარიელებს მაინც ვერაფრი დააკლეს. ამრიგად, „ბაიერნზე“ კონკრეტულად ლაპარაკი სხვა კუთხიდან უფრო საინტერესოა.

რობენის გოლი ჰაინკესის პრობლემაა?

პირველი გოლი **მარიო მანჯუკიჩმა** გაიტანა, რომელიც ყოფილი ვოლფსბურგელია და შესაბამისად, გოლი ემოციურად არ აღნიშნა. ხორვატი მასთან მისალოცად მისულ თანაგუნდელებსაც კი აწყნარებდა და ყველას აგრძნობინა, რომ ვოლფსბურგული პუბლიკის განაწყენება არ სურდა. არადა, მანჯუკიჩს გოლი შედეგრი გამოუვიდა - ულამაზესი, სუფთა მაკრატელა, რომლის ნახვა არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე ღირს. მეორე გოლი **არიენ რობენმა** შეაგდო, რომელიც ბავარიელთა მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** მოედანზე მატჩის მიწურულსღა შეუშვა. 29 წლის ჰოლანდიელის გოლიც ერთობ ეფექტური გახლდათ.

მიუხედავად ამისა, საფინალო სასტვენის შემდეგ რობენი ყველაზე ადრე გაუჩინარდა მოედნიდან და მერეც, როცა სხვა ბაიერნელები ჯერ კიდევ „ფოლკსვაგენ-არენაზე“ დააბოტებდნენ, რობენი უკვე ავტობუსში იჯდა. ჰაინკესმა არიენი შეაქო, რობენი დაცვასაც ეხმარებოდა და ბევრი იშრომა, რაც აუცილებლად დაუფასდებაო, მაგრამ თავად ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ მაინც ბოლმიანი კომენტარი გააკეთა: „ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ მე თამაში მინდა. აი, „არსენალთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა ვიყო ძირითად შემადგენლობაში!“ - როგორც ჩანს, „ვოლფსბურგთან“ 12-წუთიანმა გაბრწყინებამ არიენს თავდაჯერება შემატა და მწვრთნელისგან ახლა ფაქტობრივად სასტარტოში გამწესებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ ბჭობდნენ ჩვენი გერმანელი კოლეგები შაბათ-კვირას იმაზე, რომ „ვოლფსბურგის“ კარში გატანილი რობენის გოლი „დონ იუპისთვის“ შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს. თუმცა ჰაინკესი ჰოლანდიელს, სავარაუდოდ, არც „არსენალთან“ დააყენებს ძირითადში: *„უთამაშებლობით უკმაყოფილო ფეხბურთელი ლოგიკური მოვლენაა. არიენი კი ის კაცია, რომელიც თავის ემოციებს არასდროს მალავს. ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს,“* - თქვა იუპმა.

როისის ჰეთთრიკი

შაბათს, „ბაიერნის“ ქომაგებს და ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ დასწყდებოდათ გული იმის გამო, რომ ზაფხულში „დორტმუნდმა“ რეკორდმაისტერს **მარკო როისი** ცხვირწინ ააცალა. „გლადბახიდან“ „დორტმუნდში“ 17.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგებულმა 23 წლის დრიბლიორმა ტურის ცენტრალურ მატჩში, „აინტრახტთან“ ჰეთთრიკი შეასრულა, „ბორუსიამ“ კი 3:0 მოიგო და ფრანკფურტულ კლუბს საბოლოოდ მიუჩინა ადგილი საუკეთესო სამეულს მიღმა.

მე-10 წუთზე მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რადგან დორტმუნდელები როისის გოლებით 2:0-ს იგებდნენ. მარკოსთან ერთად, შესანიშნავად თამაშობდნენ **მარიო გიოტცე** და გამოჯანმრთელებული **ილქაი გიუნდოგანი**, რომელიც **იურგენ კლოპის** გუნდს დონეცკში აკლდა.

როისის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 11 გოლი და 8 საგოლე გადაცემაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მარკოს პოკერის შესრულებაც შეეძლო - მეოთხე წუთზე „აინტრახტის“ კიპერ **ტრაპთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ ამ უკანსკნელმა იყო ჩაღა. „პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ყველაზე მარტივი მომენტი ვერ გამოიყენა, ისე კი ჰეთთრიკი შეასრულა. როისი უკვე ჩამოყალიბებული სუპერვარსკვლავია,“ - თქვა მატჩის შემდეგ კლოპმა.

მიუხედავად ბრნყინვალე ანგარიშისა, კლოპი ამ მატჩით ბოლომდე კმაყოფილი ვერ დარჩებოდა, რადგან პირველ ტაიმში „დორტმუნდს“ მოედნიდან **იულიან შიბერი** გაუძევეს. ეს უკანასკნელი სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ **რობერტ ლევანდოვსკი** ბუნდესლიგაში დისკვალიფიცირებულია (წინა ტურში გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს). ამრიგად, იურგენს მომდევნო ორ ტურში კლასიკური ცენტრფორვარდის გარეშე მოუწევს თამაში, თუმცა ფაქტია, რომ როისს ამ პოზიციაზეც შეუძლია ასპარეზობა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „დორტმუნდში“ ლევანდოვსკის დარჩენისა უკვე აღარავის სჯერა. ყველა ხვდება, რომ პოლონელი მართლაც მიუხეხნის „ბაიერნში“ აპირებს გადასვლას. „არა მგონია, რომ მასთან ახალი კონტრაქტი გაფორმდეს და ეს უნდა ვაღიაროთ,“ - თქვა ნამატჩევს „ბორუსიას“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**. *„რობერტი ბრწყინვალე თავდამსხმელია, მაგრამ თუ დაგვტოვებს, მის წასვლას მომზადებულები შევხვდებით,“* - დასძინა კლოპმა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლევანდოვსკი მართლაც შეთანხმებულია „ბაიერნთან“ და დორტმუნდელები ზაფხულში მის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს მიიღებენ, რაც პოლონელის ღირსეული შემცვლელის მოსაძებნად საკმარისზე მეტი თანხაა.

ბასტოსმა შალკე იხსნა

„შალკემ“ ისევ ვერ მოიგო, თუმცა აღარც დამარცხდა (2:2 მაინცში), რაც ბრაზილიელი ახალწვეულის, „ლიონიდან“ გადაბირებული **მიშელ ბასტოსის** დამსახურებაა, რომელმაც მაინცში დუბლი შეასრულა და გელზენკირხენული კლუბის ისედაც დროებითი მთავარი მწვრთნელი **იენს კელერი** ვადამდე ადრე გათავისუფლებას გადაარჩინა. მაინცში ფრე შალკელებს ურიგო შედეგად არ ჩაეთვალათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გამარჯვება ბოლო 12 ტურში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტი კლუბისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგია. ოთხშაბათს კი ბასტოსი და კომპანია „გალათასარაის“ ესტუმრებიან.

ფრაიბურგი არ ხუმრობს, ჰამბურგიც დასტაბილურდა

ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ ბრემენის „ვერდერი“ ისევ დაეცა - ამჯერად საკუთარ მოედანზე, „ფრაიბურგთან“. **კრისტიან შტრაიხის** გუნდი ჯერ **კრუსეს** გოლით იგებდა, მერე კი **კალიჯურის** პენალტით, მაგრამ „მუსიკოსებმა“ ორჯერვე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (**პეტერსენის** დუბლი), თუმცა 70-ე წუთზე **გინტერმა** „ფრაი“ კიდევ ერთხელ დააწინაურა ბრაისგაუელებმა 2:3 შეინარჩუნეს. შედეგად, „ვერდერი“ კიდევ უფრო ჩამორჩა ევროპის ზონას, „ფრაიბურგი“ კი საუკეთესო ექვსეულშია და უახლოეს მდევარ „მაინცს“ 2 ქულით უსწრებს.

„ფრაის“ დარად, ცხრილში 34 ქულა აქვს „ჰამბურგსაც“, რომელმაც „დორტმუნდის“ განადგურების შემდეგ, შაბათს „გლადბახიც“ დაამარცხა (1:0). **ტორსტენ ფინკის** გუნდს სამი ქულა **რაფაელ ვან დერ ვაარტის** შესანიშნავმა დარტყმამ მოუტანა - ეს ჰოლანდიელის მეორე გოლი გახლდათ „ჰამბურგში“ დაბრუნების შემდეგ.

„ლევერკუზენმა“ „აუგსბურგთან“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო (2:1). ანგარიში **შტეფან კისლინგმა** მოხდენილი თავურით გახსნა და ეს მისი მე-15 გოლი გახლდათ, რითაც ბაიერნელ მანჯუკიჩს ბომბარდირთა დავაში ისევ გაუთანაბრდა. „ფორტუნამ“ კი შაბათსვე „ფიურტის“ მინიმალური ანგარიშით დამარცხება შეძლო და გასავარდნ ზონასთან ჯერჯერობით საქმე აღარ აქვს. გუშინ „ნიურნბერგმა“ და „ჰანოვერმა“ ქულები გაიყვეს (2:2), „ჰოფენჰაიმი“ კი საკუთარ მოედანზე „შტუტგარტთან“ დამარცხდა და მე-15 ადგილზე, ანუ, სამშვიდობოს მყოფ „ვოლფსბურგს“ 10 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო სამეული გამოკვეთილია და სარელეგაციო მე-16 ადგილისთვის ერთმანეთში „ფიურტი“, „აუგსბურგი“ და „ჰოფე“ იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

თურქეთი

სუპერლიგა. XXII ტური

ახიშარი-გალათასარაი	**1:2**

გოლები: 0:1 დროგბა (68), 0:2 ბ. ილმაზი (71), 1:2 ვარდარი (85)

ესკიშეჰირი-ძაისერი	**0:3**

გოლები: 0:1 კლეიტონი (21), 0:2 ს. ილმაზი (77), 0:3 ს. ილმაზი (82)

ბეშიქთაში-გაზიანთეფი	**1:1**

გოლები: 1:0 გიულუმი (21), 1:1 კუემაა (89)

ანთალია-ძარაბიუძი	**0:0**
გენჩლერბირლიგი-მერშინი	**3:1**

გოლები: 1:0 ვლემინკი (32), 2:0 დურმაზი (55), 3:0 ზეკი (73), 3:1 კულიო (79-პენ)

ორდუ-გუიუქშეჰირი	**2:2**

გოლები: 1:0 უმბიდესი (3), 1:1 ვისკა (7), 2:1 ა. იუსუფი (33), 2:2 სოკულუ (86)

ბურსა-ელაზიგი	**1:0**

გოლი: 1:0 ბატალია (21)

ტრაბზონი-ფენერბაჰჩე	**0:3**

გოლები: 0:1 ბამბა (11-საკ. კარში), 0:2 ბარონი (26), 0:3 გიონული (52)

ქასიმფაშა-სივასი დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გალათასარაი	22	12	7	3	42-25	43
2. ფენერბაჰჩე	22	10	7	5	34-24	37
3. ბეშიქთაში	22	9	9	4	47-33	36
4. ბურსა	22	8	10	4	34-26	34
5. ანთალია	22	10	4	8	32-31	34
6. ესკიშეჰირი	22	8	8	6	36-27	32
7. ქასიმფაშა	21	8	6	7	30-23	30
8. გენჩლერბირ.	22	7	9	6	35-34	30
9. ძაისერი	22	8	5	9	30-32	29
10. სივასი	21	8	5	8	25-28	29
11. ძარაბიუძი	22	8	5	9	28-35	29
12. ტრაბზონი	22	7	6	9	25-27	27
13. გუიუქშეჰირი	22	7	5	10	27-28	26
14. ორდუ	22	5	11	6	24-24	26
15. გაზიანთეფი	22	6	7	9	21-32	25
16. ელაზიგი	22	4	9	9	17-34	21
17. მერშინი	22	4	8	10	23-32	20
18. ახიშარი	22	4	7	11	17-32	19

ბომბარდირები: 12 - უმუთ ბულუთი (გალათასარაი), ბ. ილმაზი (გალათასარაი); 11 - ათესი (ესკიშეჰირი), ბობო (ქაისერი), უჩე (ქასიმფაშა), ვეგო (ფენერბაჰჩე).

ვოლფსბურგი-ბაიერნი 0:2

გოლები: 0:1 მანჯუკიჩი (36), 0:2 რობენი (92)

ვოლფსბურგი (4-2-3-1): ბენალიო - ჰასებე, ნალდო, მადლუნგი, მ. შეფერი - ტრეში(75. ფაგნერი), პოლაკი - ვიეირინია (75. ჰულმესი), დიეგო, ოლიჩი (65. პერიშიჩი) - დოსტი.

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი, ლუის გუსტავო - თ. მიულერი, კროოსი (79. ტიმოშჩუკი), რიბერი (79. რობენი) - მანჯუკიჩი (83. გომესი).

გაფრთხილება: მადლუნგი, ვიეირინია, დოსტი, ჰასებე, ნალდო - რიბერი, დანტე

კუთხური: 3-2; **ჯარიმა:** 26-18; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 8(1)-7(3); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: 30 000

ლევერკუზენი-აუგსბურგი 2:1

გოლები: 1:0 კისლინგი (26), 2:0 ლ. ბენდერი (75), 2:1 მიოლდერსი (89)

ლევერკუზენი (4-1-2-2-1): ლენო - კარავახალი, ვოლშადი, ტოპრაკი, ბიონინი - რანარტცი - ლ. ბენდერი (84. შვაბი), კასტრო - სემი (37. როლფესი), შიურლე (78. ჰეგელერი) - კისლინგი.

აუგსბურგი (): მანინგერი - პარკჰერსტი (91. ს. ჰაინი), კალსენ-ბრაკერი, კლავანი, დე იონგი - ფოგტი, ბაიერი (69. იორლი) - კოო, ვერნერი (57. ჰანი) - ჟი - მიოლდერსი.

გაფრთხილება: 0-0; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15(6)-16(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 22 784

ვერდერი-ფრაიბურგი 2:3

გოლები: 0:1 მ. კრუსე (36), 1:1 პეტერსენი (39), 1:2 დ. კალიჯური (55-პენ), 2:2 პეტერსენი (64), 2:3 გინტერი (70)

ვერდერი (4-1-4-1): მილიტცი - იგნიოვსკი, პრიოდლი, ლუკიმია, შმიტცი - იუნუზოვიჩი (74. ილდირიმი) - ელია (81. აკპალა), ფრიტცი, დე ბრუინი, ექიჩი (55. არნაუტოვიჩი) - პეტერსენი.

ფრაიბურგი (4-2-2-2): ბაუმანი - ჰედენსტადი (58. გიუნტერი), გინტერი, დიანიე, ზორგი - შუსტერი, მაკიადი - მ. კრუსე, დ. კალიჯური - როზენტალი (88. სანტინი), გუედე (82. ფლუმი).

გაფრთხილება: მაკიადი

კუთხური: 6-5; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15(3)-16(9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 38 498

მაინცი-შალკე 2:2

გოლები: 1:0 ივანშიტცი (27), 1:1 მიშელ ბასტოსი (41), 2:1 პოსპეხი (63), 2:2 მიშელ ბასტოსი (82)

მაინცი (4-2-3-1): ვეტკლო - პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - ბაუმგარტლინგერი, სოტო - ნ. მიულერი, ზიმლინგი (84. მ. კალიჯური), ივანშიტცი (83. ედე) - სალაი.

შალკე (4-2-2-2): ჰილდებრანდი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი, ნოიშტედტერი - დრაქსლერი (91. ბარნეტა), მიშელ ბასტოსი - ფარფანი (85. ჰუკი), რაფაელი (72. მ. მაიერი).

გაფრთხილება: სვენსონი - მატიპი, ფუხსი, ნოიშტედტერი

კუთხური: 4-4; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14(5)-12(5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 34 000

ჰამბურგი-გლადბახი 1:0

გოლი: 1:0 ვან დერ ვაარტი (24)

ჰამბურგი (4-1-2-1-2): დრობნი - დიკმაიერი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, იანსენი - ბადელი - სკილლერდი (75. არსლანი), აოგო - ვან დერ ვაარტი (88. ბერგი) - რუდნევსი, სონი (75. ბაისტერი).

გლადბახი (4-2-2-1-1): ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი - მარქსი, ჯაკა (82. ლ. დე იონგი) - რუბი (66. იუნესი), არანგო - ჰერმანი (87. ნორდტვეიტი) - ჰანკე.

გაფრთხილება: ბადელი - ჰერმანი

კუთხური: 3-3; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 8(2)-8(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 54 558

ფორტუნა-ფიურტი 1:0

გოლი: 1:0 ბელინგჰაუზენი (18)

ფორტუნა (4-2-2-2): გიფერი - ბალოგუნი, ლატკა, მალეზასი, ვან დერ ბერგი - ტუშე, ო. ფინკი - კრუსი (94. პაურვეიჩი), ბელინგჰაუზენი - დ. შაჰინი (63. ილსინო), რაიზინგერი (91. ვეგკამპი).

ფიურტი (4-2-2-2): ჰესლი - მ. ციმერმანი, სობიეხი, მავრაი (67. კლაინე), ბაბა - ვარგა, ნერიგი (72. ცილნერი) - კლაუსი (85. აზემი), პრიბი - სარარერი, ჯურჯიჩი.

მე-3 წუთზე შაჰინმა (ფორტუნა) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: ო. ფინკი, ტუშე - მავრაი, ნერიგი

გაძევება: ვარგა (38. ფიურტი)

კუთხური: 5-4; **ჯარიმა:** 19-29; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 15(9)-8(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 37 378

დორტმუნდი-აინტრახტი 3:0

გოლები: 1:0 როისი (8), 2:0 როისი (10), 3:0 როისი (65)

დორტმუნდი (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შელცერი - გიუნდოგანი (89. ნ. შაჰინი), ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი (66. გროსკროიტცი), გიოტცე (82. ლაიტნერი), როისი - შიბერი.

აინტრახტი (4-2-3-1): ტრაპი - ს. იუნგი, ანდერსონი, სამბრანო, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე (80. ჩელო�ი) - აიგნერი (60. ოუშენი), ა. მაიერი, ინუი - ლაკიჩი (77. მატმური).

გაფრთხილება: სუბოტიჩი, ჰუმელსი - ლაკიჩი

გაძევება: შიბერი (31. დორტმუნდი) - ინუი (74. აინტრახტი)

კუთხური: 3-2; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10(3)-4(0); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

მაყურებელი: 80 500

ნიურნბერგი-პანოვერი 2:2

გოლები: 0:1 ჰუშტი (41), 1:1 კლოზე (53), 1:2 ია კონანი (68), 2:2 პოლტერი (92)

ნიურნბერგი (4-1-4-1): რ. შეფერი - ჩანდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - სიმონსი - კიოტაკე, ფოილნერი (81. მაკი), ბალიჩი, ფრანტცი (63. კანაზაკი) - ჰეკჰარტი (81. ჰოლტერი).

ჰანოვერი (4-2-2-2): ცილერი - ჰ. საკაი, ჯურუ, კ. შულცი, ჰანდერი (66. რაუში) - და სილვა პინტუ, ჰოფმანი - ია კონანი (75. შმიდებახი), ჰუშტი - მ. დიუფი (84. ზობიხი), აბდელაუ.

გაფრთხილება: ჰოლტერი - ჰ. საკაი, რაუში

კუთხური: 3-1; **ჯარიმა:** 8-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 8(2)-7(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 36 101

ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი 0:1

გოლი: 0:1 ჰარნიკი (3)

ჰოფენჰაიმი (4-2-2-2): გომეში - ბეკი, აბრაამი, დელპიერი, ჯონსონი - ვილიამსი (54. ვაისი), პოლანსკი (80. გრიფო) - უსამი, ვოლანდი - დე კამარგო (54. დერდიოკი), ხოსელუ.

შტუტგარტი (4-1-2-2-1): ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, ნიდერმაიერი, ბოკა - კვისტა - გენტნერი, პოლცჰოიზერი (83. მოლინარო) - ჰარნიკი (92. რუდიგერი), ტრაორე (87. ოკაზაკი) - იბიშევიჩი.

გაფრთხილება: ვილიამსი, ხოსელუ - ბოკა, ტრაორე, ჰარნიკი, ოკაზაკი, რიუდიგერი, იბიშევიჩი

კუთხური: 1-0; **ჯარიმა:** 8-7; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6(1)-6(1); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

მაყურებელი: 28 750

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	22	18	3	1	57-7	57
2. დორტმუნდი	22	12	6	4	50-26	42
3. ლევერკუზენი	22	12	5	5	43-30	41
4. აინტრახტი	22	11	4	7	38-34	37
5. ფრაიბურგი	22	9	7	6	29-22	34
6. ჰამბურგი	22	10	4	8	27-27	34
7. მაინცი	22	9	5	8	30-27	32
8. ჰანოვერი	22	9	3	10	41-41	30
9. შალკე	22	8	6	8	35-37	30
10. გლადბახი	22	7	9	6	31-33	30
11. ვერდერი	22	8	4	10	38-41	28
12. შტუტგარტი	22	8	4	10	24-39	28
13. ფორტუნა	22	7	6	9	27-29	27
14. ნიურნბერგი	22	6	8	8	22-29	26
15. ვოლფსბურგი	22	7	5	10	22-32	26
16. ჰოფენჰაიმი	22	4	4	14	26-46	16
17. აუგსბურგი	22	2	9	11	18-35	15
18. ფიურტი	22	2	6	14	13-36	12

ბომბარდირები: 15 - კისლინგი (ლევერკუზენი), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 14 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 12 - ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 11 - თ. მიულერი (ბაიერნი), პეტერსენი (ვერდერი), როისი (დორტმუნდი).

მომავალი ტური

22 თებერვალი. ფრაიბურგი-აინტრახტი.

23 თებერვალი. ბაიერნი-ვერდერი, შტუტგარტი-ნიურნბერგი, ჰანოვერი-ჰამბურგი, მაინცი-ვოლფსბურგი, აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი, შალკე-ფორტუნა.

24 თებერვალი. გლადბახი-დორტმუნდი, ფიურტი-ლევერკუზენი.

II ბუნდესლიგა. XXII ტური

პადერბორნი-აუე	**2:0**

გოლები: 1:0 ფაისტჰამელი (28), 2:0 მეჰა (40-პენ)

მიუნხენ 1860-ბოხუმი	**0:1**

გოლი: 0:1 შაიდჰაუერი (10)

რეგენსბურგი-ბრაუნშვაიგი	**0:1**

გოლი: 0:1 კუმბელა (15)

უნიონი-ინგოლშტადტი	**1:1**

გოლები: 0:1 ფ. ჰეელერი (66), 1:1 ნემეცი (85)

აალენი-ჰერტა	**0:1**

გოლი: 0:1 ნდიენგი (76)

დინამო-ზანდჰაუზენი	**3:1**

გოლები: 1:0 კიტამბალა (7), 1:1 ვოოტენი (57), 2:1 მიულერი (71), 3:1 მიულერი (75)

დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი	**0:0**
ფრანკფურტი-კოტბუსი	**1:0**

გოლი: 1:0 იონსონი (39)

18 თებერვალი

ზანკტ პაული-კიოლნი	**23:15**

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბრაუნშვაიგი	22	15	6	1	39-17	51
2. ჰერტა	22	14	7	1	44-18	49
3. კაიზერსლაუტ.	22	10	9	3	33-21	39
4. ფრანკფურტი	22	10	3	9	30-26	33
5. უნიონი	22	8	8	6	36-31	32
6. კოტბუსი	22	8	7	7	26-24	31
7. მიუნხენ 1860	22	7	9	6	24-20	30
8. აალენი	22	8	6	8	23-20	30
9. კიოლნი	21	7	9	5	24-22	30
10. ინგოლშტადტი	22	7	9	6	26-25	30
11. პადერბორნი	22	8	5	9	29-27	29
12. ბოხუმი	22	6	6	10	27-37	24
13. აუე	22	6	5	11	28-34	23
14. ზანკტ პაული	21	5	8	8	19-26	23
15. დუისბურგი	22	6	5	11	21-35	23
16. დინამო	22	4	8	10	22-33	20
17. ზანდჰაუზენი	22	4	6	12	26-46	18
18. რეგენსბურგი	22	4	4	14	25-40	16

ბომბარდირები: 13 - კუმბელა (ბრაუნშვაიგი); 12 - რონი (ჰერტა); 10 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), სანოგო (კოტბუსი); 9 - ლიონინგი (ზანდჰაუზენი).

III ბუნდესლიგა

უნტერჰახინგი-ოსნაბრიუკი 0:2, პროისენ მიუნსტერი-ჰალეშერი 2:0, ხემნიტცი-ჰაიდენჰაიმი 2:1, ოფენბახი-ზაარბრიუკენი 2:0, კარლსრუე-დორტმუნდი (II) 1:0, დარმშტადტი-ვეენი 1:0.

სხვა მატჩები გადაიდო

ᲔᲡᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ. XXIV ᲢᲐᲠᲘ

ᲒᲠᲐᲜᲓᲐ ᲒᲠᲐᲜᲓᲗᲐᲜ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲛᲔᲡᲘ: ᲩᲝᲔᲠᲩᲝᲔ ᲛᲔ-14 ᲓᲐ 301 ᲑᲝᲚᲝ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲘᲗ

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ „ᲪᲝᲚ ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲘᲗᲗᲘᲡ“ ᲗᲝᲯᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲯᲔᲠ „ᲚᲐᲪᲘᲝ“ ᲛᲝᲛᲮᲕᲔᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲜ - ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲘᲗᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲕᲔᲠᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲯᲔᲠ 14 ᲥᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲯᲔᲠᲘ ᲯᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲘᲜᲐᲡ.

ᲞᲘᲠᲑᲐᲚᲘᲡ ᲓᲣᲔᲚᲘ

„ᲛᲔᲡᲘᲠᲘᲗᲒᲝᲜᲘᲗ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲗᲘᲜᲔᲚᲘ (**ᲥᲘᲠᲜᲐᲚᲔᲜ ᲒᲐᲚᲘᲡᲘ**) ᲯᲔᲠ ᲯᲔᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲘᲗ. „ᲚᲘᲝᲜᲘᲡ“ ᲙᲘᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲕᲔᲠᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲜ

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

XXXV ტური

ალფრეტონი-მაანსფილდი	1:2
ბარეტ-ნანეიტონი	1:2
ეგზეტერი-სტოკსპორტი	0:0
ფორეს გრინი-ფეიფშიდი	1:0
პენრეფორდი-ლინკოლნი	3:2
პაილი-კიდერმინსტერი	0:4
მენსფილდი-ქემბრიჯი	3:1
ტელფორდი-ტაფეორტი	3:3
უოკინგი-ნიუპორტი	1:3

ინგლისის თასი

1/8 ფინალი

ლუტონი-მილუოლი	0:3
არსენალი-ბლეკბერნი	0:1
მილტონი-ბარნლი	1:3
ოლდჰემი-ეფერტონი	2:2
ჩელსი-ბრენტფორდი	4:0
მანჩესტერ სიტი-ლიდსი	4:0
პალერმოფილდი-უიგანი	1:4
მანჩესტერ იუნ-რედინგი	დღეს

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XVII ტური

ფეიკაუ-ბერლინერი	0:0
გერმანია-აუერბახი	4:1

რეგიონალლიგა (დას)

XXIV ტური

ლოგე-ბერგეიში	5:1

რეგიონალლიგა (ს-დ)

XXII ტური

კასელი-კოგლენი	1:3
კაიზერი II-ოფერშგაინი	3:0
ფრაიბურგი II-ეშბორნი	4:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

XXV ტური

არლი-ნიორი	0:1
გუკო ეიაჩო-ნიმი	2:3
ისტრ-ოსერი	0:3
ლავალი-სედანი	3:0
პარი-ანგერსი	2:1
ლე მანი-კაენი	1:1
ლანსი-შატორუ	4:3
ტური-კლერმონი	2:1
გინგამპი-ნანტი	2:1
დიჟონი-მონაკო	დღეს

ნასტონალი

XXIV ტური

კარეეფუ-ბასტია	5:0
ამიენი-ორლეანი	3:0
კეენი-ლუზენაკი	1:2
კრეტეი-ვეზი	2:0
რენ სპარი-ლე პ�არი	0:1
პონ დე მარი-ვანი	0:0
ბურჟი-პარიზი	1:1
ფრეჟუსი-შერბური	2:2

ბელგია

XXVII ტური

ანდერლეხტი-შარლეროა	2:0
სტრალი-სტანდარდი	0:1
ლიერსი-ზულენი	0:2
მონსი-ბენტი	0:2
ანტვერპენ-ბეერსხოტი	1:1
ვარეგემი-ბე

ჭიდაობა. საერთაშორისო ფედერაცია

რუხი კარდინალი წავიდა

საჭიდაო სამყაროს „რუხ კარდინალს“, საერთაშორისო ფედერაციის (FILA) პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის თანამდებობა დაათმობინეს. ეს ამბავი შაბათს ტაილანდურ პატაიაში გამართულ FILA-ს ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე მოხდა. იტალიური წარმოშობის შვეიცარიელი FILA-ს ოფიციალურად 2002 წლიდან მართავდა, თუმცა მანამდეც ის განაგებდა ფედერაციას, ვიდრე მობერებული სერბი მილან ერცეგანის მოადგილედ მუშაობდა.

ვის ენდობიან მოჭიდავეები

FILA-ს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში მოსკოვში ჩატარდება, მანამ კი მარტინეტის მაგივრობას ბიუროს წევრი, სერბი **ნენად ლალოვიჩი** გასწევს. ის უხელმძღვანელებს ყრილობის მოსამზადებელ კომისიასაც. სერბის კანდიდატურას ბიუროს 21 წევრიდან მხარი 11-მა დაუჭირა. *„ახლა ჩვენი მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს ისეთ ქმედებებზე, რომლებიც გადაჭრიან უმთავრეს ამოცანას - დავტოვოთ ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში. მდგომარეობიდან გამოსასვლელად სოკ-ს კომპრომისულ ვარიანტებს შევთავაზებთ. მიმაჩნია, რომ ჭიდაობა უნდა დარჩეს ოლიმპიურ ოჯახში“* - განაცხადა სხდომის დასრულების შემდეგ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მიხეილ მამიაშვილმა**.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ჭიდაობა იმ სახეობათა ნუსხაში შეიტანა, რომლებიც, შეიძლება ამოიღონ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან.

გაკვირვებას იწვევს თავად მოჭიდავეთა მიდგომა პრობლემისადმი, რომელმაც სახეობა ასეთ კრახამდე მიიყვანა - რეალურ მიზეზებზე საუბრის ნაცვლად ისინი ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას აგრძელებენ. სოკ-ში საშიში ხალხი ზის, სოკ-ში სულელები არიან, სოკ-ი ამით ისტორიულ შეცდომას დაუშვებს - აი, ამ სტილის განცხადებებს აკეთებენ ახლო თუ შორეული წარსულის ცნობილი ფალავნები, რეალურ მიზეზებზე კი, რამაც ჭიდაობა ოლიმპიური ოჯახიდან გარიყვამდე მიიყვანა, პირდაპირ არ საუბრობენ. თითქმის არსად თქმულა საჭიდაო სამყაროში არსებულ კორუფციაზე, არაეფექტურ წესებზე, რამაც სანახაობა დაუკარგა ამ მართლაც ლამაზ სპორტს. ამ დღეებში ძირითადად რუსულენოვან საიტებს გავეცანი, თუმცა იქ დასავლური პრესიდანაც ლამის ყველა მნიშვნელოვანი სიახლეა გადმობეჭდილი, ამ ზღვა მასალაში კი მხოლოდ ერთმა დაღესტნელმა მწვრთნელმა - **ესედ შახმარდანოვმა** განაცხადა, რომ მარტინეტი უნდა წავიდეს, მერე კი იგივე FILA-ს ბიუროს წევრმა **ნატალია იარიგინამაც** გაიმეორა. შახმარდანოვმა საინტერესო პარალელებიც გაავლო ლობისტების თემაზე და განაცხადა, რომ მათაც უნდა იპოვონ ვინმე ისეთი გავლენიანი პიროვნება, როგორიც თანამედროვე ხუთჭიდს ჰყავს - მონაკოს პრინცი **ალბერი**, აგრეთვე სოკ-ის წევრები - **ხუან ანტონიო სამარანჩუმცროსი** და საბერძნეთის ყოფილი მეფე **კონსტანტინი**. ამ თემაზე საუბრისას შახმარდანოვმა ტაეკვანდოს ლობისტი სამხრეთ კორეის პრეზიდენტიც გაიხსენა, რომელიც სოკ-ის პრეზიდენტ **ჟაკ როგესაც** შეხვედრია. თან ახსენა აშშ-იც, როგორც თავისუფალი ჭიდაობის სამშობლო, და - რუსეთის პრეზიდენტი **პუტინიც**, რადგან ზაფხულის ოლიმპიადებზე რუსეთის მედლების 10-15% ჭიდაობებზე მოდისო. მარტინეტის წინააღმდეგ მხოლოდ ბოლო დღეებში გაიმკაცრა ტონი მამიაშვილმა, როცა პატაიაში ბიუროს სხდომის გამართვა გადაწყდა. არადა, ის ყოველთვის ოცნებობდა მისი ადგილის დაკავებაზე.

ვის აირჩევს მოსკოვი?

საჭიდაო სამყარომ ერთი ჭირი კი მოიშორა, მაგრამ საკითხავია, ეყოფა კი გონიერება სწორი არჩევანის გასაკეთებლად და ვის მოიყვანს ახლა? ნურავინ გვიწყენს, როცა გონიერებაზე ვაკეთებთ აქცენტს - ჭიდაობა რომ დღითიდღე უკან-უკან მიდიოდა და ნადგურდებოდა, ამას ყველა ხედავდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. პირიქით - ბევრი ამ საერთო გაჭირვებაზე ხელის მოთბობასაც ცდილობდა. ხალხი ერთმანეთს ტურნირებზე ფულით გატენილი დიდი ჩემოდნებით ჩასვლაში ეჯიბრებოდა.

საჭიდაო სამყაროს ახლანდელი ამოცანა თითქოს მარტივია - გაწმინდონ ჭიდაობა კორუფციისგან, დაუბრუნონ მას სილამაზე და სანახაობა, მაგრამ ეს ძნელად შესასრულებელი იქნება. უბედურება ისაა, რომ წლების განმავლობაში მიმდინარე მანკიერი მოვლენები ამ ოჯახს ისე გაუჯდა სისხლში, რომ ეს ცხოვრების წესად დამკვიდრდა, თითქოს აღებ-მიცემობის გარეშე ჭიდაობა ვერ იარსებებს. ამ კორუფციისა თუ წესების უაზრო ცვლილებების შედეგად ჭიდაობა კრახამდე მივიდა. ხალხი სპორტის ახალ სახეობებს იგონებს და მის პოპულარიზაციაზე ზრუნავს, ამათ კი იმდენი მოახერხეს, რომ ჭიდაობას სილამაზე დაუკარგეს და ილეთების გარეშე დატოვეს. ძალიან ხშირად შეხვედრის ბედს არა ქულები, არამედ ბურთულა წყვეტს. საქმე ისეთ აბსურდამდეც მიდის, რომ ერთმა ფალავანმა შეიძლება 6 ქულა დააგროვოს, მეორემ - 2, მაგრამ, პერიოდების მიხედვით მოგებული მაინც ეს ორქულიანი დარჩეს! ცხადია, ასეთ სახეობას მომავალი ვერ ექნება.

დღეს მარტინეტის ყველაზე რეალურ შემცვლელად ისევ მამიაშვილი მოჩანს, რასაც ვერ მივესალმებით, ვინაიდან ის და ზოგადად რუსული საჭიდაო ფედერაცია FILA-ში წლების განმავლობაში არსებული კორუფციული სქემის საყრდენი იყო. იგივე შეიძლება ითქვას, აზერბაიჯანელებზე, თურქებსა და ბულგარელებზეც, რომლებიც თანდათან მონსტრებად იქცნენ. თუმცა ბოლო წლებში დიდი ფულის დამსახურებით წინა პლანზე უფრო რუსები და აზერბაიჯანელები წამოვიდნენ, რომლებმაც უკვე ერთმანეთში გააჩაღეს ცხარე ბრძოლა ლეიბსა თუ კულისებში. ამიტომ ასეთი მომაფიქრებელი პიროვნებების მოსვლა, არა გვგონია, წაადგეს ჭიდაობას - იქნებ მამიაშვილმა წესები გააუმჯობესოს, მაგრამ არა გვგონია, ჩვეულებაზე ხელი აიღოს ანუ კორუფციას და ჩაწყობა-გაყიდვებისკენ მიდრეკილებას უღალატოს. ვფიქრობთ, ამ გზაზე სიარულით, რაც უნდა გააუმჯობესონ წესები, სოკ-ს თავს მაინც ვერ მოაწონებენ. ისიც ცხადია, რომ სოკ-ი FILA-ს გამადიდებელი შუშით დააკვირდება, ესენი კი ნემსის ყუნწში უნდა გაძვრნენ მათთვის თავის მოსაწონებლად. მამიაშვილი სატელევიზიო კონტრაქტებზე, ახალ მარკეტინგულ მიდგომებზე კი ალაპარაკდა, მაგრამ აჯობებს, საჭიდაო სამყარომ აქცენტი უფრო სუფთა რეპუტაციის ადამიანზე გააკეთოს. მამიაშვილი ჯერ პრეზიდენტად არ მოსულა და **ალექსანდრ კარელინი** უკვე FILA-ს ბიუროს წევრად წარადგინა! კულუარებში თავად კარელინის კანდიდატურაც განიხილება, მაგრამ უფრო მეტს მამიაშვილზე საუბრობენ. არც ისაა გამორიცხული, ამ ნაბიჯით მამიაშვილმა კარელინი გააჩუმა, რადგან ის წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ბიუროში შეღწევას.

სავარაუდოდ, სოკ-მა ეს ნაბიჯი მარტინეტის მოსაშორებლად გადადგა და რაკი ის მართლაც წავიდა, დიდი შანსია, სექტემბერში ჭიდაობა უპრობლემოდ დატოვონ ოლიმპიადის პროგრამაში. გააჩნია, მანამ რამდენად დაარწმუნებენ FILA-ს წევრები თავიანთ სურვილში, რეალური რეფორმები განახორციელონ და არა - ფასადური. თუ მაინც არ დაუჭერენ მხარს და, სავარაუდოდ, 2014 წელს ისევ დააბრუნებენ, თუმცა როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები სექტემბერში, ფაქტია - ახლა ყველაფერი თავად მოჭიდავეებზეა დამოკიდებული, რომ კორუფციიდან და უსამართლობიდან იარონ წინ, ოლიმპიური იდეალიებისა და ოლიმპიური კვარცხლბეკისკენ.

ირაკლი თავაძე

იუბილარი

შემოქმედების ათწლეულები

ბედნიერებაა, როცა ამა თუ იმ სფეროს მატიანეს ფოტოხელოვანიც ქმნის და მის მომხიბლაობას, რაც ენით არ გამოუთქმის, ფირზე აღბეჭდავს. ეს ბედი ერგუნა სანდრო კოტორაშვილსაც და მუხლჩაუხრელად ზიდა განგების ტვირთი. თუ ადამიანი ისტორიაში ცხოვრობს და არა ბუნებაში, სანდრომ მთელი ათეული წლები ქართული სპორტის ისტორიაში იცხოვრა. ამდენი ხანია, ფოტოაპარატმომარჯვებული, კვალში უდგას ქართულ სპორტს, ქმნის საგანძურს, რომელიც ესოდენ ძვირფასია არა მხოლოდ ქართული სპორტის, არამედ საერთოდაც ერის ისტორიისთვის. ამ დაფასებას კი ქართული სპორტი საერთაშორისო აღიარებით იმსახურებს.

თამამად შეიძლება ითქვას: ალბათ ძნელად თუ მოიპოვება საქართველოში მეტ-ნაკლებად ცნობილი სპორტსმენი, რომ თავს არ ინონებდეს პირად ალბომში შემონახული „კოტორას“ ფოტოებით.

დღეს სანდრო კოტორაშვილი 70 წლისა გახდა. დიახ, ათეული წლების ყოველი დღე ქართულ სპორტზე ფიქრსა და სამსახურში აქვს გატარებული. ყველამ იცის, ეს ფოტოხელოვანი როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება გემოვნებას. სწორედ, რომ გემოვნებას, რადგან ის, რაც რჩეულია მის შემოქმედებაში, გემოვნების უმაღლესი ნიმუშია. ბევრ ფოტოხელოვანს, ზოგადად, წვრილმანიც აჰყავს მაღალ რანგში, ანუ ის, რაც ჩვეულებრივ ყურადღების მიღმა რჩება, სანდროს ნაღვანში კი ყველაფერი მნიშვნელოვანია. აღღოს აღება უნდა სპორტის დინამიზსაც - თუნდაც ამ დინამიზმის აპოგეა - „შეჩერებული წამი“ რად ღირს, რაც ასე უხვად მოიძიება უნიკალური კადრებით დახუნძლულ სანდროს გამორჩეულად მდიდარ შემოქმედებაში.

ამბობენ, რომ ფოტოხელოვნებაში მთავარია ფანტაზია. სპორტში მოღვაწეთათვის კი, ვფიქრობთ, მთავარი ხედვაა, ფანტაზია კი აქ თავისთავადია, ისაა, რასაც ოსტატი ხედვით ჩაავლებს - „ნამს შეაჩერებს“, მერე კი ამ კადრ.ს მხილველს გააოგნებს და უსიტყვოდ დააფიქრებს.

ბედნიერებაა, რომ საქართველოში გაგვაჩნია ქართული სპორტის ღირს-საკადრისი ფოტომატიანე და ამაში ლომის წილი უდევს დღეს უკვე 70 წლის ალექსანდრე კოტორაშვილს.

დიდხანს გემატებინოს, ჩვენო სანდრო!

თენგიზ გაჩეჩილაძე

P.S. დღეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით „ქარვასლაში“ 17 საათზე ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიხსნება.

მილოცვა

„ლელოს“ რედაქცია დაბადების საიუბილეო 70 წელს ულოცავს ამავე რედაქციის ვეტერან ფოტოჟურნალისტს, მრავალი კონკურსის ლაურეატს, ღირსების მედლის და ორდენის კავალერს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ალექსანდრე (სანდრო) კოტორაშვილს.**

თავისუფალი ჭიდაობა. კიევის ტურნირი

ორი მედლით კიევიდან



დავით მოძმანაშვილი

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბრინჯაოს ორი მედლით დაამთავრა გამოსვლა კიევში, „სახელოვან უკრაინელ მწვრთნელთა და სპორტსმენთა მემორიალში“. ტურნირის პრიზიორები **მამუკა კორძაია** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) გახდნენ. ბრინჯაომდე ერთი მოგება დააკლდა **გიორგი სანოძეს** (74), რომელიც გადამწყვეტ შეხვედრაში უკრაინის ნაკრების წევრ **გია ჩიხლაძესთან** დამარცხდა.

ჩვენთვის ამ შეჯიბრების მთავარი ინტრიგა მძიმე წონას უკავშირდებოდა, სადაც ყველაზე დიდ ყურადღებას დავით მოძმანაშვილისა და **გიორგი საკანდელიძის** პაექრობა იწვევდა. ბედმა ისე ინება, რომ ისინი პირველივე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. თანაბარ ბრძოლაში დამატებით პერიოდში წილისყრით მოძმანაშვილმა იმარჯვა, თუმცა ფინალში ვერც ის გავიდა და საკანდელიძეს სანუგეშოში ჩართვის საშუალება აღარ მიეცა. მოძმანაშვილმა მეორე შეხვედრაში რუსი **რამაზან მაგომედგაზიევი** დაამარცხა ძირითად დროში. პირველი პერიოდის დასრულებამდე 20-ოდე წამი რჩებოდა, როცა ჩვენებური გრძელი ნახტომით ფეხში შევიდა და სამი ქულა მიითვალა. თუმცა მსაჯები დიდხანს კამათობდნენ, ამ მომენტში რუსმა კონრტილეთით ხომ არ გადააგდო ზურგსუკან. საბოლოოდ მოძმანაშვილს 3 ქულა დაუტოვეს, თუმცა 2 რუსსაც მისცეს. მეორე პერიოდიც დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში, უფრო დაცვაზე აქცენტირებულ ჭიდაობაში გავიდა, ოლონდ დასრულებამდე 11 წამით ადრე ქართველი კიდევ ერთხელ წვდა ფეხში. მართალია, ამით გდება ვერ გააკეთა, მაგრამ წრიდან გაიყვანა და მომგებიანი ქულაც მიითვალა.

ნახევარფინალში მოძმანაშვილი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში მომავალ ჩემპიონთან, უკრაინელთა ოს **ალან ზასიევთან** დამარცხდა. აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე, სამივე პერიოდში ბურთულამ გადაწყვიტა, რომელიც ორჯერ მეტოქეს ამოუვიდა და მანაც შანსი გამოიყენა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მოძმანაშვილმა რუსთა ინგუში ფალავანი **ასლან მალსაგოვი** ორ პერიოდში 3:0 დაჯაბნა.

მამუკა კორძაიამ თავდაპირველად გერმანელ **ალექსანდერ ზომერს** მხოლოდ 1:0;1:0 კი მოუგო, მაგრამ ანგარიში სულაც არ ნიშნავს, რომ გაუჭირდა. მომდევნო შეხვედრაში მომავალ ფინალისტ რუს **ევგენი კოლომიეცთან** პირველი პერიოდი 1:0 მოიგო, მაგრამ მომდევნოები 1:2;0:2 დათმო და მოგვიანებით სანუგეშოში გადაერთო, სადაც საკმაოდ იოლად, გართულებების გარეშე დაჯაბნა ჯერ უზბეკი **შერმუხამბეტ ხოჯანიაზოვი**, მერე - ლატვიელი **იმანტას ლაგოდსკისი**.

უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, საკმაოდ კარგად იჭიდავა ქუთაისელმა სანოძემ, რომელიც ეროვნულ ნაკრებში პირველად ჭიდაობდა უცხოეთში. მან სპარეზობა არცთუ კარგად დაიწყო - რუსთა ოს **ალან კოჩიევთან** პირველი პერიოდი 0:1 წააგო. სამაგიეროდ, მომდევნოებში მოწოდების სიმაღლეზე დადგა 5:1; 2:1 იმარჯვა. მეორე წრეში ის მომავალ ჩემპიონთან, რუს **ახმედ გაზიმაგედოვთან** დამარცხდა - 5:6; 6:0 და სანუგეშოში გადაერთო. ეტყობა, სანოძეს დგომში ილეთების გაკეთება ეხერხება და მაინცდამაინც ფეხში შესვლას არ ესწრაფოდა. სამაგიეროდ, კარგად ეკვროდა წელში და ჯერ ცოტა დააკლდა, ბეჭებზე დაედო უკრაინელი **რუსლან რუჩკო**, სამაგიეროდ, ეს მეორე უკრაინელთან, **დმიტრო როჩნიაკთან** მშვენივრად გამოუვიდა - 50 წამში წმინდად დაამარცხა, მანამდე კი საკმაოდ ძლიერი რუსი **ზაურ მაკიევიც** დაჯაბნა. ჩიხლაძე მასზე ბევრად გამოცდილია, რაც შეხვედრაშიც გამოიყენა, თუმცა დამატებითი დრო დასჭირდა. ამ წონაში კიდევ ერთი ქართველი ჭიდაობდა - გორელი **ცოტნე ბარამიძე** ყაზახეთიდან, რომელსაც ჩვენი ნაკრების მწვრთნელი **დავით პოღოსიანიც** გულმოდგინედ ქომაგობდა და რჩევა-დარიგებებით ამარაგებდა. სამწუხაროდ, ამან ფინალში ვერ არგო ზემოხსენებულ რუს გაზმაგომედოვთან და ორ პერიოდში დამარცხდა. ქართველთა სიმრავლის გამო ამ წონაში თავი რომელიმე ქართულ შეჯიბრებაზე გეგონებოდათ, ყველა მხრიდან ქართული შეძახილები ისმოდა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ტურნირში კიდევ ორი ჩვენებური ჭიდაობდა - **ჯამბულ ცოტაძე** (84) უკრაინიდან, რომელიც ჩინებული ფიზიკური მომზადების მიუხედავად, მაინც უმედლოდ დარჩა, და **ნოდარ არაბიძე** (55) რუსეთიდან.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან **ზურაბ იაკობაშვილმა** (66) რუსი **აზამატ კაბისოვი** ძირითად დროში დაამარცხა, თუმცა მეორე პერიოდში ანგარიშის გამთანაბრებელი ქულა (რამაც ბოლო ქულის წესით საბოლოო წარმატება მოუტანა) სასტვენამდე მხოლოდ 4 წამით ადრე მოიპოვა. სამაგიეროდ, მერე ვერ გადაურჩა მარცხს მასპინძელ **სემენ რადულოვთან**, თუმცა პირველი პერიოდი კი მოიგო. **ბექა ლომთაძემ** (60) მძიმედ დაიწყო შეხვედრა უკრაინელ **იური სემაკინთან** - 0:2 ჩამორჩა, მაგრამ მობილიზება შეძლო და პერიოდი 7:2 მოიგო. სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდებში ვერაფრით გაანეიტრალა მეტოქე, რომელიც თითქმის ყოველ ჯერზე წარმატებით შედიოდა ფეხში. არადა, პირველ პერიოდში ჩვენებურმაც ძირითადად ამ ფანდით იმძლავრა, რაც მერე თავად ექცა მარცხის მიზეზად - 0:4; 0:3 წააგო და უმედლოდ დარჩა, რადგან ფინალში ვერც სემანიკი გავიდა.

ტურნირის მნიშვნელოვანი ამბებიდან ერთს გამოვარჩევთ - 96 კილოგრამში რუსთა სახელოვანმა ოსმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა **ჰაჯიმურატ გაცალოვმა** გაიმარჯვა. ცხადია, ის 31 წლის ასაკშიც ავლენს შესაშურ ოსტატობას და უდიდესი გამოცდილების ხარჯზე ტაქტიკურადაც უზუსტესად ჭიდაობს, მაგრამ ძველებური სისწრაფე აღარ მოდგამს - წლები ხომ თავისას შვება. ამის მიუხედავად, ერთ რამედ ღირდა მისი დიდოსტატური ჭიდაობის ცქერა.

ირაკლი თავაძე

ფარიკაობა

მარცხნიდან: მარია ზაკირჩენკო, ლუკა ღაღანიძე, თეონა გოგლიძე და მიქაელ მიქაელიანი

ევროპაზე ნამსვლელნი საქართველომ დაასახელა

უნგრეთის დედაქალაქი 25 თებერვლიდან 7 მარტამდე კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, მწვრთნელი ირაკლი ღაღანიძე, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის დაფინანსებით მსაჯადაა მინვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი დავით სახვაძე) ბუდაპეშტში ექვსი სპორტსმენით წარდგება. ევროპელ კადეტებს გაეჯიბრებიან ლუკა ღაღანიძე, თეონა გოგლიძე (ორივე - რაპირა), საბა სულამანიძე (ხმალი) და მიქაელ მიქაელიანი (დაშნა). ისინი ახალგაზრდებშიც იასპარეზებენ, ოღონდ მათ ამ ასაკში სანდრო ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილი დაემატებიან. ბაზაძე, მარდალეიშვილი და სულამანიძე გუნდურშიც მოსინჯავენ ძალებს.

ყოველივე ეს გუშინ გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც ვაკის საფარიკაო დარბაზში ახალგაზრდა მუშკეტერთა საქართველოს ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი დავით სახვაძე) დამთავრდა.

ასპარეზობის პირველ დღეს საფარიკაო ბილიკებზე მოხმალავენი გავიდნენ, ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ მარდალეიშვილსა და სულამანიძეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მსოფლიოს და ევროპის თასის ეტაპების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი **სანდრო ბაზაძე,** რომელმაც ფინალში **დავით უკლება** დაჯაბნა - 15:9.

ასეთივე ანგარიშით ქალთა ფინალში **ანა სინატაშვილმა ქრისტინე ნოზაძეს** სძლია. ასევე უპრობლემოდ დაძლია ფინალში **ლუკა ღაღანიძემ არჩილ უგულავას** წინააღმდეგობა - 15:11, **თეონა გოგლიძემ** კი **ნუცა იაგორაშვილი** დაამარცხა - 15:10.

დაშნაში ვაჟთა გადამწყვეტი პაექრობა ფრიად დაძაბული გამოდგა. ოქროს მედლის ბედი ერთმა ჩხვლეტამ გადაწყვიტა - **მიქაელ მიქაელიანმა ირაკლი ფანცხავას** 15:14 მოუგო. გოგონების ფინალში **მარია ზაკირჩენკო** და **ქრისტინე მიქაძე** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქუთაისელი მოფარიკავეები მეორე წელიწადია, უმაღლესი სინჯის მედლისთვის ერთმანეთს უწევენ მეტოქეობას. შარშან ეროვნულ ჩემპიონატში მიქაძემ აჯობა, წლეულს კადეტთა პირველობა ზაკირჩენკომ მოიგო. მარიამ გუშინაც დაჯაბნა თანაგუნდელი - 15:12 და პირველი ადგილი დაიკავა. საგულისხმოა ისიც, რომ რაპირასა და დაშნაში გადამწყვეტი ორთაბრძოლები ფრანგმა არბიტრმა **სედრიკ დუბროილმა** იმსაჯა. იგი სპორტის სამინისტროს მოწვევით იმყოფება საქართველოში და ბავშვთა ცენტრის პროექტებზე მუშაობს.

„საქართველოში პირველად ვარ, ძალიან მომწონს აქაურობა, - გვითხრა სტუმარმა. - რომ გავიგე, ფარიკაობაში საქართველოს პირველობა ტარდებოდა, როგორ გავუშვებდი შემთხვევას, შეჯიბრება არ მენახა. გამიხარდა, ფინალური შეხვედრების მსაჯობა რომ შემომთავაზეს. მე ხომ რაპირაში საფრანგეთის ტოპათეულში შევდიოდი. თქვენი მოფარიკავეები ტექნიკურად კარგად არიან მომზადებული. მათ ახლა გამოცდილება სჭირდებათ, რაც საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლით უნდა შეიძინონ; რამდენიმე ტალანტი შევამჩნიე. ამ გოგო-ბიჭებთან თავდადებული მუშაობით მაღალი შედეგების მიღწევა შეიძლება“.

საქართველოს პირველობაში ექვსი ქალაქისა და რეგიონის 90-მდე წარმომადგენელი გამოდიოდა. განსაკუთრებით სასიამოვნო შეჯიბრებაში ზესტაფონელი მოფარიკავეების გამოჩენა იყო. არადა, ერთ დროს აქაურმა სპორტსმენებმა შორს გაითქვეს სახელი: **ავთანდილ კიკნაძემ** ახალგაზრდებში ორჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, მსოფლიოს პირველობაზე კი მესამე ადგილი დაიკავა. გუნდურ ხმალში საკავშირო პრიზიორი გახლდათ **ჯონდო მაჭავარიანი,** წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებში ასპარეზობდა **ლიანა შეყრილაძე.** და აი, მეორე წელიწადია, ზესტაფონში ფარიკაობის სექცია აღადგინეს, რომელსაც **ამირან ჭანტურიძე** ჩაუდგა სათავეში. 20-მდე მოზარდი რაიონში ფარიკაობის ფუძემდებლის - **სიმონ საყვარელიძის** სახელობის სასპორტო სკოლის დარბაზში ვარჯიშობს. „უმთავრესად 12-13 წლის გოგო-ბიჭები არიან, - გვითხრა ამირან ჭანტურიძემ. - შარშან ხმლები, მუზარადები და ელექტროაპარატი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ მოგვცა, რამდენიმე დაშნა ქუთაისის ფარიკაობის სკოლამ გვაჩუქა. ასე მწირი ინვენტარით შევუდექით მუშაობას. დიდ ყურადღებას გვაქცევს იმერეთის ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლევან კირკიტაძე. მისი დამსახურებაა, რომ მრავალწლიანი „შესვენების“ შემდეგ ზესტაფონელი მოფარიკავეები ორი კვირის წინათ კადეტთა საქართველოს პირველობაში ჩაებნენ, ამ უქმეებზე კი ახალგაზრდების მსგავს შეჯიბრებაში ვიასპარეზეთ. შედეგებზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ მჯერა, რომ მალე მედლებიც მოვა“.

გულშემატკივრებს აქვე შევახსენებთ, რომ 9-10 თებერვალს უნგრეთის დედაქალაქშივე გაიმართება მსოფლიოს თასის ეტაპი - გრან-პრის გათამაშება. ამ ტურნირში საპრიზო ადგილებისთვის ბექა და სანდო ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ლუკა ობოლაძე და საბა სულამანიძეც იბრძოლებენ.

ქვარცხლბეკი

ხმალი. გოგონები. 1. ანა სინატაშვილი (ქუთაისი), 2. ქრისტინე ნოზაძე, 3. ელენე ნანობაშვილი, ანა აფრასიძე (სამივე - თბილისი). **ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე, 2. დავით უკლება (ორივე - ქუთაისი), 3. ნიკოლოზ შენგელია (თბილისი), ვაჟა რეჭია (ქუთაისი).

რაპირა. გოგონები. 1 თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ანა მელია (სამივე - თბილისი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1 ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. არჩილ უგულავა (ბათუმი), 3. გიორგი გელაშვილი (თბილისი), ნიკოლოზ ვეფხვიაშვილი (რუსთავი).

დაშნა. გოგონები. 1 მარია ზაკირჩენკო, 2 ქრისტინე მიქაძე, 3. ნინო გაბუნია (სამივე - ქუთაისი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ირაკლი ფანცხავა, 3. ანრი სიმსივე, ირაკლი ამბროლაძე (სამივე - ქუთაისი).

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

სუპერლიგა 2012-13. XIV ტური

რა მსგავსებაა III-სა და XIV-ს შორის?

სუპერლიგის მე-14 ტური ძალიან ჰგავდა მესამეს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე გუნდები თამაშობდნენ, არამედ მატჩების ხასიათითაც. საქმე ისაა, რომ მესამე და მეთოთხმეტე ტურებში მოასპარეზე გუნდებმა მხოლოდ სტუმარ-მასპინძლის როლები გაცვალეს. თუმცა ფავორიტი მეტოქის მოედანზეც ფავორიტად დარჩა და ამიტომაც ვიხილეთ არათანაბარი თამაშები.

„ქუთაისმა“ სტუ-ს იოლად აჯობა, „შსს აკადემიამ“ - თსუ-ს, ხოლო „არმიამ“ - „სამედიცინოს“ (ტურის პარასკევს გამართულ შეხვედრებზე შაბათს მოგითხრეთ).

სტუ-ქუთაისი

თბილისში პირველი შეხვედრა **ირაკლი** და **დავით ბერიშვილებმა** განსაჯეს. ისინი ახალი „ჩინით“ - ფიბას არბიტრების სტატუსით ემსახურებოდნენ მატჩს. საქართველოში გასულ კვირას მოვიდა ცნობა, ტყუპისთვის ფიბას არბიტრის წოდების მინიჭებისა. ნამდვილად მისალოცი და საამაყო ამბავია, რადგან ქართველებს აქამდე მხოლოდ სამი მოქმედი ფიბას კატეგორიის არბიტრი გვყავდა.

ქუთათურები სუპერლიგაში სამქულიანების ტყორცნის სიზუსტით გამოირჩევიან. მათ სტუ-სთან 13 შორეული სროლა გამოიყენეს და შინ მშვიდად გაბრუნდნენ.

თსუ-შსს აკადემია

„შსს აკადემიამ“ საკუთარი ამბიციურობა მოედანზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა. თსუ-სთან შეხვედრა თავიდან ბოლომდე სტაბილურად ჩაატარა და შედეგიც შესაბამისი მოიმკო.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, თვალში გვეცემა ძალოვანთა ამერიკელი გამთამაშებლის **დეონტა ვონის** მონაგარი, რომელსაც სამმაგ დუბლამდე ძალიან ცოტა დააკლდა: 23 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი.

სამედიცინო-არმია

მეიკოსები ორი ლიდერის, **გიორგი გაფრინდაშვილისა** და **გიორგი რევაზაშვილის** გარეშე თამაშობდნენ. ძმის არყოფნაში **ლევან რევაზაშვილმა** 18 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, მაგრამ წინასწარვე ცხადი იყო, რომ „სამედიცინოს“ „არმიასთან“ გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.

ქუთაისზე ორით მეტი, 15 სამიანი ჩააგდეს არმიელებმა, რომელთა რიგებში ქულები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა. ამ კომპონენტში **ბესიკ ლეჟავა** (18 ქულა) და **ლაშა გამყრელიძე** (15 ქულა) გამოირჩნენ. პირველმა 6-დან 5 სამიანი გამოიყენა, მეორემ - 4-დან - 3.

გუნდი	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. შსს აკადემია	13	11	21080/84824		
2. რუსთავი	13	11	21122/91524		
3. არმია	12	10	21074/78822		
4. ოლიმპი	12	10	21052/86122		
5. ქუთაისი	13	8	51041/91821		
6. დინამო	13	8	5997/95021		
7. თსუ	13	5	8917/102718		
8. ბათუმი-რსუ	13	3	10874/1076		16
9. სოხუმი	12	3	9904/99915		
10. სამედიცინო	13	1	12813/118914		
11. სტუ	13	0	13825/1128		13

ვაჟა სიმონიშვილი

16.02. თბილისი, სპორტის სასახლე

	I	II	III	IV
სტუ	11	7	11	12
ქუთაისი	15	28	25	28

სტუ 41 : 96 ქუთაისი

სტუ	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ჩაჩიბაია	21	4	0	3	2	0	5
თეთზაძე	15	3	2	2	0	1	2
კვეტენაძე	24	2	2	3	1	0	6
კორკოტაძე	13	5	1	1	1	0	3
ფინაშვილი	8	1	0	1	0	0	0
მაჩალაძე	11	7	1	1	2	0	4
პირველაშვილი	19	3	2	1	0	0	5
დვალიშვილი	9	2	0	2	1	0	5
კუჭავა	19	4	0	2	1	0	2
ქიქიგური	15	1	0	6	1	0	2
ფანაშია	25	3	2	2	0	3	4
ქორიძე	14	1	1	1	1	0	3

ქუთაისი	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ფაფავი	22	5	7	3	2	0	7
ბაგუნაშვილი	21	3	1	1	1	0	2
დიდი	24	7	4	2	2	1	6
გრძელიძე	13	2	4	1	3	0	7
კვიესაძე	17	3	2	1	0	0	16
მესხი	7	1	0	2	1	0	2
კილაძე	4	1	0	1	1	0	2
ბარბაქაძე	16	2	2	2	2	0	6
ლეონიაშვილი	13	5	2	1	0	0	10
ბარბაქაძე	27	4	0	1	0	1	19
კოლუაშვილი	8	3	0	1	0	0	0
მათიაშვილი	21	13	1	3	0	3	19

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერიშვილი, ირაკლი ბერიშვილი

16.02. თბილისი, სპორტის სასახლე

	I	II	III	IV
თსუ	16	21	12	27
შსს აკადემია	27	25	20	30

თსუ 76 : 102 შსს აკადემია

თსუ	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ბაძრაძე	28	2	7	5	3	0	10
ასლანი	25	5	2	1	1	0	8
თავამაშვილი	8	2	0	0	1	0	0
ტეტელაშვილი	16	0	3	0	3	0	3
ხანიაშვილი	29	2	3	3	3	0	24
კოზიძე	6	1	0	0	0	0	1
ვახანია	5	1	1	1	0	0	0
ბერუაშვილი	21	4	2	6	3	0	7
ჩქარეული	24	1	2	0	0	0	14
სიხანიშვილი	12	2	0	1	1	0	7
ნოზაძე	21	2	1	0	1	0	2

შსს	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ჩიტაშვილი	17	1	4	2	1	0	3
ვეონი	29	9	8	2	1	0	23
როგავა	9	0	1	2	3	0	1
ბოქოლიშვილი	18	0	2	3	0	0	14
ლონდარიძე	15	5	2	3	0	0	16
ჩაჩხიანი	5	0	1	1	0	0	0
იმნაძე	5	3	1	0	0	0	0
ლომოური	1	0	0	0	0	0	0
ზვიად ანთაძე	17	1	0	1	0	1	10
ბეძური	25	6	2	6	2	1	4
არჩიბეკი	31	11	3	3	1	0	15
რეიმონდი	22	8	3	3	2	0	16

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მიხეილ ვართანოვი

16.02. თბილისი, სპორტის სასახლე

	I	II	III	IV
სამედიცინო	14	13	22	16
არმია	27	22	29	27

სამედიცინო 65 : 105 არმია

სამედიცინო	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ფიქია	16	3	3	5	0	0	0
ბიბილური	5	2	0	0	0	0	0
არწივიძე	25	2	4	6	0	0	13
ბიოლაშვილი	4	0	0	0	1	0	0
ტუქვაძე	15	4	1	2	0	2	0
გაბისონია	24	4	5	4	2	0	14
რევაზაშვილი	33	11	1	3	0	0	18
მაისურაძე	28	1	2	2	0	0	15
ფერიაშვილი	21	9	1	1	2	1	4
კორძაძე	6	2	0	0	0	0	1
ქიქვეიშვილი	12	0	1	0	1	0	0
ელიაძე	6	1	0	1	0	0	0

არმია	ნთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
გამყრელიძე	20	1	8	3	4	0	15
გაგნაშვილი	16	5	2	1	1	0	5
ბერია	21	5	2	0	1	0	10
ბოინაშვილი	19	4	2	3	2	0	6
ფიფნივაძე	19	1	1	2	0	0	7
ლეჟავა	21	1	1	1	0	0	18
საყვარელიძე	20	3	4	3	1	1	9
შარაბიძე	17	8	2	0	0	2	11
ვეგერნაია	22	6	1	1	2	0	12
ფარალავა	20	5	8	2	1	0	12

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ირაკლი ბერიშვილი, გურამ მიქელაძე

სთუ-ქუთაისი. უტევს გიგი ბარბაქაძე (N15)
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● საქართველოს ჩემპიონატი

საბრძოლო ფრემ არაფერი შეცვალა

ლოკომოტივი-აია 13:13

ლოკომოტივი (15-9) წიკლაური, ბიწაძე, ქავთარაძე, კავთიძე, ჟამუტაშვილი (შიოშვილი 41), კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი (ყაზალიკაშვილი 70), გენებაშვილი, ელოშვილი, გეგია, სულთანიშვილი, ხულუაშვილი (ნინნიანიძე 30), ჩიტიძე, მაისურაძე.
ლ: გენებაშვილი. 2ს: წიკლაური. 3: კავთიძე.
აია (15-9) ძნელაძე, გოშაძე, ფრუიძე, კუხიანიძე, კვერნაძე, სინაურიძე, რონვაძე. (1-8) ულუმბელაშვილი (წაქაძე 60), მატკავა (ლომთაძე 37), ლომიძე, შალამბერიძე, ძაგნიძე, დგებუაძე (რევიშვილი 70), ყურაშვილი, თხელიძე.
ლ: ფრუიძე. 2ს,3: სინაურიძე.
სინბინი: ძაგნიძე.
მსაჯი: უჩა ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი ჩვენი ქვეყნის უძველესი და ყველაზე ტიტულოვანი გუნდების, თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „აიას“ დაპირისპირებით დაიწყო. ამ კლუბების შეხვედრები მუდამ დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლებში მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რა მიზნებისთვის იბრძვიან ისინი. ასე იყო ამჯერადაც. თამაშში ძლიერი ვერ გამოვლინდა და ფრედ 13:13 დასრულდა.

შეჯიბრების ამ ეტაპზე ორივე გუნდს განსხვავებული მიზნები აქვს. „აიას“ პლეი ოფში მოხვედრა ეჭვს არ იწვევს, თუმცა ქუთაურები მესამე ადგილის დასაკავებლად მაინც იბრძვიან, რათა ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში შინ ითამაშონ. რკინიგზელებს კი პლეი ოფის საგზური ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვთ.

თამაში სტუმრებმა ბევრად უფრო აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-4 წუთზე ლელოს გატანა მოახერხეს. „ლოკომოტივის“ რიგებში დაბრუნებულმა ვეტერანმა მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** ბურთი ფეხით მეტოქის მოედნის ნახევარზე გადაიტანა. იქ, მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს, მას გარემარბი **სერგო კვერნაძე** დაეუფლა, ოდნავ წინ წაინია და მერე ბურთი შუამარბ **გიორგი ფრუიძეს** მოედნის სიღრმეში შემოუბრუნა, რომელმაც მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა, მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** გარდასახა - 7:0.

„ლოკომოტივმა“ ამის შემდეგ თამაშის დალაგება შეძლო, თუმცა ანგარიშის გათანაბრება დიდხანს ვერ მოახერხა. კვინიხიძემ და ამ მატჩში შუამარბად გამწესებულმა **ვახტანგ კავთიძემ** თითო საჯარიმო გააცუდეს. 31-ე წუთზე კი რკინიგზელებმა ხანგრძლივი, თითქმის ხუთწუთიანი იერიში წამოიწყეს.

„აიას“ ჩათვლის მოედნიდან 10 მეტრში მასპინძლების სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა, რომელშიც სტუმრებმა თამაშის წესი დაარღვიეს, მსაჯმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა. რკინიგზელებმა სწრაფად გაათამაშეს, მორკინალების დარტყმებით წინ წაიწიეს, წარმოქმნილი რაკიდან ბოლოს ბურთი შერკინების კვაჭმა **ლევან გენებაშვილმა** აიტაცა და ლელოში გადადო. გარდასახვა კავთიძემ ზუსტად დაარტყა - 7:7.

„აია“ ამის შემდეგ უფრო აქტიური გახდა და საპასუხო შეტევისას ლელოს გატანაც შეეძლო, თუმცა მხოლოდ საჯარიმოს გამორჩა და სინაურიძემ ქუთათურები ახლო მანძილიდან ისევ დააწინაურა - 10:7. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ მატჩი კიდევ უფრო მძიმე და დაძაბული გახდა. გუნდები ზომაზე მეტად ფრთხილობდნენ, რამაც თამაშს დაღი დასვა. ანგარიშის გათანაბრება „ლოკომოტივმა“ 66-ე წუთზე მოახერხა, როცა საჯარიმო ფულბეკმა **ბექა წიკლაურმა** გაიტანა - 10:10.

„აიას“ მგეზავმა სინაურიძემ საპასუხო საჯარიმო ორ წუთში გაიტანა და თავისიანები კიდევ ერთხელ დააწინაურა - 13:10. „ლოკომოტივმა“ მარცხისგან თავის დაღწევა თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე შეძლო. წიკლაურმა კიდევ ერთი საჯარიმო დაარტყა ზუსტად - 13:13.

„აიას“ კონკურენტმა „არმაზმა“ შინ „ბათუმის“ დამარცხება შეძლო 23:16 და ქუთათურებს წამოეწია. მიუხედავად ამისა, იმერული გუნდი მესამე ადგილს ინარჩუნებს. რკინიგზელები კი მე-6 ადგილზე არიან და უახლოეს მდევარ რუსთავის „ხარებს“ ცხრა ქულით უსწრებენ.

● სტუმარი

ირაკლი სვანიძე დაკიდებული ბურთისთვის ბრძოლაში
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

უმცროსი ბორჯღალოსნების დიდებული რაგბობა

„რაგბი დიდებული თამაშია. სამწუხაროდ, 12:48 წავაგეთ, მაგრამ მეტოქე ბრწყინვალე იყო. ანგარიში სრულად არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ ქართველებს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ“ - ეს სიტყვები „ლონდონ ვოსფსის“ ფეისბუკის კედელზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებისა და „ვოსფის“ მატჩის შემდეგ გაჩნდა.

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გამართულმა ამ შეხვედრამ რაგბის ქომაგებს მომავლის დიდი იმედი ჩაუსახა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ლონდონ „ვოსფსის“ თანატოლთა ბაგზდს 48:12 მოუგო, მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც.

იმას, რასაც ჩვენი ნორჩი მოთამაშეები მოედანზე სჩადიოდნენ, უბრალოდ, სწორად გამართული, დიდი რაგბი ჰქვია. სისწრაფე, ხელის ტექნიკა, სწორი გადაწყვეტილებების მიღება, ყველა ამ კომპონენტში ჩვენი ბიჭები ინგლისელ თანატოლებს აშკარად სჯობდნენ. ასე ხელდახელ მობურთალი ქართული გუნდი დიდი ხანია არავის უნახავს.

თამაშში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეცვლები ლიმიტირებული არ იყო. შესაბამისად, ნაკრების თითქმის ყველა კანდიდატის საქმეში ხილვა მოხერხდა. ამჟამად ჩვენი გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში 35 მორაგბეა, რომელთაგან მთავარ მწვრთნელს **ილია მაისურაძეს** 26 საუკეთესოს შერჩევა, ვფიქრობთ, ძალიან უნდა გაუჭირდეს.

ერთადერთი, რაც ამ თამაშიდან გულში ხინჯად დაგვრჩა, ის არის, რომ შერკინებას სტატიკურ მდგომარეობაში ცოტა გაუჭირდა. სამაგიეროდ, დინამიკაში მეტოქეს ხშირ შემთხვევაში ჯაბნიდა კიდეც. არ გვინდა ახლა ვინმე გამოვარჩიოთ. ყველა, ვინც ინგლისური გუნდის ძლევაში წვლილი შეიტანა, ქების ღირსია და იმედი გვაქვს, რომ მათი სახით ქართულ რაგბის ბრწყინვალე მომავალი ეზრდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც საფრანგეთში გაიმართება. ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე ირლანდიის ნაკრებია.

საქართველო U-18- ვოსფსი 48:12

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ერეკლე მაღრაძე (ხარები), ბადრი ალხაზაშვილი (ინგლისი), თორნიკე მათარაძე (ტორნადო), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), ზაურ ხარებავა (რაინდები), დავით ფხაკაძე (ივერია), გიორგი ტორაძე (აია).
მეორე ხაზი: როლანდ კვაჭაძე (ლელო), გუგა ხანთაძე (აია), თორნიკე ზოიძე (აკადემია), ბესო ბარბაქაძე (ივერია).
მესამე ხაზი: ბადრი დანგაძე, ოთარ გიორგაძე (ორივე-აია), ბექა გორგაძე (ხარები), გიორგი ხვისტანი (ყორჩები), თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), ყორა მღებრიშვილი (ხარები), დავით ჰაპავაძე (ჯიქები).
№9: დავით გულიტაშვილი (ხარები), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), თეიმურაზ თუთბერიძე (აია).
№10: გურამ ლაფერაშვილი (ლელო), რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).
№11-14: იოსებ კიკვაძე (აია), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ბადრი ლიპარტელიანი (ივერია), დავით ლობჟანიძე (არმაზი).
№12-13: სანდრო ილურიძე (აკადემია), იოსებ აფარიძე (ხულიგანა), ლევან გიკაშვილი (ლელო).
№15: ირაკლი სვანიძე (ხულიგანა), გიორგი ბაბუნაშვილი (აია).

1/4 ფინალი

საქართველო-ირლანდია, ინგლისი-პორტუგალია, საფრანგეთი-იტალია, უელსი-შოტლანდია

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ლიდერმა დაამტკიცა, რომ ღირსეულია

ლელო-არმია 16:13

ლელო (15-9) ყიასაშვილი, გუგავა (გეგენავა 72), კოპაძე, ცერცვაძე, ნიჟარაძე, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) გოგიშვილი (სანიკიძე 60), ბელქანია, პატარაია (კვერნაძე 73), ჭეიშვილი, ქოიავა, დარასელია (მძინარიშვილი 41), ე.სურგულაძე, ქყოიძე (კოლელიშვილი 76).
ლ: ცერცვაძე. 3ს,გ: ყიასაშვილი.
არმია (15-9) კობახიძე (აფციაური 75), გოგოლაშვილი (ტუნაშვილი 72), ჯიმშელაძე, ჩხიკვაძე, გაბროშვილი, ნინიძე, ჯინაშვილი. (1-8) კაკოვინი (ქორიძე 48), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 45), გურვენიძე (ზაქაშვილი 45), ბინაძე (აზალაძე 54), ი.სურგულაძე, თხილაიშვილი, კალმახელიძე, ბუჯიაშვილი.
ლ: თხილაიშვილი. 2ს: კობახიძე. გ: აფციაური.
მსაჯი: რიჩარდ ჯელი (ახალი ზელანდია)

ტურის ცენტრალურ მატჩში ლიდერი თბილისის „ლელო“ საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელ „არმიას“ დაუპირისპირდა და 16:13 დაამარცხა. შეხვედრას ახალზელანდიელი არბიტრი **რიჩარდ ჯელი** მოემსახურა, რომელიც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ რამდენიმე თამაშს განსჯის. მოგვიანებით, მას ირლანდიელი მსაჯები შეცვლიან.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, უშეღავათო ბრძოლაში ნარიმართა და დრამატული სცენარით განვითარდა. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე „არმიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოჭავჭავაძემ** ჩვენთან ინტერვიუში თქვა, რომ თურქეთში, ალანიას მახლობლად გამართული საწვრთნელი შეკრება სწორედ „ლელოსთან“ მატჩისთვის მზადებას მიეძღვნა. თავად ლელოელები კი თამაშის წინ ერთი კვირით ადრე თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროში დაბანაკდნენ და შეხვედრისთვის მაქსიმალური ძალისხმევით ემზადებოდნენ.

ერთი სიტყვით, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ მისულმა ქომაგმა მართლაც შესანიშნავი სანახაობა იხილა. არმიელებმა, რომელთა გარჯის თვალის სადევნებლად სტადიონზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი აღასანია** იმყოფებოდა, პირველი ტაიმი უკეთ წარმართეს და შესვენებაზე ექვსქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 6:0.

ვერ ვიტყვით, რომ „ლელომ“ მეტოქეს რაიმე დაუთმო. რომ არა ძლიერი ქარი, ადვილი შესაძლებელი იყო პირველი ტაიმი ფრედაც დამთავრებულიყო. „ლელოელთა“ ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ხელსაყრელი პოზიციიდან ორი საჯარიმო ვერ გაიტანა.

შესვენების შემდეგ „ლელო“ მთლიანად დაეუფლა სათამაშო უპირატესობას. ქარიც ჩადგა და ყიასაშვილმა მეორე ტაიმის საწყის რვა წუთში ორი საჯარიმო გაიტანა - 6:6. ლელოელებმა იგრძნეს, რომ მატჩის მოგებაც შესაძლებელია და მეტოქეზე ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს. 58-ე წუთზე ყიასაშვილმა საჯარიმო 49 მეტრიდან დაარტყა და თავისიანები შეხვედრაში პირველად დააწინაურა - 9:6.

ეს ანგარიში თამაშის 76-ე წუთამდე შენარჩუნდა. დასკვნით ოთხ წუთში დაძაბულობამ პიკს მიაღწია და გუნდებმა თითო-თითო ლელო გაცვალეს. ჯერ ანგარიშში ათი ქულით დაწინაურება „ლელომ“ მოახერხა. მოედნის შუაგულიდან ლელოელთა და საქართველოს ნაკრების მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** ბურთი ფეხით მეტოქის 22-მეტრიან ზონაში დაჰკიდა, მას იქ შეცვლაზე შესული გარემარბი **ალექსანდრე ტუჩაშვილი** დაუხვდა, რომელსაც ბურთი ხელიდან გაუვარდა.

შერკინება „არმიას“ ჩათვლის მოედნიდან 18 მეტრში დაინიშნა. იქიდან **გიორგი ჭყოიძემ**, რომელიც მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, ბურთი ცხრა ნომერ **გიორგი კაჭარავას** გაუტანა, რომელიც მარჯვნივ, გრძელი ფრთის მიმართულებით იდგა, თუმცა მან დროულად შენიშნა მარცხნივ შექმნილი ვითარება და ბურთი ხმალაძეს გადაანოდა, ამან შეტევაში შუამარბი **დაჩი კოპაძე** ჩართო, რომელმაც წინ წაიწია და მის მეწყვილეს **თორნიკე ცერცვაძეს** გადააწოდა. მისი შეჩერება არმიელებმა ვერ შეძლეს. ყიასაშვილმა გარდასახა - 16:6.

საქართველოს ჩემპიონებს ყურები არ ჩამოუყრიათ და როგორც კი თამაში განახლდა, შეტევაზე გადავიდნენ. მათი შუამარბის **ირაკლი ჩხიკვაძის** აქტიურობის შედეგად მარჯვენა ფრთაზე საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს, რომელიც სწრაფად გაათამაშეს და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე მორკინალების მიძალებით შეუტიეს. მერე სწრაფად შეცვალეს იერიშის მიმართულება და მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს მარტო დარჩენილმა მესამეხაზელმა **გიორგი თხილაიშვილმა** ლელოში შეაღწია. შეცვლაზე შესულმა ფულბეკმა **გიორგი აფციაურმა** რთული პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 13:16.

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ მცირე დროში „არმიამ“ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, მაგრამ „ლელო“ დაცვაში უშეცდომოდ გაისარჯა და გამარჯვების მომტანი ანგარიში შეინარჩუნა.

ბურთით ლაშა ხმალაძე
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

XIII ტური

არმაზი-ბათუმი	23:16
ხარები-ყორჩები	29:16
ჯიქები-აკადემია	32:0

საჩემპიონო მაგიდა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლელო	13	12	0	1	+210	56
2. არმია	13	11	0	2	+133	51
3. აია	13	8	2	3	+158	42
4. არნაზი	13	10	0	3	+55	42
5. ჯიქები	13	6	0	7	+20	31
6. ლოკომოტივი	13	5	2	6	+22	29
7. ხარები	13	4	0	9	-96	20
8. ბათუმი	13	3	0	10	-113	15
9. აკადემია	13	3	0	10	-241	14
10. ჯორჯები	13	1	0	2	-148	7

XIV ტური

არმია-არმაზი, ჯიქები-ლოკომოტივი, აკადემია-ყორჩები, აია-ლელო, ბათუმი-ხარები.

ჩოგბურთი. ტურნირები

ვიკა პირველია, სერენაც

ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** ტრიუმფით დასრულდა დოჰას უმაღლესი კატეგორიის ტურნირი. მან ფინალში **სერენა უილიამსი** დაამარცხა, მაგრამ მაინც დაკარგა მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი.

დოჰაში ნახევარფინალურ ეტაპზე რეიტინგის საუკეთესო ოთხეულის ყველა წევრმა გააღწია. შაბათს, პირველები კორტზე აზარენკა და **აგნიეშკა რადვანსკა** გავიდნენ. შარშან ბელარუსმა ჩოგბურთელმა ექვსიდან ექვსი მატჩი მოუგო პოლონელ კონკურენტს, თანაც ისე, რომ რადვანსკამ ჯამში მხოლოდ ორი სეტი აიღო და არც ერთ შეხვედრაში წარმატების შანსი არ ჰქონდა.

ამჯერადაც აზარენკამ თავიდანვე გამოხატა თავისი უპირატესობა. აგნიეშკა ჩვეულ სტილში დაცვიდან თამაშობდა, ამიტომაც, ვიქტორიას მოთმინება სჭიდებოდა ხანგრძლივი გათამაშებების თავის სასარგებლოდ დასასრულებლად. გადამწყვეტ მომენტებში აზარენკა უკეთ მოქმედებდა, თან მას წაუვიდა თამაში მეტოქის მონოდებაზე, რაც სამ აღებულ ბრეიკში გამოისახა, პოლონელს კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა სეტში, რომელიც გამოიყენა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა პარტიის მოსაგებად.

აზარენკასთვის მეორე სეტშიც ყველაფერი კარგად დაიწყო. მან სამი თანაბარი გეიმი მოიგო და სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. იმ მომენტში პოლონელმა ოდნავ მოუმატა, თან ბელარუსმაც მოუხშირა შეცდომებს, მაგრამ აგნიეშკამ ამით მხოლოდ იმას მიაღწია, რომ საკუთარ მოწოდებას ინარჩუნებდა სტაბილურად, მაგრამ დაკარგული ბრეიკის დაბრუნება ვეღარ მოახერხა. ბელარუსმა მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა და 6:3, 6:3 გაიმარჯვა.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ **მარია შარაპოვასთვის** სერენა უილიამსი უხერხული მეტოქეა. 12 მატჩიდან რუსმა მხოლოდ ორჯერ დაამარცხა ამერიკელი. ორჯერვე 2004 წელს, რის შემდეგაც, ამერიკელმა ზედიზედ ათჯერ მოუგო მარიას.

მატჩის დებიუტში არ იგრძნობოდა სერენას უპირატესობა. მეხუთე გეიმამდე ორივე დამაჯერებლად ინარჩუნებდა თავის მონოდებას. შემდეგ კი ამერიკელმა მოახერხა შარაპოვას გეიმში გაბრძოლება, რასაც რუსის მხრიდან ჯერ უკანა ხაზიდან დარტყმისას შეცდომა, შემდეგ კი ორმაგი შეცდომა მოჰყვა. მარიამ სცადა სეტის ბოლომდე რაღაცის შეცვლა, მაგრამ სერენა იმ დღეს ბრწყინვალედ ანვდიდა და მეტოქეს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მისცა.

მეორე სეტის წინ შარაპოვამ კორტზე თავისი მწვრთნელი **ტომას ჰოგსტედი** გამოიძახა, მაგრამ ამან თავიდან არ იმოქმედა. პირველ გეიმში რუსს ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუწია, შემდეგ კი მატჩში თავისი პირველი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ამით განაწყენებულმა, მესამე გეიმში ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დათმო. მეტოქის გეიმზე შემდეგი შანსი შარაპოვამ მაშინ მიიღო, როცა სერენა ორმაგი ბრეიკით იგებდა და მატჩზე ანვდიდა. აქ რუსს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა ისევ შეცდომები დაუშვა და ბრეიკის გარეშე დაასრულა მატჩი - 3:6, 2:6.

■ ■ ■

ფინალური მატჩი გუშინ გაიმართა. უკვე წინასწარ იყო ცნობილი, რომ წაგების მიუხედავად, სერენა უილიამსი დღეიდან მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი გახდებოდა, რადგან აზარენკა დოჰას ტურნირის მოქმედი ჩემპიონი იყო და რეიტინგში ქულებს ვერ დაიმატებდა.

ამერიკელს ცხრამატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა ბელარუსელთან და, რა თქმა უნდა, ამ ფაქტორს წინასამატჩო პროგნოზებისას ყველა ახსენებდა, თუმცა ისიც ჩანდა, რომ სერენა ბოლომდე ოპტიმალურ ფორმაში არ იყო, რაც წინა რაუნდებში გამოჩნდა. ასე რომ, ვიქტორიას უსიამოვნო სერიის შეწყვეტის კარგი შანსი ჰქონდა, რითაც ისარგებლა კიდეც.

თამაში 2 საათი და 27 წუთი გაგრძელდა. უილიამსი უფრო აქტიური იყო (51 „ვინერსი"), მაგრამ უფრო მეტ შეცდომას უშვებდა (48). აზარენკას ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 30 და 27 იყო. აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა ერთითი მეტი ბრეიკი შეასრულა (სამი ორი წინააღმდეგ), მაგრამ აქედან ორი მეორე სეტზე მოდის, როცა სერენამ გაანადგურა მეტოქე, სამაგიეროდ, აზარენკამ პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე აიღო, მესამეში კი ერთითი მეტი ბრეიკი შეასრულა და 7:6(6), 2:6, 6:3 მოიგო. ვიქტორიამ კარიერაში მე-16 ტიტული მოიგო.

ვიქტორია აზარენკა

რაფა ნადალი

პრის პირველი ტიტული!

ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში დასრულდა ATP-ის ტურნირი და პირველი ტიტული მოიგო კარიერის განახლების შემდეგ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. შეგახსენებთ, რომ რაფამ ერთი კვირის წინ, ვინა დელ მარის ტურნირის ფინალში გააღწია, სადაც არგენტინელ **ორასიო სებალიოსთან** წააგო.

გუშინ მან ასევე არგენტინელის წინააღდეგ ითამაშა გადამწყვეტი მატჩი. ესპანელის მეტოქე იყო გამოცდილი **დავიდ ნალბანდიანი**. ტურნირის მსვლელობისას ეჭვს იწვევდა რაფაელის სპორტული ფორმა, რადგან მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ნადალმა თითო სეტი დაუთმო თავის მეტოქეებს, ასევე არგენტინელებს - **კარლოს ბერლოკსა** და ნაკლებად ცნობილ **მარტინ ალუნდს**.

მაგრამ ფინალში რაფას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მან თითო სეტში თითო ბრეიკი დაუთმო ნალბანდიანს, სამაგიეროდ, თავად ხუთჯერ აიღო მეტოქის მონოდება და საათსა და 18 წუთში 6:2, 6:3 მოიგო. ამ ჩოგბურთელებს შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 5:2 გახდა ესპანელის სასარგებლოდ და ნადალმა კარიერაში 51-ე ტიტული იზეიმა.

ტრაგედია

პირველად საძინებელში გაისროლეს

როგორც ჩანს, ოსკარ პისტორიუსს შეყვარებული შემთხვევით არ მოუკლავს

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სახელგანქმულ მორბენალ-ამპუტანტს **ოსკარ პისტორიუსს** წინასწარ განზრახული მკვლელობის ბრალდებით გაასამართლებენ. უკვე აღარავის სჯერა იმ ვერსიისა, რომლის მიხედვითაც სამხრეთაფრიკელ მძლეოსანს თავისი შეყვარებული **რივა სტინკამპი** მძარცველი ეგონა და ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით გამოასალმა სიცოცხლეს.

სამხრეთაფრიკულ გამოცემა City Press-ს სკანდალური ცნობები მიაწოდა სამართალდამცავი ორგანოების ინკოგნიტო წარმომადგენელმა. ის ამბობს, რომ პისტორიუსი ვერანაირად ვერ მიიღებდა თავის შეყვარებულს მძარცველად, რადგან რივას ღამის პერანგი ეცვა, ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ის უკვე კარგა ხნის მისული იყო მორბენლის სახლში.

„ეჭვი მაქვს, პირველი გასროლა საძინებელში მოხდა და ტყვია მას ბარძაყში მოხვდა, - ამბობს პოლიციელი. - ქალმა საბაბაზანო ოთახამდე მიაღწია და იქ ჩაიკეტა, მაგრამ პისტორიუსმა მას გარედან კიდევ სამი ტყვია ესროლა".

სხვა ფაქტები საბოლოოდ ამსხვრევს მორბენლის პირველად ვერსიას. წყაროს ცნობით, სახლში ნაპოვნია კრიკეტის ჯოხი, რომელზეც სისხლის კვალია, დაღუპულს კი თავის ქალის სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა. თუმცა პოლიციელმა ჯერ არ იცის, ეს საგანი თავდასხმისთვის იყო გამოყენებული თუ მას სტინკამპი თავდაცვისთვის იყენებდა.

ასევე გაირკვა, რომ პისტორიუსმა მკვლელობის შემდეგ რამდენიმე სატელეფონო ზარი განახორციელა იქამდე, სანამ მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინებდა.

წყაროს ცნობით, სპორტსმენმა ტელეფონით მამამისს სასწრაფოდ მასთან მისვლა სთხოვა, თავის დას **ემის** კი მოუყვა, რომ შემთხვევით ესროლა რივას, რადგან ის მძარცველად მიიღო.

პოლიცია ვარაუდობს, რომ გოგონა ცოცხალი იყო, როცა პისტორიუსმა ის კიბეზე ქვემოთ ჩაიყვანა. ამაზე მეტყველებს სისხლის კვალი კედლებზე, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როცა გული მუშაობს. მეზობლების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პისტორიუსი სტინკამპს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა, მაგრამ ის მძლეოსნის ხელებში გარდაიცვალა.

ბიზნესმენი **ჯასტინ დივარისი**, რომელმაც მოდელი მორბენალს გააცნო, ამბობს, რომ პისტორუსმა იმ ღამით მასაც დაურეკა. *„ძალიან სამწუხარო ამბავია. ოსკარმა დამიკერა და მითხრა, რომ რივა მკვდარია, -* ამბობს დივარისი Sunday People-თან *კომენტარში. - მე ვუთხარი: „რას ამბობ? შენი არ მესმის". მან მიპასუხა: „საშინელი უბედურება მოხდა, რივას ვესროლე". ამის შემდეგ ყურმილი მისმა მეზობელმა აიღო და განაცხადა, რომ ეს სიმართლეა და მე ოსკარის სახლში უნდა მივსულიყავი".*

დივარისი ამბობს, რომ მას პისტორიუსთან საუბრის ნება დართეს, მიუხედავად იმისა, სახლში უკვე პოლიცია იყო მისული: *„ის აბსოლუტური შეურაცხადი იყო. მხოლოდ ტიროდა და ერთი და იმავეს იმეორებდა: „მე ის მოვკალი. ღმერთო, წამიყვანე".*

დივარისის მეუღლე **სემმა**, რომელიც სტინკამპის ახლო მეგობარი იყო, აღიარა, რომ რივა ბოლო დროს წუწუნებდა იმის გამო, რომ პისტორიუსი ეჭვიანი და ნერვიული გახდა.

პისტორიუსის საქმეზე ახალი სასამართლო სხდომა სამშაბათს გაიმართება. მასზე განიხილავენ სპორტსმენის გირაოთი გათავისუფლებას. ოსკარის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ეს იყო შემთხვევითი მკვლელობა და ისინი დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას აპირებენ. ჯერჯერობით, პისტორიუსი პატიმრობაში რჩება.

კალათბურთი

ორი წლის შემდეგ ნავა

„ყველა ვარსკვლავის უქმეების" ეგიდით გამართულ პრესკონფერენციაზე „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** აღიარა, რომ ორი წლის შემდეგ აპირებს პროფესიული კარიერის დასრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ 34 წლის კალათბურთელის მიმდინარე ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

„კიდევ ორ წელიწადს ვითამაშებ და შემდეგ დავასრულებ კარიერას. ზუსტად თქმა ძალიან რთულია, - ამბობს ბრაიანტი. - ჩემი აზრით, ყოველი მოთამაშის კარიერაში დგება მომენტი, როცა მას ესმის, რომ წასვლის დრო მოვიდა".

პანტერს პროფკავშირიდან აგდებენ

ეროვნული კალათბურთო ასოციაციის კლუბების მოთამაშეებმა ხმა მისცეს პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორის პოსტიდან **ბილი ჰანტერის** გადაყენებას. შეგახსენებთ, რომ ჰანტერი, რომელიც ამ ორგანიზაციას 1996 წლიდან ედგა სათავეში, თებერვლის დასაწყისში უვადო შვებულებაში გაუშვეს.

ფუნქციონერის გადაყენების გადაწყვეტილება კენჭისყრით მიიღეს, რომელიც ჰიუსტონში „ყველა ვარსკვლავის უქმეების" დროს შედგა. ჰანტერის გათავისუფლებას 30-დან 24 გუნდის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია, რომ მოთამაშეებმა აგრეთვე უკმაყოფილება გამოთქვეს პროფკავშირების პრეზიდენტის **დერეკ ფიშერის** მოღვაწეობით.

პეიტონი დიდების დარბაზს უმიზნებს

„მაიამი ჰიტის" ყოფილი მცველი, „ყველა ვარსკვლავით მატჩის" ცხრაგზის მონაწილე **გერი პეიტონი** NBA-ის დიდების დარბაზში მოხვედრის 12 კანდიდატს შორის შეიყვანეს, - იტყობინება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. პრეტენდენტებს შორის ასევე არიან „ოლ სტარის" არაერთგზის მონაწილე **ტიმ ჰარდუეი, მიჩ რიჩმონდი, მორის ჩიქსი, სპენსერ ჰეივუდი** და **ბერნარდ კინგი**, ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი **დაუნ სტეილი** და მწვრთნელები - **ტომ ჰეინსონი, გაი ლუისი, რიკ პიტინო, ჯერი ტარკანიანი** და **სილვია ჰეტჩელი**. პირდაპირ დიდების დარბაზში შეიყვანეს **როჯერ ბრაუნი, ედვინ ჰენდერსონი, ოსკარ შმიდტი, რიჩარდ ჯერინი** და **რას გრანიკი**.

NBA-ის დიდების დარბაზის ახალი წევრების ვინაობას აპრილში გამოაცხადებენ, როცა გაიმართება სტუდენტური კალათბურთის ეროვნული ასოციაციის „ოთხთა ფინალი".

რონდო და პოვარდი იცვლებიან?

თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, „ლეიკერსსა" და „ბოსტონს" შორის ხმაურიანი ტრეიდი იგეგმება.

მართალია, „ლეიკერსის" ხელმძღვანელი **მიტჩ კუპჩაკი** ჯიუტად იმეორებს, რომ კალიფორნიული კლუბი არ აპირებს მოლაპარაკებების წარმოებას თავისი ცენტრის **დუიატ ჰოვარდის** გაცვლის თაობაზე, მაგრამ ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ ლოსანჯელესურმა კლუბმა უკვე გამართა მოლაპარაკებები „ბოსტონის" წარმომადგენლებთან ჰოვარდისა და **რაჟონ რონდოს** გაცვლის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, „სელტიქსის" გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** არ აპირებს რონდოს დათმობას იქამდე, სანამ არ დარწმუნდება, რომ ჰოვარდი მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს ამ ზაფხულს „ბოსტონთან".

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი

ვუნდერკინდის ოქრო ...

მიკაელა შიფრინი

სპეციალური სლალომით დაასრულეს შლადმინგში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ქალმა მოთხილამურეებმა. ბოლო დისციპლინის ტრიუმფატორი გახდა 17 წლის ამერიკელი სენსაცია **მიკაელა შიფრინი**. ასაკის მიუხედავად, ოკეანისგაღმელი ვუნდერკინდის გამარჯვება სენსაციად არავის მოუნათლავს, რადგან შიფრინმა ამ სეზონში მსოფლიოს თასზე სამი სლალომი მოიგო და ამ დისციპლინის ჩათვლაში ლიდერიც გახლავთ.

პირველი ცდის შემდეგ, ლიდერობა მოულოდნელად ვვედმა **ფრიდა ჰანსდოტერმა** მოიპოვა, რომელსაც მსოფლიოს თასის ეტაპი არასოდეს მოუგია, მაგრამ წელს ოთხი მეორე ადგილი ჰქონდა. სკანდინავიელმა ვერც ამჯერად შეძლო პირველ ადგილზე გასვლა, რადგან მას ორმაგ მოთხილამურემ გაასწრო და ფრიდა ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი **მიხაელა კირხგასერი**, რომელსაც მთელი სტადიონი მხურვალედ უჭერდა მხარს, მაგრამ დღის მთავარი გმირი აღმოჩნდა არა მიხაელა, არამედ მიკაელა შიფრინი. ამერიკელი პირველი ცდის შემდეგ მესამე იყო და ჰანსდოტერთან 18 მეასედ წამს აგებდა, მაგრამ მეორე დაშვებისას მისთვის დამახასიათებელი აგრესიული სტილი გვიჩვენა და ისტორიული ტიტული მოიპოვა.

შიფრინი გახდა მესამე ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი მსოფლიოს პირველობების ისტორიაში და არ მისცა ავსტრიის ქალთა ნაკრებს ამ ჩემპიონატზე პირველი ოქროს მოპოვების საშუალება. ამ გუნდმა ორი წლის წინ, გარმიშში ხუთი შესაძლებლიდან ოთხი ოქრო მოიპოვა, შლადმინგში კი მხოლოდ ერთი ვერცხლითა და ორი ბრინჯაოთი იწონებს თავს.

სპეციალურ სლალომში მოქმედი ჩემპიონი, ავსტრიელი **მარლის შილდი** მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა, მაგრამ ეს კანონზომიერი შედეგი იყო. ორი თვის წინ მიღებული უმძიმესი ტრავმის შემდეგ, შილდი სამი კვირაა რაც ტრასაზე დაბრუნდა და, ალბათ, მაქსიმუმს მიაღწია. რაც შეეხება ამ დისციპლინაში ოთხი წლის წინანდელ ჩემპიონს, გერმანელ **მარია რიშს**, მას მედლის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მეორე ცდის ბოლოს შეცდომა დაუშვა და დისტანცია ვერ დაასრულა.

ჩემპიონატი გუშინ დასრულდა მამაკაცების სლალომით. პირველობის ბოლო სტარტს ორი ინტრიგა ახლდა თან. პირველი: **მარსელ ჰირშერი** თუ **ფელიქს ნოიროიტერი**? მეორე: შეძლებდა თუ არა ამერიკელი **ტედ ლიგეტი** წლევანდელ პირველობაზე მეოთხე ოქროს მოგებას.

ლიგეტი გუშინ არ ყოფილა საშიში მთავარი ფავორიტებისთვის - ის პირველი ცდის შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას. რაც შეეხება სლალომში ამ სეზონის ლიდერების - ჰირშერისა და ნოიროიტერის დუელს, აქ ავსტრიელს დიდი უპირატესობა ჰქონდა. მან ორივე ცდა მოუგო გერმანელს და კარიერაში პირველად მოიპოვა დიდ ტურნირებზე ინდივიდუალური ოქრო.

სლალომი

ქალები

1. **მიკალე შიფრინი** (აშშ) - 1:39.85 (50.59+49.26); 2. **მიხაელ კირხგასერი** (ავსტრია) - 1:40.07 (50.96+49.11); 3. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედეთი) - 1:40.11 (50.41+49.70); 4. **ტანია პოუტიაინენი** (ფინეთი) - 1:40.46 (50.58+49.88); 5. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:40.61 (50.88+49.73); 6. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედეთი) - 1:40.91 (51.92+48.99)...

მამაკაცები

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:51.03 (55.56+55.47); 2. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 1:51.45 (55.84+55.61); 3. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:51.68 (56.12+55.56); 4. **ანდრე მიურერი** (შვედეთი) - 1:52.08 (56.34+55.74); 5. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატა) - 1:52.15 (56.56+55.59); 6. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 1:52.27 (56.56+55.71)...

გუნდური ჩათვლა

	ო	ვ	ბ	ს
1. აშშ	4	0	1	5
2. ავსტრია	2	2	4	8
3. საფრანგეთი	2	1	1	4
4. სლოვენია	1	2	0	3
5. გერმანია	1	1	2	4
6. ნორვეგია	1	0	1	2
7. იტალია	0	2	1	3
8. შვედეთი	0	1	1	2
9. ხორვატია	0	1	0	1
9. შვეიცარია	0	1	0	1

● ბიატლონი

საოლიმპიო ნორვეგია

ტრიუმფალური გამოდგა ნორვეგიის ნაკრებისთვის ჩეხეთის ქალაქ ნოვო მესტოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი.

შაბათს, მამაკაცთა ესტაფეტაში ნორვეგიის გუნდმა **ოლე-ეინარ ბიორნდალენის, ჰენრიკ ლ'აბე-ლუნის, ტარიე ბიოსა** და **ემილ ჰეგლე სვენდსენის** შემადგენლობით უდიდესი უპირატესობით აიღო ოქროს მედალი. სკანდინავიელთა კვარტეტმა წუთზე მეტი მოუგო მთავარ კონკურენტს - საფრანგეთის ნაკრებს. ეს იყო ნორვეგიელთა მეშვიდე ოქრო ამ ჩემპიონატზე, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. წინა რეკორდი გერმანიის ნაკრებს ეკუთვნოდა, რომელმაც 1999 წელს, პლანეტის პირველობაზე ექვს დისციპლინაში მოახერხა პირველობის მოპოვება.

საერთო ჯამში, ნორვეგიის ნაკრებმა მოიგო შერეულ ესტაფეტაში, მამაკაცთა და ქალთა ესტაფეტებში, გარდა ამისა, ემილ ჰეგლე სვენდსენმა მოიგო სპრინტი და გამოდევნებით რბოლა, **ტორა ბერგერმა** - გამოდევნება და ინდივიდუალური რბოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიის მამაკაცთა ნაკრებმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატზე ესტაფეტა, რასაც ემატება 2010 წლის ოლიმპიადაზე ტრიუმფიც.

■ ■ ■

გუშინ ნორვეგიამ საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება შეძლო. მერვე ოქრო ამ ქვეყანას ტარიე ბიომ მოუტანა, რომელმაც მას-სტარტში აჯობა ყველას. ისევ ვიხილეთ პოდიუმზე სვენდსენი და ის ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირად გამოცხადდა. მან ჩემპიონატი ოთხი ოქროთი და ერთი ბრინჯაოთი დაასრულა. სვენდსენს მხოლოდ ნორვეგიელმა ქალმა ბიატლონისტმა ტორა ბერგერმა აჯობა, რომელმაც ოთხი ოქრო და ორი ვერცხლი მოიპოვა.

ესტაფეტა

კაცები

1. **ნორვეგია** (ბიორნდალენი, ლ'აბე-ლუნდი, ბოე, სვენდსენი) - 1:15:39.0 (0+5); 2. **საფრანგეთი** (ს. ფურკადი, ბეატრიქსი, ბიოფი, მ. ფურკადი) - +1:12.8 (0+7); 3. **გერმანია** (შემპი, ბირნბახერი, პაიფერი, ლესერი) - +1:18.5 (2+3); 4. **რუსეთი** - +1:24.1 (2+7); 5. **ავსტრია** - +1:38.9 (0+5); 6. **ჩეხეთი** - +2:50.1 (0+9)...

ქალები

1. **ნორვეგია** (ფენე, ფლატლანდი, სულემდალი, ბერგერი) - 1:08:11.09 (1+9); 2. **უკრაინა** (ჯიმა, ვიტა სემერენო, ვალია სემერენკო, პიდგრუშნაია) - +7.0 (0+5); 3. **იტალია** (ვირერი, გონტიე, პონცა, ობერჰოფერი) - +11.6 (0+4); 4. რუსეთი - +29.0 (0+7); 5. **გერმანია** - +30.9 (0+11); 6. საფრანგეთი - +36.7 (0+13)...

მას-სტარტი

კაცები

1. **ტარიე ბიო** (ნორვეგია) - 36:15.8 (0); 2. **ანტონ შიპულინი** (რუს) - +3.7 (1); 3. **ემილ ჰეგლე სვენდსენი** (ნორვეგია) - +7.4 (1); 4. **ონდრეჯი მორავეცი** (ჩეხეთი) - +10.4 (1); 5. **ერიკ ლესერი** (გერმანია) - +12.8 (1); 6. **დომინიკ ლანდერტინგერი** (ნორვეგია) - +16.7 (1)...

ქალები

1. **დარია დორმაჩოვა** (ბელარუსი) - 35:54.5 (2); 2. **ტორა ბერგერი** (ნორვეგია) - +8.7 (2); 3. **მონიკა ჰეინეში** (პოლონეთი) - +27.6 (1); 4. **ვიტა სემერენკო** (უკრაინა) - +46.6 (2); 5. **ოლგა ზაიცევა** (რუსეთი) - +52.1 (2); 6. **მირიამ ჰესნერი** (გერმანია) - +52.1 (4)...

გუნდური ჩათვლა

	ო	ვ	ბ	ს
1. ნორვეგია	8	2	1	11
2. საფრანგეთი	1	4	0	5
3. უკრაინა	1	1	3	5
4. ბელარუსი	1	0	0	1
5. გერმანია	0	1	1	2
5. პოლონეთი	0	1	1	2
5. რუსეთი	0	1	1	2
8. აშშ	0	1	0	1
9. ჩეხეთი	0	0	1	1
9. იტალია	0	0	1	1
9. სლოვენია	0	0	1	1
9. შვედეთი	0	0	1	1

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ნორვეგიის მამაკაცთა კვარტეტი

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

აზერბაიჯანი

ბაკუ-აზალ	2:0
ქიაფაზი-რავანი	0:2
ყარაბახი-სუმგაიტი	3:0
ინტერი-ქაბალა	2:1
ხაზარი-თურანი	4:2
შიმურქი-ნეფთჩი	0:2

კალათბურთი

გერმანია

სკაილაინერსი-ტიუბინგენი	92:78
ალბა-ბრემერჰავენი	81:76
ტრირი-ბამბერგი	84:96

საბერძნეთი

კოლოსოსი-პანიონიოსი	65:70
რეტიმნო-ილისიაკოსი	95:68
პერისტერი-პაოკ	55:63
პანათინაიკოსი-იკაროსი	97:72

ესპანეთი

სევილია-სარაგოსა	67:75
ესტუდიანესი-უნიკახა	82:68
გრან კანარია-მურსია	68:78
რეალი-მანრესა	104:70
ბარსელონა-ფუენლაბრადა	72:70
ობრადოირო-კახა ლაბორალი	84:70

იტალია

აველინო-ვანოლი	93:81
ბიელა-რეჯო ემილია	65:72
ბრინდიზი-კანტუ	69:65
ვარეზე-ბოლონი	78:61
მონტეგრანაარო-კაზერტა	97:76
სასარი-ვენეციი	108:84
რომა-მილანი	66:79

თურქეთი

თოფასი-ბურსა	62:74
ბანვითი-ერდემი	92:68
გალათასარაი-ეფესი	77:70

საფრანგეთი

გრაველინი-სტრასბური	77:69

ჰოკეი

კალ

ავანგარდი-დინამო (მ)	0:3
ბარისი-სკა	5:4
მეტალურგი (მ)-ტრაქტორი	1:4
იუგრა-ავტომობილისტი	4:0
ატლანტი-მეტალურგი (ნ)	5:0
ვიტიაზი-აკ ბარსი	2:3
ლოკომოტივი-სიბირი	2:4
სევერსტალი-ნეფტიხიმიკი	3:4 (ო)
სპარტაკი-ცსკა	4:2
ტორპედო-ამური	3:2
დინამო (მნ)-ს. იულიაევი	2:3
დინამო (რ)-სლოვანი	3:1
დონგასი-ლევ პოპრადი	2:1 (ბ)

ავსტრია

ალბა-ზალცგურგი	2:3
ინსბრუკი-დორნბირნი	3:4
ლინცი-ვენა	4:1
ზაგრები-ბრაცი	3:2
ოლიმპია-ზნოიმო	1:2
ვილახი-კლაგენფიურტი	4:3 (ბ)

გერმანია

ჰამბურგი-შტრაუბინგი	2:1
ჰანოვერი-იზერლონი	4:2
მანჰაიმი-კიოლნი	3:4 (ო)
დიუსელდორფი-ინგოლშტადტი	4:5
მიუნხენი-ვოლფსბურგი	2:3 (ო)
ნიურნბერგი-კრეფელდი	1:4
აუგსბურგი-ბისბარენი	3:2

ნორვეგია

ლილეჰამერი-სტორჰამარი	2:4
რუსენბორგი-ვოლერენგა	1:2 (ო)
ტონსბერგი-სტავანგერი	0:10

სლოვაკეთი

ზვოლენი-პიესტანი	4:3 (ო)
კოშიცე-ტრენჩინი	3:4 (ბ)
მარტინი-ნიტრა	1:5
პოპრადი-ჟილინა	5:2
სკალიცა-ბისტრიცა	10:1

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ბრნო	5:3
ულინი-ტრშინეცი	4:2
კარლოვი ვარი-ხომუტოვი	4:3
ლიტვინოვი-სპარტა	4:1
პლზენი-ბუდეიოვიცე	1:2 (ბ)
ლიბერეცი-პარდუბიცე	3:2

ჩოგბურთი

ATP. როტერდამი

დელ პოტრო-ბენეტო	7:6, 6:3

ATP. სან პაულუ

ნადალი-ნალბანდიანი	6:2, 6:3

WTA. დოჰა

ს. უილიამსი-აზარენკა	6:7, 6:2, 3:6

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

16 თებერვალი

ბაფალო-ბოსტონი 4:2

1:1, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 სტეფორდი-1 (ენისი-6, ფოლინო-7), 1:1 დ. ჰემილტონი-1 (კრეიჩი-8, სეგუინი-5), 1:2 პეეარლი-2 (დ. ჰემილტონი-5, საიდენბერგი-4), 2:2 მიერსი-2 (პეტერ-4, გერბე-1), 3:2 ერპოფი-2 (სტეფორდი-6, ენისი-7), 4:2 ჰოჯსონი-6 (მიერსი-1, ერპოფი-6).

ნიუ ჯერსი-ფილადელფია 5:3

1:3, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ზეიჯგაკი-3 (კოვალჩუკი-7, ფეინი-3), 1:1 სიმონდსი-4 (შენი-7, ფირუ-6), 1:2 ნუბლი-2 (ფეიდოტენკო-4, ფოსტერი-4), 1:3 რიდი-6 (ჟირუ-7), 2:3 პონიკროვსკი-3 (კოვალჩუკი-8, ბროდო-1), 3:3 ელიაში-4 (კოვალჩუკი-9, ზეიჯგაკი-2), 4:3 კლარკსონი-10 (ა. ლარსონი-2, ელიაში-13), 5:3 ბერნიე-4 (ელიაში-14, ს. ჯონტა-5).

ვინიპეგი-პიტსბურგი 1:3

0:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 კ. ადამსი-1 (ვიტალე-2, ლეტანგი-7), 0:2 ჯ. ნილი-11 (მალკინი-14, კროსბი-15), 1:2 ლეფი-7 (ლიტლი-6, ე. კეინი-7), 1:3 კ. ადამსი-2 (კუნიტცი-11, ორპიკი-1).

დეტროიტი-ანაპაიმი 2:5

0:0, 2:2, 0:3

გოლები: 1:0 ი. ანდერსონი-1 (კინდლი-2, ტატარი-2), 1:1 ბელესკი-2 (გეტცლაფი-7), 2:1 ტატარი-2 (ბრუნერი-4, ი. ანდერსონი-1), 2:2 პერი-2 (ბელესკი-1), 2:3 კოლიანო-3 (ს. კოიუე-10), 2:4 რაიანი-5 (სელიანე-11), 2:5 კოლიანო-4 (პერი-6, გეტცლაფი-8).

ჩიკაგო-სან ხოსე 4:1

1:0, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ბოლანდი-5 (ბ. კეინი-12, კიტი-5), 2:0 კრუგერი-3 (მეიერსი-1, პიალმარსონი-3), 2:1 კენედი-1 (კუტური-6, ბ. სტიუარტი-3), 3:1 ბოუ-3 (კიტი-6, სიბრუკი-5), 4:1 პიალმარსონი-1 (კრუგერი-3, მეიერსი-2).

კალგარი-სტ ლუისი 2:5

0:4, 1:0, 1:1

გოლები: 0:1 შვარტცი-1 (სტინი-10), 0:2 ბერგლუნდი-7 (შვარტცი-2), 0:3 სტინი-4 (კ. სტიუარტი-4, შატენკირკი-13), 0:4 პერონი-4 (ბეკესი-8, ოში-7), 1:4 ვიდემანი-3 (კამალერი-7), 2:4 გლენკროსი-6 (იგინლა-8, ბაბჩუკი-1), 2:5 პერონი-5 (ოში-8, სტინი-11).

ვანკუვერი-დალასი 3:4

0:1, 3:1, 0:2

გოლები: 0:1 რ. სმიტი-1 (ლ. ერიქსონი-4, როი-7), 1:1 დ. სედინი-4 (ჰ. სედინი-9), 2:1 ჰიგინსი-3 (ვაისი-1, კესლერი-1), 3:1 ბაროუზი-4 (ჰ. სედინი-10, დ. სედინი-8), 3:2 იკინი-2 (დელეი-2, რაიდერი-3), 3:3 რასული-2 (რაიდერი-4, იკინი-6), 3:4 დილონი-3 (ბენი-6, რობიდასი-5).

ლოს ანჯელესი-კოლუმბუსი 2:1

0:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 კლიფორდი-2, 2:0 მ. რიჩარდსი-2 (კოპიტარი-4, ბერნიე-1), 2:1 ფოლინო-2 (ჯ. ჯონსონი-5, დუბინსკი-7).

17 თებერვალი

ბორნეტო-ოტავა 3:0

1:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 მაკლარენი-1 (ფრეზერი-2, მაკლემანი-3), 2:0 ბოჟაკი-5 (ფანოფი-4), 3:0 ლაილსი-1.

მონრეალი-ფილადელფია 4:1

1:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 გალაჰერი-5 (პასიორეტი-7, დიასი-10), 2:0 დუმარნე-4 (გალაჰერი-3, პასიორეტი-8), 2:1 ბრიერი-3 (ვორაჩეკი-8, შენი-8), 3:1 ჟლეკანეცი-7 (რ. ბურკი-5, ბ. ჯონტა-4), 4:1 რ. ბურკი-5 (ბ. ჯონტა-5, გორჯესი-1).

ედმონტონი-კოლორადო 6:4

1:3, 2:1, 3:0

გოლები: 0:1 მაკლეოდი-2 (ჰეიდუკი-5, ჯ. მიტჩელი-4), 0:2 დუშენი-5 (მაკგინი-7, ბერი-2), 0:3 მაკგინი-2 (დუშენი-8, ბერი-3), 1:3 ჰემსკი-6 (სემ განიე-10, ტ. ჰოლი-10), 1:4 ჯ. მიტჩელი-5 (მაკგინი-8, დუშენი-9), 2:4 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-1 (ტ. ჰოლი-11, ებერლე-7), 3:4 ჰემსკი-7 (რ. სმიტი-2), 4:4 ებერლე-4 (სემ განიე-11, იაკუპოვი-4), 5:4 ჰაიარვი-2 (რ. სმიტი-3, ბელანგე-1), 6:4 ებერლე-5 (ტ. ჰოლი-12, შულეი-1).

ფლორიდა-ტამპა ბეი 5:6 (ო)

1:2, 2:1, 2:2, 0:1

გოლები: 1:0 მატიასი-3 (უივერი-3, სკილი-2), 1:1 პულიო-4 (ლეკავალიე-10, სან ლუი-16), 1:2 კილორნი-1 (მ. კარლი-6), 2:2 სკილი-2 (მატიასი-1, უივერი-4), 2:3 სტემკოსი-8 (კონახერი-8, პურსელი-10), 3:3 სმიტსონი-1 (კოვალიოვი-3), 4:3 იუბერდო-6 (ფორი-4, სტრაჩანი-1), 5:3 კოპეცკი-3 (ვაისი-3, ბ. კემპბელი-4), 5:4 სტემკოსი-9 (პურსელი-11, სან ლუი-17), 5:5 პურსელი-4 (სტემკოსი-12, ნ. ტომპსონი-1), 5:6 პულიო-5 (პიატი-5, მ-ა. ბერგერონი-2).

ნეშვილი-ანაპაიმი 2:3 (ბ)

1:1, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ლეგუანდი-3 (ბლუმი-3, კ. უილსონი-6), 1:1 ბელესკი-3 (პერი-7, ალენი-2), 2:1 შ. უებერი-1 (იოსი-2, ს. კოსტიცინი-3), 2:2 მარუნი-1 (პალმიერი-2, ბოშემენი-5).

ბულიტები გაიტანეს: ბონინო (ანაპაიმი), კ. სმიტი (ნეშვილი), პერი (ანაპაიმი).

ფინიქსი-კოლუმბუსი 5:3

3:2, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 ბოლი-1 (ჯ. ჯონსონი-6, პროსპალი-3), 1:1 მოსი-2 (ბოდეკერი-7, ვერმეტი-3), 2:1 ვრბატა-4 (პანზალი-3, სალივანი-2), 2:2 კალვერტი-2 (ბრასარი-6), 3:2 ჩიპჩურა-1 (იენდლი-6, ტორესი-1), 3:3 მაკენზი-2 (ბოლი-2, ა. ოკუანი-1), 4:3 პანზალი-6 (იენდლი-7, სალივანი-3), 5:3 პანზალი-7 (იენდლი-8, ულესლა-1).

● კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის უქმეები

შოუ ჰიუსტონში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში რამდენიმე დღით პაუზა გამოცხადდა, რომელიც „ყველა ვარსკვლავის უქმეებს“ მიეძღვნა. ჰიუსტონში გასამართი შოუს კულმინაცია უნდა ყოფილიყო „ყველა ვარსკვლავის მატჩი“, მანამდე კი, ტრადიციულად, „ოლ სტარს“ წინ უძღოდა კონკურსები, რომელშიც NBA-ის მოთამაშეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბურთის სროლაში, ტარებაში, ჩატენვაში... რა თქმა უნდა, ყველაზე სანახაობრივი ჩატენვების შესრულებაა. აქ გამარჯვებული გამოვიდა ლიგის ახალბედა **ტერენს როსი**, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონი **ჯერემი ევანსი** დაამარცხა.

„ტორონტოს“ კალათბურთელს არ გამოუყენებია ორი ბურთი, არ გადაახტა ავტომობილს ან მოტოციკლს, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. ჰიუსტონში ასეთი რამ არავის გაუკეთებია, რითაც როსმა კარგად ისარგებლა. ის უბრალოდ თავზე გადაახტა ბავშვს და ისე ჩატენა ბურთი, რითაც ხმების 58 პროცენტი მიიღო, „იუტას“ წევრს ევანსს კი, შესაბამისად, 42 პროცენტი ერგო.

ეს იყო დღის ბოლო კონკურსი, საღამო კი სროლებში შეჯიბრით დაიწყო. აქ მონაწილეებს ექვსი სხვადასხვა პოზიციიდან უნდა მოეთავსებინათ ბურთი კალათში, მათ შორის, ერთი მოედნიდან მეორეში. კონკურსი ორი რაუნდისგან შედგებოდა. პირველ რაუნდში ორ-ორი გუნდი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ფინალში გასასვლელად იბრძოდა. საბოლოოდ, საჩემპიონო რაუნდში გადავიდნენ აღმოსავლეთის გუნდი **კრის ბოშის**, NBA-ის ვარსკვლავის **სუონ კეშისა** და ყოფილი მოთამაშის **დომინიკ უილკინსის** შემადგენლობით. მათ უპირისპირდებოდნენ დასავლეთის გუნდის წევრები: **რასელ უესტბრუკი**, NBA-ის შვიდგზის ჩემპიონი **რობერტ ორი** და ქალთა NBA-ის ვარსკვლავი **ტამიკი კატჩინსი**.

უფრო ზუსტი აღმოსავლეთი აღმოჩნდა. თან ბოშის გუნდში საკუთარი ნახევრიდან ბურთის ჩაგდება მოახერხა უილკინსმა. დასავლელებმა კი ეს ვერ მოახერხეს და 10 ქულით აღმოსავლეთმა გაიმარჯვა.

ოსტატობის კონკურსში, სადაც საჭირო იყო არა მხოლოდ კალათში ჩაგდება, არამედ ბურთის მოედანზე განთავსებულ სამიზნეებში გაძვრენა, საუკეთესო გახდა „პორტლენდის“ დებიუტანტი **დამიელ ლილარდი**. ის პირველი ახალბედაა ამ კონკურსის ისტორიაში, ვინც გამარჯვება მოახერხა. ფინალში ლილარდი ფილადელფიელ **ჯრიუ ჰოლიდეის** ებრძოდა და მასზე 5.8 წამით სწრაფი იყო.

სამქულიანების ტრადიციული კონკურსი „კლივლენდის“ გამთამაშებელმა **კაირი ირვინგმა** მოიგო. მან ფინალში „სან ანტონიოს“ კალათბურთელი **მეტ ბონერი** დაამარცხა. ფინალის მსვლელობისას, ირვინგმა უშეცდომოდ ისროლა სამქულიანის ხაზის გასწვრივ განლაგებული ორი წერტილიდან და საბოლოოდ, ბონერზე სამით მეტი ქულა დააგროვა.

წელს, „ყველა ვარსკვლავის უქმეების“ კონკურსები ახალი ფორმატით ტარდებოდა. შეჯიბრებებში ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გუნდები ხვდებოდნენ. ყველა ქულის შეჯამების შემდეგ, აღმოსავლეთმა 140:125 გაიმარჯვა.

■ ■ ■

ამ კონკურსებამდე ერთი დღით ადრე კი გაიმართა მატჩი დებიუტანტებსა და „მეორეწლიანებს“ შორის. ისევე როგორც შარშან, გუნდების შემადგენლობები სპეციალური დრაფტის მეშვეობით **შაკილ ო'ნილმა** და **ჩარლზ ბარკლიმ** დააკომპლექტეს და ზედიზედ მეორედ გამარჯვება ბარკლის გუნდმა მოიპოვა - 163:135.

თამაში ორი 20-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. მოედანზე ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო ჩაკის გუნდის წევრი **კენეტ ფარიდი**, რომელმაც 40 ქულა დააგროვა და 10 მოხსნა შეასრულა. სწორედ „დენვერის“ ფორვადი გახდა მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე. მან ეს ტიტული შარშანდელ MVP-ს **კაირი ირვინგს** ჩამოართვა, რომელმაც, ამჯერად, 32 ქულა დააგროვა.

მატჩის ატმოსფეროს კარგად გამოხატავს ბოლო წუთები, რომელიც ჩატენვების იმპროვიზებულ ტურნირად გადაიქცა. აქაც გამარჯვებული ფარიდი გამოვიდა, რომელმაც ოთხი ფანტასტიკური „სლემ-დანკი“ შეასრულა.

ამავე დღეს გაიმართა შოუ-ბიზნესის ვარსკვლავთა შეხვედრა. ამ მატჩის სპეციალური სტუმარი იყო მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**. ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა აღიარა, რომ არ ელოდა ასეთ დაძაბულ შეხვედრას, რომელიც მისმა გუნდმა 38:58 წააგო. *„რატომღაც, ყველა ზედმეტად სერიოზული იყო“*, ამბობდა თამაშის შემდეგ ბოლტი.

ჩაკის გუნდი-შაკის გუნდი 163:135

90:66, 73:69

ჩ: ფარიდი (40+10 მოხსნა), ლეონარდი (20), ტ. ტომპსონი (20+10 მოხსნა), ტომასი (18+10 პასი), ვუჩევიჩი (15), შვედი (12), ბილი (12), დევისი (11), ნაითი (10), რუბიო (5+10 პასი).

შ: ირვინგი (32), უეიტერსი (23), ლილარდი (18), პარსონსი (13), ბარნსი (12), კ. ტომპსონი (11), კიდ-გილკრისტი (8), უოკერი (8), ნიკოლსონი (6), ზელერი (4), დრამონდი (0).

გია თვალაბეიშვილი





ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608